

დავით ჩიხლაძე, დათო ბარბაქაძე

დ/დ

პიესა ლექსად

პირველი გამოცემა  
თბილისი  
2006

## პირველი ნაწილი

[17.02.2003]

დათო, დაახლოებით ერთი წლის წინ მწერდი: “მაღაზიებში ერთი წიგნიც ვერ მიყიდა! უკვე მეორედ მოხდა. სტერილური მეჩვენება ეს ყველაფერი: დერიდაც, კრისტეევაც, და მრავალი სხვა. კინალამ ბოდრიარის წიგნი *Impossible Exchange* გადავადე (რა ბედიც ეწია ცოტა ხნის წინ კრისტეევას, რობერტ ანტონ ვილსონს, კროვლეის, ჰაკიმ ბეის), ამ ყველაფერს მაქსიმ გორკის და მარკიზ დე სადის წაკითხვა ნამდვილად მიჩვენია. თეატრში, მხატვრობაში, ლიტერატურაში არაფერი ხდება, ყველაფერი სტერილურია!” ამდენი ხნის მერე მინდა გკითხო ის, რაზეც ხშირად ვფიქრობ ხოლმე: ეს ტექსტებია სტერილური თუ - კონტექსტი? იყო დრო, როცა ეს ტექსტები არ იყო სტერილური თუ შენ და დღეს გეჩვენება ასე? კონტექსტი ხომ ხშირად დამანგრეველად მოქმედებს ტექსტზე, უფრო სწორად, ტექსტის ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთზე?

[18.02.2003]

არსებობს ასეთი ნაცნობი შკალა: აპოლონური და დიონისური. მე იმის თქმა მინდოდა რომ ბოლო დროს თვალშისაცემია აპოლონურის უპირატესობა. ეს ტექსტები, რასაც მე ვასახელებ, ალისტერ კროულის გამოკლებით, თანამედროვე ტექსტებია, ასე ვთქვათ გუშინ არის დაწერილი, მე ეხლა სონტაგის

“დუმილის ესთეტიკის” ძებნას არც დავიწყებდი. და ამ ახალ წიგნებში იგრძნობა, როგორც გელა კინწურამვილი ამბობს, პენსიონერული სული, მე დავამატებდი, გასხივოსნებულ-პენსიონერული.

გასხივოსნება და დეპრესია კი სხვა პლასტია. გასხივოსნება არც აპოლონურ და არც დიონისურ ტიპთა ავტომატური საკუთრება არ არის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აპოლონურ ტიპებს პრეტენზია აქვთ მის ფლობაზე, ან მისკენ უეჭველ სვლაზე, მაშინ როცა დიონისურ ტიპებს ასეთი ილუზიები არ აწუხებთ.

ნიუ ეიჯმა მოსაბეზრებელი გახადა ყოველგვარი გადარჩენის მოდელები, და მას ეს დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ. მდგარ წყალში დრაკონები არ სახლობენ, და ამიტომ ნებისმიერი აპოლონური ჟინი გადარჩენის და მოწესრიგების სტაგნაციას განიცდის თუ მასში აღარ იქნება დიონისური ღოზა. დავაკონკრეტებ: ჩემი აზრით დღეს უფრო აქტუალურია კომუნიკაციის ფაქტორის წამოწევა და არა გადარჩენის. რადგან მჯერა რომ ერთადერთი გადარჩენა კომინიკაციაა, ის დინამიურია, მას არ გააჩნია სპეკულაციური ხიფათი, ძალზე ბუნებრივია, და ის წყლის დალევასავითაა.

ჩემი დაკვირვებით კომუნიკაცია, დიალოგი დიონისური აქტია. რადგან თავის უკიდურესობებში აპოლონური ხეღვა ინტრავერტულია, მისი მაქსიმალური გამოვლინება სრული დაწყნარებაა. დიონისურის მაქსიმალური გამოვლინება რა თქმა უნდა არა მხოლოდ ექსტრავერტულია, არამედ უკვე სექსუალური, ფსიქო-ფიზიკური გაგებით.

ეს თემა შეიძლება უკვე ცალკე საუბრის საბაბიც გახდეს, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ნამდვილად არ არის უმნიშვნელო რომ შენთან ვსაუბრობ, და ბოლოსდაბოლოს, ეს ავტორებიც

ზემოთ რომ ვასახელებთ, გვესაუბრებიან, მხოლოდ მათ ჩვენი პასუხები, უკვე ალბათ გასაგები მიზეზების გამო, აღარ აინტერესებთ.

ასე რომ ჩემი პასუხი ასეთია, ეს ტექსტებიც სტერილურია, კონტექსტიც, იმ გაგებით რომ ისინი მიისწრაფიან ჰარმონიისკენ, ოღონდ მაინც პირადი საკუთრების, და არა ასე საჭირო მარცხის გზით.

დ. ჩინლაძე, ნიუ იორკი, თებერვლის 18, 2003

### **[20.02.2003]**

დიონისური და აპოლონური საწყისების ერთმანეთთან დაპირისპირება, როგორც სამუშაო ჰობოთეზა, ალბათ, დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას, მაგრამ – მხოლოდ როგორც ასეთი. თანამედროვე ადამიანი არა იმდენად დიონისური ან აპოლონურია, რამდენადაც – პოლიტიკური. შესაბამისად, გადარჩენისკენ მისი სწრაფვაც პოლიტიკურ საკითხად იქცა. გარდა ამისა, გადამწყვეტია პიროვნების ტემპერამენტი, გამოცდილება, ტრავმები, სიზარული. მე ვფიქრობ, ნამდვილ მხატვრებთან და ფილოსოფოსებთან გადარჩენა ყოველთვის არა იმდენად ისტორიაში დარჩენას, კოლექტიურ მეხსიერებაში საკუთარი ადგილის დატოვებას გულისხმობდა, რამდენადაც – შემოქმედებითი საწყისის გადარჩენას (თუნდაც იმათთან საუბრის წყურვილს და იმათი პასუხის მოსმენის წყურვილს, ვინც დიდი ან ცოტა ხნის მერე მოდის ხოლმე). იქ, სადაც შემოქმედებითი საწყისი ცოცხლობს, შინაარსი ყოველთვის საინტერესოა და პირწმინდად პიროვნულ სწრაფვას ჰარმონიისკენ ან ასეთ სწრაფვაზე უარის თქმას არაარსებითი თამაშის ხასიათი აქვს, ვინაიდან როცა ადამიანი (და მითუმეტეს ხელოვანი), ცნობიერად თუ არა-

ცნობიერად, გადარჩენაზე არ ფიქრობს, ის, უბრალოდ, წყვეტს მუშაობას, კეთებას. ჩემი აზრით, მიუხედავად სხვადასხვა ეპოქაში შემოქმედებითი საწყისის მრავალფეროვანი გამოვლენისა, შემოქმედების ბუნება არ იცვლება, შემოქმედება ლაპარაკობს ერთ ენაზე უამრავი ენით (თუ ვიტყვით, რომ ყველა ეს ენა ღირებულია, მათ ღირებულებაში მე მესმის მათი უნარი, რომ არ იყონ დროში ძველი, ანუ არ ემორჩილებოდნენ განვითარებას და ფორმების ცვალებადობაში დავიწყებას). წინააღმდეგ შემთხვევაში, კომუნიკაციას და დიალოგს საერთოდ ეკარგება აზრი, მეტიც, კომუნიკაციის დადებით, შემოქმედებით საწყისს (სხვა შრეზე, კომუნიკაცია არც აუცილებელია და არც – არააუცილებელი, ის ფუნქციურია, თუნდაც იმიტომ, რომ ვიღაც გამდიდრდეს, ვიღაცამ თავისი უსამართლობა დაამკვიდროს, იარსებოს მონობამ და ბატონობამ და ა. შ.). როცა შენ სონტაგის „ღუმილის ესთეტიკას“ კითხულობდი, როცა ის შენთვის ახალი და საინტერესო იყო (ანუ როცა ის შენში არსებით ცვლილებებს და ბიძგებს იწვევდა), არსებობდნენ ისინი, ვისთვისაც სონტაგი უკვე აღარ იყო აქტუალური.

იმედი მაქვს, შენს მიერ დასმული აქცენტი არ გამომპარვია. ხშირად ვფიქრობ ერთ სერიოზულ თემაზე: ნებისმიერი ტექსტისთვის, რომელიც დამსახურებულად ხდება აღიარებული, მერე კი – მოღური (ანუ ბევრი ნიშნით მკვლარი), ასიათასობით თვალის ცენტრში ყოფნა დიდი გამოცდაა, მაგრამ ამ საკითხს აქვს ერთი საინტერესო ასპექტი: როგორ ფიქრობ, ძალიან დიდია განსხვავება ერთსა და იმავე ეპოქაში და კონტექსტში არსებულ ორ ისეთ ტექსტს შორის, რომელთაგან ერთი ზედმიწევნით უცნობი, მაგრამ საინტერესოა (სულ მცირე), ხოლო მეორე – ზედმიწევნით ცნობილი და საინტერესო (სულ მცირე)? ანუ, წარმიდგინე, ბოდრიარის ბოლოდროინდელი ესსეები „ამერიკა“, „ბოროტების გამჭვირვალობა“, „მდუმარე უძრავ-ლესობის ჩრდილში“ რომ არ იყოს ცნობილი ან აკრძალული იყოს და მხოლოდ 25-ე საუკუნეში აღმოაჩინოს ვინმემ და ამ უკვე ისტორიის რომელიმე მონაკვეთში, სულ სხვა კონტექსტში

შექმნილმა ტექსტებმა მას ასწავლოს, რომ ნიორი და ხახვი ერთმანეთისგან განსხვავდება. ასეთი აღიარებული და გამოღეჭილი ტექსტები ყოველთვის შეიცავენ რაღაც ისეთს, რასაც ასიათასი თვალი ვერ ხედავს. ჩემი აზრით, დიალოგის მოთხოვნილება სწორედ ამ შეუმჩნეველს აგნებს (ესაა სწორედ დიალოგი ბერძნული გაგებით; ესაა ორმხრივი საუბარი, როცა ტექსტის ავტორთან ცოცხალი კომუნიკაცია მყარდება და ამ დროს მნიშვნელობას კარგავს თუნდაც ის ფაქტი, რომ ავტორს შეიძლება არც აინტერესებდეს ჩვენი პასუხი; თუმცა ამ ცნების – „კომუნიკაცია“ – გამოყენებას თავს ვარიდებ ხოლმე და უპირატესობას ვანიჭებ „გაგებას“). მხოლოდ ასე ცოცხლობენ ათი თუ ასი წლის წინ შექმნილი ტექსტები და არა – საუნივერსიტეტო პროგრამებში და აუდიტორიებში (თუმცა, რაკი ღმერთი მათ ასეთ უსიცოცხლო სივრცეში გზავნის, ამასაც უნდა ჰქონდეს თავისი გამართლება, უნივერსიტეტის კედლებშიც მოიპოვებიან ცოცხალი ადამიანები). თუ პროგრესი და სხვა მსგავსი მაღალი ცნებები და იდეალები ფიქციაა, სხვაგან სად ხდება ამ უბადრუკობის ხმამაღალი დაცინვა, თუ არა – მწერლობასა და ფილოსოფიაში, სადაც ლაო ძის, პლატონის და პასტერნაკის ტექსტები ერთ არაპროგრესულ დროშო არსებობენ? (და ეს, რა თქმა უნდა, არა ისეთ იაფფასიან ბაზისზე, როცა, მაგალითად, პირველ საუკუნეში წარმოთქმულმა „ღმერთი დიადია“ და მე-15 საუკუნეში წარმოთქმულმა „ღმერთი დიადია“ უნდა დაასაბუთოს(!) დიადი ჰარმონიის არსებობა).

ჰარმონია კი, ალბათ, ღმერთის კომპეტენციაა და როცა ვინმე მართლა წერს ან ხატავს (ანუ როცა, შენი თქმისა არ იყოს, მისთვის მარცხის გზა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – საკუთრების), ის თავს არასდროს იტყუებს. ვინც ქმნის, იმან იცის, რომ ჰარმონიამდე შორია (და ამ დროს ზუსტად თანაბარ პირობებში ვართ ჩაყენებული ნებისმიერი არისტოკრატი ვოლტერი, რომელიც ეკონომიკურად უზრუნველყოფილი იყო და მისი ფიზიკური მუშაობა კალმით წერაზე შორს არ მიდიოდა და – მე, რომელსაც ზოგჯერ კვირაში 40 საათი ფიზიკური

ბუშაობა, ჭუჭყის, მტერის და სიმძიმეების ატანა, კიბოს გამოიწვევ ნივთიერებებთან შეხება მიწვევს, რომ შემოქმედებისთვის დღეში რამდენიმე საათი მოვიპოვო). ყოველ შემთხვევაში, თუ დიალ-ოგი და კომუნიკაცია ძვირფასია, ის არ კარგავს არც იმათ ტექსტებს, ვისაც ჰარმონიის ეიმედება და არც – იმათსას, ვინც ასეთ ჰარმონიას სკეპტიკურად უყურებს. ერთადერთი, რაშიც, ალბათ, ეჭვი არასრდოს შემეპარება, არის ჩარლი ჩა-პლინის სიტყვები, რომ ღმერთი ფრთებს არ მოგცემს, თუ ფე-ხები არ მოგამტვრია. და, მე მგონია, აქ უკვე მნიშვნელობა ეკარგება იმას, ამ ფრთებით ცაში ახვალ თუ უფსკრულში ჩა-ეშვები, ორივე გზა ერთია.

ეს, ალბათ, გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ ჰარ-მონიისკენ მარცხის და არა პირადი საკუთრების გზით სვლასაც უნდა ნიშნავდეს. მიუხედავად იმისა, რომ შენი პათოსი ჩემთვის შინაგანად ახლობელია, ყოველივე დიონისურის მაქსიმალურ გამოვლენას ყოველთვის ავადმყოფური ეჭვით ვუყურებ. ასეთი გამოვლინებები ყოველთვის კარგავენ დიონისურს, როცა ამას გადარჩენა (თუნდაც პოლიტიკური) მოითხოვს (აი, გადარჩენის ეს სტრატეგია კი ხელოვნებისთვის ზურგისშექცევა მგონია და მეტი არაფერი). ჩვენს დროში, როცა თვით სტაგნაციამაც შეიძლება სტაგნაცია განიცადოს, თუ ამას რომელიმე ფულით-ძლიერი მექანიზმი მოინდომებს, ჰარმონიისკენ ყველაზე სერი-ოზული სწრაფვებიც კი ჰარმონიის დაცინვის და პაროდირების უხვ ელემენტებს შეიცავს. ჩვენ ხომ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ადამიანის სწრაფი ან ხანგრძლივი მკვლევლობაც კი, დიდი ხანია, სერიოზული საქმე აღარ არის, ხუმრობა უფროა.

დიუშანი მახსენდება: ადამიანები ყოველ წელს ახალ რეკორდს რომ ამყარებენ, მაგალითად, სირბილში. ვიღაც 30 წამში ფარავს ამ მანძილს, მერე ვიღაც აჯობებს და 29 წამ-ში ფარავს, მომდევნო წელს მჯობზე მჯობი გამოხტება და 28 წამში დაფარავს ამ მანძილს. ბოლოს კი ვიღაც ყველა რეკორდს მოხსნის და ამ ას მეტრს 0 წამში დაფარავს.

როგორ ფიქრობ, გუშინ (სწორედ შენს მიერ ნაგულისხმევი აზრით) დაწერილი ლექსების, რომანების და ფილოსოფიური ტრაქტატების (რომლებიც ასევე რომანები ან პოემებია და მეტი არაფერი) „გასუფთავება“ და მათი, როგორც სწორედ დღეს დაწერილის, წაკითხვა დროის ფლანგვაა? ჩვენამდე რომელიმე ტექსტმა რომ მოაღწიოს, ამას ხომ დრო სჭირდება?

დათო 20.02.2003. მიუნსტერი

**[23.02.2003]**

თავიდან მოვიყვან ციტატას შენი წერილიდან:

“იქ, სადაც შემოქმედებითი საწყისი ცოცხლობს, შინაარსი ყოველთვის საინტერესოა და პირწმინდად პიროვნულ სწრაფვას ჰარმონიისკენ ან ასეთ სწრაფვაზე უარის თქმას არაარსებითი თამაშის ხასიათი აქვს...”

აქ არის საინტერესო ნიუანსი, და თუ დაუუკვირდებით, დავინახავთ, რომ განსხვავებაა რაიმესკენ (კერძოდ, ჰარმონიისკენ) სწრაფვასა, ან მასზე უარის თქმას შორის. რაიმესკენ (ჰარმონიისკენ) სწრაფვა გულისხმობს მის არქონას (ან ნაკლებულად ქონას), ხოლო ასეთ სწრაფვაზე უარის თქმა, მის ფლობას (ან თავიდანვე ან შედეგად).

მეორეც, შენ მოიხსენიებ ფუნქციონალურობას, კერძოდ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, და მე ამას ნამდვილად მივესალმები, სწორედ ასეთი განსაზღვრება, ფუნქციონალურობა შეიძლება იყოს კომუნიკაციის, ჰარმონიის ან დანიშნულების შეგრძნების პირველი იარაღი. ეს სულაც, ჩემი აზრით, არ აბათილებს კომუნიკაციის, გნებავს პოეტური კომუნიკაციის როლს და



მნიშვნელობას. პირიქით, ჩემი აზრით, აუთენტური პოეზია ყოველთვის ფუნქციონალურია (ანუ მასში ცოცხლობს შემოქმედებითი საწყისი, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ), და არ არის პლაგიატურად, გნებავს მანერულად თუ მოღურად ან სხვაგვარად ამოვარდნილი ჰარმონიიდან და ბუნებრივი გამოხატვის და ალქმის (თუნდაც ინტელექტუალური ალქმის) ნაკადიდან.

ჩემი აზრით, ფუნქციონალობა და კომუნიკაცია ერთადერთი ბაზისური რეალობაა, აქედან იწყება გადარჩენაც (თუნდაც როგორც პოლიტიკური აქტი, როგორც შენ მოიხსენიებ), და მათ შორის, პოეზიაც. მე ვფიქრობ, რომ მეტიც, პოეზია და ფუნქციონალობა (ჩემი სიტყვებით – კომუნიკაცია) სინონიმებია, და სწორედ პოეზიაა კომუნიკაციის ერთადერთი აუთენტური ფორმა, რომელიც თავისუფალია არაფუნქციონალური ფუნქციონალობის სიგიჟისაგან.

არა მხოლოდ პოლიტიკური, ჩემი აზრით, და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, არანაირი გადარჩენის საჭიროება ადამიანის წინაშე არ დგას: ერთადერთი, რაც მის წინაშე დგას, არის ის, რომ გადაურჩეს გადარჩენის (ნებისმიერის) ჟინს, ან გადარჩენის სახელდების ჟინს.

ნეგატიური თავისთავად არ არსებობს, ის მხოლოდ პოზიტიურის არარსებობაა, ამიტომ ფილოსოფიაში (რელიგიისგან განსხვავებით) ხშირად მიიჩნევა, რომ სწორედ ნეგატიურია ბაზისური, მუდმივადარსებული, თვითდარწმუნებული ფონი ყველაფრისა, გნებავს. და ასეთ ხედვას აქვს გარკვეული სიკეთე (მოულოდნელად ჩვენი გაქვავებული იმედებისთვის): გააბათილოს საუნჯენი ჩვენი, და აღგვძრას ჩვენ ახალი ქმედებებისკენ (პოეზისური თუ პრაქსისულ-ბიზნესური), კომუნიკაციისკენ, სტრესისკენ და ურთიერთობისკენ.

ჩვენ, ჩანს, გავაგრძელებთ საუბარს. მხოლოდ ახლა დროებით შემოვბრუნდები უკან და, თუ ამას პარალელი ჰქვია, მორალის სფეროში გადავალ (ან პოლიტიკურის). და ისევ მაქსი-მალის-ტობა მომიწევს ალბათ, რადგან მინდა ვთქვა. რომ ესტეტიკური და ეთიკური თავიანთ უმაღლეს წერტილში სინონიმებია (ისევე როგორც შემოქმედებითი და ფუნქციონალური). აუთენტურად ესტეტიკური ეთიკურიცაა იმავე დროს (და პირიქით), რადგან ამ შემთხვევაში ისინი ემორჩილებიან არა კეთილგონივრულ რეგულაციებს, არამედ საკუთარ სასიცოცხლო ნებას, რომელიც ძალიან, ძალიან შორს არის ისეთი სუროგატული სახელდებისგან, რასაც ჰარმონია ჰქვია.

სწორედ ნაკლებობა ზემოთქმულის დისკურსისა დომინირებს ჩემს თვალთახედვის წინაშე არა მხოლოდ ერთი წლის წინ, დღესაც. და იცი რატომ ხდება ეს ასე? იმიტომ, რომ შეუძლებელია ადამიანს სთუღდეს ომი, მეორეხარისხოვნება, მანიპულაცია, ტერორი, და ვერ ბედავდეს ხმის ამოღებას, მისი მთავარი სასიცოცხლო ჟინი იმდენად მომწყვედუელი იყოს, რომ მას არ შეეძლოს საკუთარი სიძულვილის გამოთქმა, თუნდაც აკადემიური (მაგრამ ყველასთვის გასაგები) ფორმებით.

დ. ჩიხლაძე 23 თებერვალი, 2003

**[28.02.2003]**

მაგრამ ჩემი დაკვირვების საგანი იყო არა ჰარმონიისკენ სწრაფვასა ან ასეთი სწრაფვის უარყოფას შორის განსხვავება, არამედ – განსხვავება ამ პიროვნულ ქმედებებსა და შინაარსს შორის, უკეთ – ქმედებებსა და იმ ტექსტის შინაარსს შორის, რომელსაც ჩვენ (თუნდაც, როგორც ტექსტები) ვქმნით. ასეთი ტექსტი კი(განურჩევლად ხარისხისა და კულტურული გამოც-

დილების სიმდიდრე-სიმწირისა) ჩვენს პიროვნულ ლტოლვეებს (რომელთა კონკრეტული და „ნამდვილი“ საწყისები ჩვენთვის ყოველთვის უცნობია) ისეთ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, როგორსაც ჩვენ ვანიჭებთ ჩვენში თუ ერთმანეთში. ასე რომ არ იყოს, ტექსტის შექმნის აუცილებლობა სასიცოცხლო იმპულსს დაკარგავდა. ბოლოსდაბოლოს, ხშირად ზომ ტექსტის შექმნის მოთხოვნილებას საკუთარი ნაკლულობის სავესებით ცნობიერი განცდა განაპირობებს. შემძილია, პირადი გამოცდილება გაგიზიარო: ჩემი ნებისმიერი შემოქმედებითი მოძრაობის ერთ-ერთი წყარო ჩემს წარსულში თუ აწმყოში მიგნებული და ყოველთვის ხელახლა მიგნებადი კულტურული ნაკლულობების სიუხვეა (სხვა საკითხია, რა მაიძულებს, სწორედ ამ ნაკლულობებს დავეძებდე და ვუქვემდებარებდე პერმანენტულ მხატვრულ ანალიზს). არის უძლურების ეს სახეც: როცა სავსებით უმწეო ხარ ამ ნაკლულობების გამოსასწორებლად და ისლა დაგრჩენია, ისინი შემოქმედებით საწვავად აქციო; არა ახსნა ან ამოხსნა მათი მიზეზები (არც შენ გჯერა ასეთი ამოხსნების), არამედ – გამოკითხო ისინი; გამოკითხვის მსგავსი პროცესია, და მეტიც არაფერი, ბევრი ჩემი ლექსი (იმის თქმა მინდა, რომ მათ სწორედ ასეთი პროცესის დოკუმენტაციებად მოვიაზრებ).

მაშინაც კი, როცა თვით ჰარმონიისკენ სწრაფვა ან უარყოფა იქცევა თემად, თემატიზების პროცესში მიღებული „პროდუქტი“ არსებითად განსხვავდება დამუშავებული ნელ-ლეულისგან, და რა გასაკვირია, როცა შინაარსმა შეიძლება არაარსებითი ხასიათი მიანიჭოს ამ შინაარსის გამცოცხლებელი ხელოვანის ეთიკურ, ესთეტიკურ თუ რელიგიურ რწმენას. აი, ამას კი სიამოვნებით ვუწოდებდი შინაარსის სასიცოცხლო ნებას.

ისეთი ცნებების უკვე-არსებობის და მიმოქცევის(ანუ მათი გაუთავებელი დაზუსტება-ინტერპრეტირების) ფაქტი, როგორებიცაა „ჰარმონია“, „გადარჩენა“ და სხვ., მიგვითითებს, რომ ეს ცნებები მეტაფორები უფროა, ვიდრე – ჩაკეტილი ან შკოლარული ტერმინები. მათ ჰყავთ თავისი ავტორიტეტები

ეპოქების და პიროვნებების სახით, რომლებიც თავიანთი გამოცდილების დასაცავად და გასავრცელებლად ან, უბრალოდ, აღსაწერად იყენებენ ფორმალურად მზა, მაგრამ შინაარსობრივად პოტენციურ ამ ცნებებს. ეს არავის ბრალი არ არის. მითუმეტეს, არ არის ეს ცნებების ბრალი. როგორც ჩანს, ყველა მსგავსი ცნების შემქმნელი თავიდანვე ტვირთავდა მას თამაშის ელემენტებით. თუ ადამიანებს შეუძლიათ ცნებებით თამაში, ცნებებს რატომ არ უნდა შეეძლოთ ჩვენით თამაში? მე ვფიქრობ, „ჰარმონიაც“ და ამაღლებული სამყაროს გამომხატველი სხვა ცნებებიც ამ თამაშში არიან ჩაბმული. ამიტომ, პარადოქსულად რომ გამოვთქვა, ადამიანის მიერ სუროგატად ამა თუ იმ ცნების გადაქცევა თვით ცნების სუროგატულობას არ უნდა ნიშნავდეს.

იგივე შეიძლება ითქვას გადარჩენის შესახებაც. ჩემთვის უფრო საინტერესოა საკითხი, თუ რაში ხედავს ესა თუ ის ადამიანი გადარჩენას. ანუ: არა ის, თუ რაში უნდა ხედავდეს, არამედ – რაში ხედავს. ეს არის, ჩემი აზრით, ადამიანისთვის მეტად ბუნებრივი მოთხოვნილება, მეტიც, ბიოლოგიურად თანდაყოლილი ინსტინქტი, და მის მიერ ამ ინსტინქტთან ურთიერთობა განსაზღვრავს ადამიანის ადვილს და იმას, თუ რა არის მისთვის არსებითი ან არაარსებითი. როცა გადარჩენის მოთხოვნილება ჟინის ხასიათს ღებულობს, ადამიანის ცნობიერება ვიწროვდება, შევიწროებული ცნობიერება კი მის სასიცოცხლო ნებას სიჩლუნვისკენ მიაქანებს. თუმცა, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ გადარჩენის პათოლოგიასაც ჰყავს თავისი გენიოსები. საუკეთესო შემთხვევაში, ალბათ, ადამიანმა შეიძლება ბოლომდე განვლოს გადარჩენის მოთხოვნილების გზა და მთლიანად ამოწუროს იგი ანუ მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, როცა გადარჩენის მოთხოვნილება საერთოდ კარგავს აზრს. ეს ღმერთთან ზედმიწევნით დაახლოებული ადამიანების ხვედრი უფრო მგონია. მე ამ გამოცდილებისგან ძალიან შორს ვარ.

სხვათაშორის, შენი წერილის ბოლო აბზაცმა სწორედ ამ საკითხზე ფიქრებთან დამაბრუნა. სად უნდა იდგეს ადამიანი, რომ მან არა მხოლოდ შეიძულოს ომი, მეორეხარისხოვნება,

მანიპულაცია, ტერორი, არამედ საერთოდაც უარი თქვას მათ კეთებაზე? ხომ არ არის გადარჩენის ყველაზე უფრო უხეში გაგების და გადარჩენის, თავისდამკვიდრების ყველაზე უფრო დაბალი, ბნელი ინსტინქტების გზით სიარულის შედეგი, როცა ადამიანი ან სახელმწიფო იწყებს (ან აგრძელებს) მეორე ადამიანზე ან სახელმწიფოზე (მთლიანობაში კი, საერთოდ, ადამიანში არსებულ ნათელ საწყისზე) ტოტალურ ფიზიკურ შეტევას? შეტევას, ძალადობას ყველაფერზე ერთად: წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე?

დათო, 28.02.2003, მიუნსტერი

### **[02.03.2003]**

გეთანხმები, თუ გადარჩენაზე უკიდურესად ბევრს ვილაპარაკებთ, მაშინ ის აზრს დაკარგავს; ის აღარ იქნება საჭირო, რამდენადაც მას აღარ ექნება მნიშვნელობა. მნიშვნელობისგან განთავისუფლება, თუნდაც მისი (მათი) გაძლიერების გზით, ალბათ მართლა ერთადერთი (შესაბამისად განიხილე ერთადერთის მნიშვნელობა) ანტიკური გამოსავალია. ანუ როდესაც ყბედობა მხოლოდ ხელოვნებაა ან აქამდე მიდის. შეიძლება ასეთი წმინდა ყბედობა მიიჩნეოდეს ღმერთთან მიახლოების უტყუარ ფორმად ინფორმაციული ეპოქის ანთროპოლოგიისთვის.

ყოველ შემთხვევაში, მე და შენ ასეთ ქვეყნებში ვცხოვრობთ, სადაც ინფორმაცია უნდა მიიჩნეოდეს დღეს გადარჩენად, მაგრამ ვცხოვრობთ არცთუ ისე დიდი ხანია, და შეიძლება ჩვენი აზროვნება ჯერ კიდევ ჩვენი პრეინდუსტრიული ქვეყნის დილემებშია დაკავებული. აი, ეს დისკურსი შეიძლება მართლაც განვიხილოთ როგორც არა მხოლოდ ტექსტი, სინთეტიკური,

ადამიანის მიერ წარმოებული, ანდა კომპუტირებული ალგორითმული ტექსტი, არამედ როგორც ინტერტექსტი ციფრულსა და ირაციონალურს შორის.

ჩემი აზრით. ინტერტექსტი იყო ყოველთვის ნამდვილი გადარჩენის მიმართულება ნებისმიერი ეპოქისთვის. ინტერტექსტი არის გზა თუნდაც დღევანდელი მსოფლიოს ფიზიკური გადარჩენის. ვერც ფეოდალური, ვერც პოსტ-ინდუსტრიული, ვერც ციფრული ეპოქის გადარჩენის მოდელები ვერ გაექცევა ბიპოლარულ წინააღმდეგობას უკიდურესი ფიზიკური გადარჩენისა (რომლის სემანტიკაც მუდმივად დადგენილია და უცვლელი) და სულიერი გადარჩენის სემანტიკის ამბივალენტობას შორის.

ამას გარდა, მონისთვის თუ სულიერი გადარჩენა იყო მონობისგან განთავისუფლება, მაშინ განთავისუფლება შეიძლება მივიჩნიოთ მიზნად, მაგრამ მხოლოდ დროებით მიზნად, რადგან განთავისუფლების შემდეგ საჭირო ხდება უკვე ახალი უმიზნობის მონობიდან განთავისუფლება; საჭირო ხდება ახალი საკომუნიკაციო მიზანი (თუ მიზნები), თუნდაც რაღაცის წარმოება და შემდეგ მისი კონვერტირება (კვლავ კომუნიკაცია). ანუ გადარჩენა შეიძლება განვიხილოთ როგორც საჭიროების საკითხი და არა ფუფუნების ან ქონების. მისი სტატუსი დინამიურია და ყოველთვის ეძებს შესაბამისობას ეპოქის დინამიკის ენასთან, და არა მის სტატიკურ თეორიასთან.

ნებისმიერი ეპოქის ადამიანს რამდენიმე პროექტი აქვს გადარჩენის: ფიზიკური, ემოციური, სპირიტუალური, სულიერი, პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული და სხვ. (კვლავ ჩემი აზრით, მარცხი არარსებულად მოკლე გზაა გადარჩენისკენ, მარცხი უკეთესია წინასწარვე ნაგულისხმები და შეგუებული, მარცხი, როგორც მნიშვნელობებისგან გარდაუვალი განთავისუფლება, და როგორც მათი ახალი ძიების უტყუარი გარანტი;

ანუ მე გათავისუფლებას (ზმნას) უპირატესობას ვანიჭებ თავისუფლებასთან (არსებით სახელზე), და ეს არის მიზეზი, როდესაც მე მის არასაჭიროებაზე მივანიშნებ, ზმნები მოქმედებებია და მათ უბრალოდ საჭიროება წარმოქმნის – აი, საჭიროებას და სხვა სახელებს რა წარმოქმნის, ეს კი უკვე კაცმა არ იცის, არამედ მარცხმა. და ეს სასიხარულოა, იმ ვაგებით, რომ ის გვაბრუნება (ის პოტენციურად ყოველთვის გვაბრუნებს) არსებობა-არარსებობის უხსოვარდროინდელი (თუ ბავშვობის-დროინდელი), პრინციპში, უზრუნველობასთან, რაციონალურ ქმედებათა საჭიროებების ფონზე.

დღეს, ჩემი დაკვირვებით, აქტუალურია კულტურულ-პოლიტიკური გადარჩენის ენები, რადგან მათზე შეიძლება უკიდურესად დამოკიდებული გახდეს ყველა სხვა გადარჩენები. ჩვენ, აღმოსავლეთის ბლოკის ხალხი, ვეძებთ ჩვენს ლაბირინთს, რომელიც შეგვაგუებს უკიდურეს რაციონალიზმს დასავლეთის; დასავლეთის ბლოკის ხალხი ასეთი ინტერტექსტის რეალობას მოკლებულია, და ის თვითონ ქმნის ინტერტექსტს (ქმნის, ამანიპულირებს მას, და არა იმართება მისით), რადგანაც მას არა აქვს სხვა რეალობა (ნებისმიერი), როგორც ირაციონალური გამაღიზიანებელი, თუ არა ისევ საინფორმაციო ნაკადის და მსოფლიოს ციფრული ახალი ამბების რეალობა.

და რა დაგვავიწყებს, ჩვენ ინტერნეტით გვაქვს ეს დიალოგი, კვლავ როგორც გადარჩენის ერთი ფორმა. ეს უბრალოდ საჭიროების საკითხია, და არა მგონია რომ ფუფუნების.

როგორია რეალობის შენეული აღქმა შესაძლებელი მსოფლიო ომის მიჯნაზე, წიგნები (სტატიები), როგორც გარემო, და უბრალოდ პოლიტიკურ-კულტურული გარემო?

დათო ჩიხლაძე

[03.03.2003]

წმინდა ყბედობა და წმინდა ციფრული განზომილება მოძმე ერების მძლე კავშირადაც შეგვიძლია განვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, ერთიც სატყუარაა და მეორეც. ორივე მეორადი მოხმარების ისეთი საქონელია, რომელიც თავს ორიგინალად ასაღებს, ადამიანთა მართული უმრავლესობა კი იოლად ბრიყვდება და მისი გასაყიდი ფასი მისი რეალური ღირებულება ჰგონია. ეს არის ძალაუფლების მექანიზმის ერთი მთავარი ბერკეტი, - მსხვერპლი გააბრუნოს არა იმდენად ინფორმაციული ნაკადით, რამდენადაც ინფორმაციის მიწოდების ორაზროვანი ფორმებით და მოქნილობით; შეუქმნას მას რეალობა, რომელშიც, როგორც საკანში გამოკეტილი მსხვერპლი, მოწყვეტილი იქნება იმ სინამდვილეს, რომელიც თავისი ყველაზე თვალსაჩინო მატერიალური ფორმებით არსებობს და თავის პოლიტიკურ ნებას ახორციელებს. ტექნოლოგიური თამაშები სატყუარაა, რომელმაც (გარკვეულ ვადაძდე) უნდა გააუჩინაროს ძალაუფლების ნების თამაშები. უკიდურესად ძლიერი გონებებიც კი ვერ უძლებენ ხშირად ამ სატყუარას და ბრმად ასრულებენ მოღალატის როლს ნათელი ადამიანური საწყისის წინაშე. საკმარისია პითაგორას მოძღვრების განსენება, რომ ციფრული სამყაროს სასწაულები არა იმდენად პროგრესად, რამდენადაც რეგრესად წარმოგვიდგეს იმ იმედების ფონზე, რომლებსაც უბრალო ადამიანები თუ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ამ ტექნოლოგიებს უკავშირებენ. და ასეთი ცრურწმენები უბრძოლველად უთმობს ასპარეზს სასტიკ ლტოლვებს პირველობისთვის, ახალი კოლონიების შემოერთებისთვის და ბუნებაზე გამარჯვებისთვის, რაც მაინც და მაინც ჰუმანური მოტივაციებით მართლდება. პარადოქსი ის არის, რომ არავის სჯერა, მაგალითად, ამერიკის მთავრობის და რემბო-ბუშის ჰუმანური მისიის, ამერიკის მთავრობა კი სწორედ ჰუმანური მიზნებით ამართლებს თავის გეგმას აღმოსავლეთის დასაპყრობად. იყო დრო, როცა მსგავსი ღემაგოგია არწმუნებდა ად-



ამიანებს, დღეს კი ასეთ მოტივაციებს ხალხის არა დარწმუნების, არამედ გაბრუნების როლი ეკისრება. დაუუკვირდეთ, როდის ხდება ამერიკის მიერ ნავთობისთვის და ახალი კოლონიებისთვის ლაშქრობა: 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ძლიერდება და ადამიანის ცნობიერებას ეუფლება ერთადერთი რეალობის არარსებობის ტოტალური განცდა, ამის მერე პოსტმოდერნის თეორია იწყებს და მეთოდურად ახორციელებს პლურალიზმის დაცვას ცნობიერების აქტივობის ყველა სექტორში; არსებობის უფლება „ენიჭება“ ყველა ტრადიციას, ყველაფერს, რაც განსხვავებულია, და ა. შ. და ა. შ.; და სწორედ იმ პუნქტში, როცა დემოკრატიული იდეოლოგია და პოსტმოდერნის ფილოსოფია ამერიკის ერთადერთი გახმავანებული რელიგია ხდება, ყველა ეს ილუზია ერთბაშად ემხობა; მწარე ირონიით რომ ვთქვათ, ამერიკა გაბრიყვებულ გონებას შუბლზე (ტვინში) მუშტის დარტყმით აფხიზლებს და აბრუნებს ერთადერთ ნაცნობ და მშობლიურ რეალობაში, სადაც მთავარი ღირებულებაა ნავთობი, ფული, ძალაუფლება, კოლონიური ომები და ა. შ., ანუ ამერიკა დადებით, არაილუზიორულ სათქმელს გვაუწყებს. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ პარალელურ სამყაროებზე (რაც აუცილებელი არ არის), მაინც ყოველდღიურად ან დღეგამოშვებით უნდა შევიდეთ სუპერმარკეტში და შევიძინოთ პროდუქტი(რაც აუცილებელია), რათა სწორედ ჩვენი ერთადერთი სხეული შევინარჩუნოთ. თუმცა, „ილუზია ერთბაშად ემხობა“ მაღალი სიღვრეების: ეს ილუზია საჭირო იყო, როგორც სწორედ ტექნოლოგიური თამაშის ელემენტი. უბრალოდ, საჭირო იყო იმ აზრის, უკეთ, იმ პარადიგმის მასობრივად გავრცელება, რომელიც არც პლატონისთვის, არც ლაო ძისთვის და არც კანტისთვის გასაკვირი არ იქნებოდა. ის ახალი აღმოჩნდა დასუსტებული გონებისთვის. და არც ეს არის რაღაც უცნობი გამოცდილება. ისტორიაში მსგავსი სიტუაციების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. კაცობრიობამ იმდენად მოიცალა ირეალურისთვის (ალბათ, უფრო კვაზი-ირეალურისთვის), რომ ამით რეალური შეურაცხყო და მას კიდევ ერთხელ უბიძგა დამანგრეველი ქმედებებისკენ.

თუმცა, ეს ყველაფერი, ისევ და ისევ, გადარჩენის პრობლემასთან მაბრუნებს. დიდი ანგარიშით, ამერიკაც გადარჩენაზე ფიქრობს და მეტზე არაფერზე. გადარჩენაზე ფიქრობდა ისტორიაში არსებული ყველა დამპყრობელიც. უბრალოდ, გადარჩენისთვის ყველა ისე იბრძვის, როგორც მას თავისი კულტურული გამოცდილება და რესურსები კარნახობს. მე ვემხრობი იმ აზრს, რომ ამერიკას ასეთი გამოცდილება არა აქვს. მან იმდენი იფიქრა მონობიდან გათავისუფლებაზე, რომ ვერ მოასწრო ფიქრი „ახალი უმიზნობის მონობიდან გათავისუფლებაზე“ (საერთოდ, აცდა კი იგი მონობის პირველ საფენურს? შეუმერებთან თურმე „თავისუფლებას“ დაესმოდა არა კითხვა „რა?“, არამედ – კითხვა „რა-საით?“). ძნელი წარმოსადგენი არაა ასეთი სახელმწიფოს მიერ მსოფლიო ბატონობაზე გამოცხადებული პრეტენზიის შესაძლო შედეგები, თუ მსგავსი პრეტენზიებით ისტორიაში უკვე გამოსული და დამარცხებული იმ ერების გამოცდილებას გავიხსენებთ, რომლებიც, აშშ-სგან განსხვავებით, თავისუფლებიც იყვნენ და თავისუფლების პერმანენტული კვლავწარმოებითაც იყვნენ დასაქმებულები. სხვათაშორის, სიმბოლურია, რომ სწორედ გერმანია გადაეღობა ამერიკას აღმოსავლეთისკენ დამანგრეველი სვლის გზაზე. რა თქმა უნდა, გერმანიას აღმოსავლეთში თავისი სერიოზული ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები აქვს. დიდი ანგარიშით, ეს არის ომი ორ ფილოსოფიას შორის. აშშ ყველგან, დედამიწის ყველა წერტილში, ეძებს მონებს და ზრუნავს მათი სიმრავლის ზრდაზე; აღმოსავლეთი მას სწორედ მონების ასეთ აღქმულ მიწად ესახება. გერმანია კი ეძებს პარტნიორებს და სთავაზობს მათ არა ფულს და ბრჭყვიალა ნივთებს, არამედ – შრომას (შრომას არა მონური აზრით, სწორედ შემოქმედებით შრომას). ასეთ პოტენციურ პარტნიორად წარმოუდგენია გერმანიას ირანი, აშშ კი ერაყის დაპყრობის მერე დღის წესრიგში დააყენებს ირანის დამონების საკითხს. დამონებულ ან დასამონებელ ტერიტორიაზე ამერიკას ყოველთვის აქვს თავისი ფულის იმედი(ეს ფული, პრაქტიკულად,

სრულ სიცარიელეზეა ამოზრდილი, ამ ფულის უკან დღეს უკვე არაფერი არ დგას, რაზეც არარეკლამირებული ეკონომისტები დამაჯერებლად წერენ), ის ჩუქნის ფულს ან გასცემს კრედიტს და ამით იმონებს, კლავს შემოქმედების უნარს (ისე, ეშმაკობაც ასეთი უნდა: ერთი წუთით წარმოიდგინე, გაუსესხებელი და გაუჩუქებელი ეს ფული ამერიკის ბანკებში რომ ღებოდეს). გერმანია სთავაზობს არა ფულს, არამედ – შრომას, უკეთ, შრომის კულტურას, რომელიც ჰაერში არ არის გამოკიდებული და არ გულისხმობს სახურავიდან სახლის შენების დაწყებას. თანამედროვე ეპოქა, გარკვეული თვალსაზრისით, მართლაც არის ამერიკული სულისკვეთების ეპოქა, ანუ – ჩალიჩის, მაქინაციების, მევახშეობის, უსაქონლო საბანკო ოპერაციების წამყვანი როლის ეპოქა. შრომის გერმანული კულტურა ძნელია, თანამედროვე ადამიანს კი სიმძნელე გულს ურევს, მას საჩუქარი ურჩევნია. მახსენდება მშვენიერი ჩინური სიბრძნე (დარწმუნებული არ ვარ, რომ ზუსტად ვინსენებ): შემოიძლია დღეს თევზი გაჩუქო და შენ დღეს არ იქნები მშვიერი, მაგრამ მე თუ შენ თევზის დაჭერას გასწავლი, არასდროს აღარ იქნები მშვიერი. ამერიკის პოლიტიკის უკიდურესი სიბრძნე გულისხმობს მშვიერი ადამიანისთვის საჩუქრად თევზის შეთავაზებას დიხსაც იმ მიზნით, რომ მან თევზისჭერა არ ისწავლოს, არ გახდეს ამ „კეთილი“ კაცისგან დამოუკიდებელი (ან გახდეს მაშინ, როცა ჭამის საჭიროება აღარ არსებობს). რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ გერმანია სამოთხედ, ამერიკა კი ჯოჯოხეთად წარმოვიდგინო (ჯოჯოხეთი ეზრა პაუნდს - ამერიკის ყველაზე უფრო თანმიმდევრულ კრიტიკოსს არა მხოლოდ გონებრივი, არამედ ყოფითი აქტივობის დონეზე - ვერ წარმოშობს). მაგრამ ამქვეყნად ყველაფერი შეფარდებითია. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ ხომ ისეთი ქვეყნის შვილები ვართ, სადაც არც თევზი აქვთ და არც თევზაობა იციან, ანუ საერთოდ არც ბოროტების და სიკეთის მიღმა არსებობენ.

ასე რომ, შემოიძლია შენს კითხვაზე პასუხი ასე შევაჯამო: შესაძლებელი მსოფლიო ომის მიჯნაზე რეალობის ჩემეული

აღქმა უკიდურესად არაციფრულია. ყოფითი გამოცდილების თვალსაზრისით, ყოველდღიური არსებობის დონეზე, ეს არის საკუთარი უძღურების შიშველი და ყოვლისმომცველი განცდა, განცდა უკიდურესი დამცირების და შეურაცხყოფის, რომელიც პერმანენტულად ძლიის და სასიცოცხლო ენერგიას მართმევს, შესაბამისად კი (და, არა მგონია, პარადოქსული იყოს, რადგან ამას აქვს თავისი მარტივი ახსნა) აძლიერებს ჩემს სიყვარულს სწორედ წიგნების სამყაროს, ფილოსოფიის, პოეზიის მიმართ, მართლაც რომ ეროტიკულ სიყვარულს ადამიანის მცდელობის მიმართ, - რაღაც არაბიოლოგიურად აუცილებელი გამოსტაცოს ომს და ძალადობას. მეტაფიზიკური ან, თუნდაც, ისტორიულ-მეტაფიზიკური თვალსაზრისით, ეს არის მოსაწყენი და მოსაბეზრებელი, უნიჭო მოვლენა, მდარე მიბაძვა იდინდელი ომების და ქმედებების (ციფრული ეპოქის სასწაულებს თვისობრივად ახალი არაფერი მოუტანიათ, მათ „დააჩქარეს“ დრო, მაგრამ დარჩნენ დროის უსახდვრო შესაძლებლობების ჩრდილში); და – განცდა იმისა, რომ ისტორია გრძელდება და არავის უწერია მატერიალურ სამყაროში სიხარბეზე გამარჯვება.

სხვაგან სად უნდა ეძებო კაცმა ასეთ დროს შველა, თუ არა, თუნდაც, შენი თქმისა არ იყოს, ჩვენს ამ დიალოგში, თუ არა პოეზიაში, თუნდაც – პოეტურ კომუნიკაციაში, როგორც ნებისმიერი ლოკალურ-საფუნქციო კომუნიკაციისგან განსხვავებულ ფენომენში, რომლის არსსაც მოვიაზრებ, როგორც უკვე დასმულ კითხვებზე უკვე გაცემული პასუხების პრობლემატიზაციას და მათ გადაქცევას შეკითხვებად, რომლებზე გაცემული პასუხებიც სხვა არაფერია, თუ არა – ამ შეკითხვების გაგრძელება და მათი წარმოჩენა მოულოდნელი, ხშირად დამაბნეველი ახალი კუთხით. ამ მომენტში ცნობიერების გამართული მუშაობა ფერხდება, მისი სიმშვიდე ირღვევა, ხდება გრამატიკულ-სექსუალური განზომილების ნაჩვევი კომფორტიდან მისი ამოვარდნა, ეროტიკული საწყისის უხილავ დინებებთან მისი შეხვედრა. საკითხის სხვა მხარეა, თუ რამდენად აცნობიერებს ამ ყველაფერს პოეტური კომუნიკაციის პერსონაჟი. ყოველ

შემთხვევაში, თუ მაინც და მაინც პოეზიის მისტიკურ ბუნებაზე მითითებას მოვიწოდებთ, მე ის იმ დროსთან კავშირის შენარჩუნებად წარმომიდგენია, როცა ადამიანი ჯერ კიდევ ეროტიკული და არა სექსუალური არსება იყო, ანუ, როცა შეუძლებელი იყო ერთი ადამიანის ჩანაცვლება მეორით, ერთი სიამოვნების ჩანაცვლება მეორით, ერთი სიხარულის დავიწყება მეორით და ა. შ. ეს დრო, ალბათ, არც წარსულში იყო და არც მომავალში იქნება, იგი არის ყოველთვის, მაგრამ – ძალიან შორს („იყო“ მხოლოდ ამ სიშორის აღმნიშვნელია და, ჩემი აზრით, ის უკეთესად გამოხატავს ჩემს სათქმელს, ვიდრე – „იქნება“, უკეთ მიუთითებს იმაზე, რაც არის, მაგრამ – შორს). ჩემი რწმენით, მხოლოდ პოეზიის ენას შეუძლია ამ სიშორესთან კავშირის შენარჩუნება, და ვერანაირი პროგრესი თუ კომუნიკაციის ზედმიწევნით ჰუმანიზებული ესა თუ ის ეტაპი (თუ დონე) ამ კონტაქტს ვერ უზრუნველყოფს (და, რა თქმა უნდა, პოეტური კომუნიკაცია არც ლექსების წერაზე და არც პროდუცირებული ლექსების გავრცელებისთვის საქმიან ზრუნვაზე არ დაიყვანება; უკეთ, სწორედ იქ არ მოიპოვება, სადაც ასეთი ფაციფუცი და მისი „ნაყოფიერი“ შედეგები მოიპოვება).

დათო. 03.03.2003, მიუნსტერი.

### **[06.03.2003]**

საინტერესო მოსაზრებებია ფარული პოლიტიკური კურსორის მიმართულების მხრივ. ჩემთვის დღეს უფრო საინტერესო კი, შენს პირველ აბზაცთან დაკავშირებით, ის არის, თუ ვისი სიბოროტე უფრო ბოროტია: იმის, ვინც პოლიტიკურ ძალაუფლებას ახორციელებს, თუ იმის, ვინც მას ამის განსახორციელებლად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად სთავაზობს საკუთარ თავს: ანუ თუ ონტოლოგიური ქაოსის გამოვლინებად

განვიხილავთ ისეთ მედიუმთა გაჩენებს, როგორც არის საბეჭდი დაზგა, ნათურა, რადიო, თუ კომპიუტერი. ასეთი კატეგორიზაციის შემთხვევაში ადვილი გახდება განსაზღვრა, უწევს თუ არა იმასაც, ვინც მანიპულირებს, ამ რეალობასთან ანგარიშგაწვეა, თუ ეს უბრალოდ ამ რობოტის შემქმნელ ადამიანთა ძალაუფლებისათვის სამანიპულაციო ტრიუკია (შენეული განსაზღვრის თანახმად), როგორც მისივე ინტელიგენტური ძლევამოსილების უტყუარი საბუთი. მაგრამ ცნობილია, რომ ადამიანი არა მხოლოდ ქმნის, არამედ იქმნება (იმართება) მისივე შექმნილის მიერ.

მარტივი ფორმულირებით, რობოტი შექმნილია ადამიანის მიერ სტრატეგიული თვალსაზრისით, რაც შემდგომ უბრალოდ თავისი არსებობით განსაზღვრავს ადამიანისვე სტრატეგიულ გზებს.

სხვა საკითხია ამ რეალობაზე რეფლექსია, თუნდაც ნეგატიური, რასაც არა მხოლოდ შენ და მე ვიზიარებთ.

ისევ პირველ აბზაცთან დაკავშირებით, რაზე დაყრდნობით შეიძლება თანამედროვე თანამგზავრებს, სოფისტიკურ მილიტარულ, ან ბიოლექტრომაგნიტურ ტექნიკას, ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან გერმანიაში თულებს და ვრილის ოკულტისტური ჯგუფების ამო-ს და ანტიერავიტაციის დადასტურებულ ექსპერიმენტებს დღევანდელი კლონირების მაშინდელი საწყისებით, კომპიუტერულ პროგრამირებას მოდა ვუწოდოთ? მე მახსენდება შენი სტატია თბილისის ავანგარდული მოდის ფესტივალთან დაკავშირებით 1995 წელს, სადაც შენ ნონსენსად მიგანჩნდა ტერმინი მოდა ავანგარდთან შეხამებაში; თუ შენ მოდას ამჯერადაც იმავე მნიშვნელობით იყენებ, როგორც „დაკანონებულ მდგომარეობას“, მაშინ გასაგებია, რომ ციფრობრივი რეალობა მართლაც დაკანონებული მდგომარეობაა დღეს, და მას მართლაც არაფერი აქვს საერთო ირაციონალურთან,

პოეტურთან (მეტატექსტის გამონაკლისით). ციფრობრივი, ესთეტიკის ენაზე, იგივე არალინგუალური, აკი ვთქვით, ხელოვნებაშიც კი უკვე რეალობაა, პოსტმოდერნიზმის თუ პოსტსტრუქტურალიზმის დროიდან, როდესაც ანალოგი შეცვალა ციფრობრივმა, ისტორიული, როგორც თხრობითად დადგენილი, საარქივომ, ანუ როგორც კონტექსტურად თუ სემანტიკურად მუდმივად კონსტრუირებადმა ერთეულებმა.

იქნებ, ამიტომაც არის დასაშვები ავანგარდული მოდის ტერმინი პოსტმოდერნიზმის რეალობაში, როგორც პოპულარული ინტერფეისი, ისევე როგორც, ვთქვათ, თითქმის ყველა თანამედროვე მედია მთლიანად ინტერფეისებზეა დამყარებული ციფრობრივისა და ანალოგს შორის, (ამერიკაში ესლა მკვიდრდება ციფრობრივი ტელევიზია) და მათ ვერ მიაკუთვნებ მხოლოდ ციფრობრივს.

„ანტიკური“ ომებისაგან განსხვავებით, დღეს კაცობრიობის განადგურება რამდენიმე წამში რომ შეიძლება, ეს ჯერ კიდევ საინფორმაციო ეპოქის დადგომამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. თანამედროვე საომარი სიჩქარეები დროის ფარგლებიდან საერთოდ გადის (ხომ არ არის ამიტომაც ამჟამად მიმდინარე ომი უხილავი, როგორც ეს არაერთს მიაჩნია, რომ ომი უკვე დაიწყო, და მან უბრალოდ გვერდი აუარა მასმედიას, როგორც წინა უდაბნოს ომის ზუსტმა ოპოზიტმა; ყოველ შემთხვევაში, აქ, ამერიკაში, ალბათ, ყველას ანსოვს, როდესაც ბუმმა განაცხადა ავღანეთის შეტევის დაწყების წინ, რომ ეს ომი იქნებოდა პრესისთვის, და საზოგადოებისთვის უხილავი).

ამ შეკითხვებზე პასუხს უახლოესი მომავალი გაგვცემს (თუ ამ წერილზე პასუხი შენ უკვე გაქანებული ძველყადური ომის რეალობაში არ მოგიწია, რადგან არქეტიპული ანთროპოლოგია ალბათ უცვლელია, ისევე როგორც არავინ მივარდება კომპიუტერთან ხელჩართული ჩხუბის დროს), მაგრამ ცხადია

და უცხადესია გლობალიზაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის, გაერთიანებული ევროპის, ფიჭური ტელეფონის, მაიკროსოფტის, მონსანტოს, ინტერნეტის და ი-ბიზნესის საერთო ტენდენცია: დეცენტრალიზაცია, მხოლოდ არა როგორც მორალური სიბრტყე, არამედ როგორც სოციალური სტრუქტურის სიმეტრიულად რეგენერებადი რადიუსი.

აქ საინტერესოა შენი თვალთახედვის წამოწევა, კერძოდ პრიმიტიული, ძირეული მანიპულაციის ინსტიქტის (თუ სტრატეგიის ან ეშმაკობის, ეს მერე განვსაზღვროთ) და მისი დამცველი გარე-ეკრანის – ტოტალური ინფორმაციის. თუ დღევანდელი პოლიტიკური მორალი ცენტრიდანული მისწრაფებაა იქამდე, რასაც უკიდურესობა ჰქვია, სადაც პროექტის თუ სამუშაოს მწარმოებელი უხილავია, და თუ ეს მხოლოდ დასაფარი ღრუბელია სხვა უფრო რეალური რეალობის (ბუშისეული ტავტოლოგია), მაშინ ინტუიცია გვიკარნახებს, რომ ეს დასაფარი რეალობა სწორედ რომ ანალოგიურად (კვლავ ეს მოძველებული არაპოსტმოდერნისტული ანალოგი!!) მეორე მიმართულებით არის საგულისხმები – ანუ უკიდურესი ცენტრისკენული მისწრაფებისკენ, სადაც საბოლოო მოგების/შედეგების მიძღები ასევე პერმანენტულად უხილავი ხდება.

მე ნამდვილად შენს მხარეზე ვარ, ანუ გასული საუკუნის ხელოვნების ესთეტიკის ფარგლებში რომ განვსაზღვროთ, უპირატესობას ვანიჭებ მოდერნიზმს (ხელოვნება ხელოვნებისთვის) პოსტმოდერნიზმთან (ცხოვრება როგორც ხელოვნება) შედარებით, სადაც ასევე კარგად ნაცნობი ცენტრიდანული რადიკალიზმი საერთოდ აუქმებს საკუთარსავე ტერიტორიას, ანუ სადაც ის უკვდავ (ნეტარ) თვითდესტრუქციულ არსებობად გადაიქცევა. რა შეიძლება იყოს ამის შემდეგ, როგორც მესამე ფაზა, ან, ლოგიკური ტეტრაგრამის ტერმინებში, თუნდაც მეოთხე, შემეჯამებელი ფაზა? -ხელოვნება როგორც ცხოვრება, ვთქვათ



ახლანდელი ტენდენცია სოფტვერ-არტის, დეპროგრამიზმის: არტ-სოფტვერის უსარგებლობაში გადაყვანა და მისთვის ხელოვნების ესთეტიკური ატრიბუტების მინიჭება, მისთვის ასერივად მოსალოდნელ უტილიტარულობაზე უბრალოდ უარის თქმის გზით. შეიძლება ერთ დღეს ექიმებმაც (და არა არტისტებმა) გადაწყვიტონ სამედიცინო ხელოვნების ნაშუშვერების შექმნა, როგორც პროტესტი საკუთარი პრაგმატული პროფესიის წინააღმდეგ?

მეოთხე, და შემაჯამებელი, ფაზა ალბათ უნდა იყოს ცხოვრება, როგორც ცხოვრება. უტოპიაა. და ეს უტოპიები. ერთმანეთის მიყოლებით თანდათან ძლიერდება სწორედ პოსტმოდერნიზმის (და არა მოდერნიზმის, რომელმაც ხელოვნებას მიუჩინა საკუთარი მართლაც ღირსეული ადგილი, და ამაში, კერძოდ ასეთ მორალში, მე შენ გეთანხმები) ძირეული თეზისებიდან დაწყებული.

ვიმეორებ, მე შენსავით, როგორც მოდერნისტს ჩემი ჩამოყალიბებული შეხედულებებით, მჯერა ტრაგედიის, ბედისწერის, დაკარგული სილამაზის, იმედის.

პოსტმოდერნიზმი პოლიტიკურად ნეოლიბერალურია და პირიქით. (იხ. დანართი, რომელიც წარმოადგენს ჩემს მიერ შარშან თბილისში მიწერილ ემოციურ წერილს ელიზბარ ელიზბარაშვილისადმი, „კაკვასიურ სახლში“ წასაკითხად).

მაგრამ თუ ძალიან გავჯიუტდებით, მაშინ მთელი მეოცე საუკუნის ესთეტიკის უარყოფა შეგვიძლია, ისევე, როგორც საინფორმაციო ეპოქის დღევანდელი რეალობის. დღეს რომ პროდუქცია აღარ წარმოადგენს ფლობის პრიმატს, და რომ ინფორმაცია გახდა მისი ჩანაცვლება, ხსნის შენს შეკითხვას არარსებულ ფულთან დაკავშირებით. სანამ ჩამორჩენილი ქვეყნები ქვასავით მძიმე, ერთნიშნა ერთეულებით ოპერირებენ, განვითა-

რებული ქვეყნები *მსუბუქი* (უხილავი) ამბივალენტური, არარსებული ან ვირტუალურად არსებული ნიშნებით მანიპულირებენ, რომლებშიც უკვე მოქცეულია ეს პრიმიტიული მძიმე შემადგენლებიც და მთელი ქვეყნებიც კი. ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინ ბოდრიარი წერდა პორნოგრაფიაზე, როგორც მასკულინისტურ, საპროდუქციო რეალობაზე, მიუთითებდა რა ეროტიკულის შემცირებაზე. დღეს მის უახლეს წიგნში „შეუძლებელი გაცვლა“ სწორედ ნეგატიურის, როგორც ვირტუალურის, ფემინურის და თვითეროტიკულის ხაზგასმა იკვეთება. როდესაც ინფორმაციის სისწრაფე და სოფისტიკურობა ბინესი, კარზე ცხელი ფუნთუშების მიტანა არსებული, მაგრამ მეათეხარისხოვანია. თუ მარქსი აღნიშნავდა, რომ მუშახელის შემცირება მანქანების ხარჯზე მხოლოდ თავიდან მოიტანს მოგებას, შემდეგ კი უკვე ახალი, გაუმჯობესებული მანქანების წარმოების კონკურენცია უფრო დიდ დანახარჯებს დაუკავშირდება არა მხოლოდ საშუალო დონის გაჭირვების ფონზე, არამედ მფლობელის საზიანოდაც, ნათელი წარმოსადგენია, თუ როგორ არის დღეს გაზრდილი ტექნიკის ყავლგასულობის და მისი განახლების ყოველწამს თანმდევი ციებ-ცხელების ხარისხი.

არსებობს პლატფორმა, და ესეც კვლავ მარქსის ეკონომიკურ მოდელს ეფუძნება, რომ პირიქით, უნდა მოხდეს არა მუშახელის შემცირება ინდუსტრიალიზაციის ხარჯზე, არამედ უბრალოდ კონკურენციის პირობების გაუქმება. მაგრამ მოდი ვაღიაროთ პირნათლად: განა თვით პოსტინდუსტრიალიზმის ეპოქაც უკვე წარსულს არ ჩაბარდა?

შეუძლებელია ამ (ან ნებისმიერ) რეალობას გავექცეთ. და არც უნდა გავაკეთოთ ეს (სენტემენტალურად რომ ვთქვათ, ჩინეთის მაგალითიც კმარა, თანამედროვე მეცნიერებაში ჩინეთის წარმომადგენლებს წამყვანი პოზიციები უკავიათ, მეორე საკითხია ვინ ყიდულობს მათ შრომას (და ეს საინტერესო

საკითხია, ცხადია არა ჰუმანურ-ინტერნაციონალური, არამედ სწორედ კაპიტალისტური კუთხით), თუნდაც როგორც არტიკლებმა, რადგან ჩემი ღრმა რწმენით, ხელოვნება არ არის ცხოვრების რომელიმე რეალობასთან შეუგუებლობა – ის ცხოვრების ნებისმიერ რეალობასთან შეუგუებლობაა.

ამასწინათ პარიზში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, დღევანდელი ომისპირა მსოფლიოს მშვიდობის საკითხებს ეძღვნებოდა, ბოდრიარმა დერიდასთან არგუმენტაციაში სცადა შემოეტანა ეთიკური მოდელი იმ ორი მსოფლიოს ურთიერთობისათვის, რომელსაც შენ მოიხსენიებ როგორც სამუშაო რუქას. კერძოდ, მისი შემოთავაზება იმაში გამოიხატებოდა, რომ ფილოსოფიური ბატონისა და მსახურის მოდელი შეცვლილიყო ანთროპოლოგიური საჩუქრისა და სანაცვლო-საჩუქრის მოდელით. კვლავ შენს მეტაფორას რომ დავუბრუნდეთ თევზის ჩუქების შესახებ, ბოდრიარის ეს შესტი, რა თქმა უნდა, იგივე ტკივილზე ამახვილებს ყურადღებას, მხოლოდ იმ აქცენტით, რომ, თუნდაც ცოდნის (დღეს – ინფორმაციის, რადგან ცოდნა დიდი ხანია დაშორდა რიტუალურ კავშირებს, და დღეს განათლება აბსოლუტურად დაუფარავად ინფორმაციის სინონიმადაც კი იქცა) მიცემის შემთხვევაში (და არა პროდუქციის) მეორე მხარე არც უნდა გრძნობდეს იმას, რომ მას რამეს ასწავლიან, რადგან შეიძლება არ ისწავლოს!

რიკარდო დომინგეზი აკრიტიკებს იულია კრისტევას მიერ არტოსეული ამბოხების განხილვას მთლიანად ბიოსემიოზისის პლასტში, როგორც სოციალური ქმედების (ამბოხების) ფრანგულ ფობიას 1968 წლის შემდეგ, და როგორც ერთგვარ წმ. ავგუსტინანურ სწრაფვა-ტრადიციას ღმერთის-ქალაქისკენ - ადამიანთა ქალაქის იენორირების თუ შეგნებული უტოპიზაციის ხარჯზე. აქ ჩემი და შენი შეხედულებებიც, მგონია რომ თანხვდება. აქედან დაიწყო ჩვენი არგუმენტაცია აპოლონურის და დიონისურის ტერმინებით, და ამასვე მინდა ეხლა დავუბ-

რუნდე, რადგან არა მგონია დიონისური პოზიცია ადამიანთა-ქალაქის, რეალური ცხოვრების იგნორირებას ეწეოდეს. პირიქით, სწორედ მეორე, აპოლონური ფლანგია სენტიმენტალური, მაგრამ სოციალურად და პოლიტიკურად არააქტიური.

მსოფლიოში არ არის კონტრკულტურის დღევანდელი ეკვივალენტის, ანტი-გლობალიზაციის, ნაკლებობა.

რაც შეეხება საინფორმაციო გაბრუების საშიშროებას, ჰაკიმ ბეის (პიტერ ლამბორნ ვილსონის) სინამდვილესთან დაკავშირებით, მისი ონტოლოგიური ანარქიის, პოეტური ტერორიზმის და დროებითი ავტონომიური ზონის ნაწერების პარალელურად არსებობს მათი, გარკვეულწილად, უსარგებლობის დამადასტურებელი კონკრეტული ბიოგრაფიული ფაქტები, და არა სპეკულაციები. მაგრამ ეს სხვა სფეროა.

არა მგონია, მე იმას არ განვიცდიდე, რასაც შენ ასე განიცდი. ის, რომ მე გადარჩენის საჭიროების არ მჯერა (რაც სხვა შესაბამის ქვეტექსტებსაც აჩენს), სწორედ ჩემი სამუშაო მოდელია ამ ტკივილიან რეალობასთან ურთიერთობისთვის.

საბჭოთა ბლოკის დანგრევის შემდეგ, სულ ცოტა ხნის წინ, ლაპარაკი იყო მსოფლიოს შიზოფრენიული ერთპოლუსიანობის შესახებ, „ექვსას-მაგრამ-ერთარხიანი ამერიკული ტელევიზიით“ (ჰაკიმ ბეი) გამოხატული პლურალიზმით, რაც ადამიანის ფსიქიკას საყრდენ ჩრდილოვან ოპოზიციებს აღარ უტოვებდა; დღეს სიტუაცია დრამატულად, და არაერთგვაროვნად, შეიცვალა. და დღეს, როდესაც, არა მხოლოდ შენი სიტყვებით რომ ვთქვათ, *ორი მსოფლიო* ეჯახება ერთმანეთს, ცხადია, გერმანია ამერიკის მეორე მხარეს არ უნდა იგულისხმებოდეს (და უკვე ლამის არც რუსეთი?!).

მაშინ რას ნიშნავს, რა მოტივაცია ან რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს გერმანიის (ან საფრანგეთის) პროტესტს?

სხვა რომ არაფერი, თანამედროვე მედიათა შესწავლა დღეს გერმანიაში სწორედ თავისი ტექნიკურ-სტრუქტურალური კუთხით განსხვავდება ანგლო-ამერიკული სოციალურ-ჰუმანური მიდგომებისგან. ამას აღნიშნავს გერმანელი მედია თეორისტი ვოლფგანგ ერნსტი, და დასძენს, რომ დღეს სწორედ გერმანიაა დაინტერესებული საბჭოთა ომისშემდგომი კომპუტირების მიმართულებებით, რომელიც ძირეულად განსხვავდებოდა დასავლეთის მიმართულებისგან, კერძოდ ჰარდვერსა და ე.წ. მიდვერთან (თუ მიკროპროგრამირებასთან) დაკავშირებით, და რომ ბრეჟნევის დროს ამერიკული მოდელების შემოტანა სსრკ-ში გდრ-ის გავლენით მოხდა და არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საბჭოთა ბლოკის დანგრევისა, ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან დაწყებული, და დღევანდელი გლობალური მოთამაშის, მაიკროსოფტის უტყუარი წინაპირობა. სამეცნიერო მიდგომა, თუნდაც მხოლოდ შრომის ორგანიზებასთან დაკავშირებით, არასოდეს ყოფილა მშვიდობის და ჰუმანურობის ალიბი, ისევე როგორც არც ჰუმანიზმია ჰუმანიზმის ალიბი.

და რაც შეეხება წმინდა ყბელობას, მე ამის საყვარელ მაგალითად მაქვს შენი რომანი „აქილევსის მეორე ქუსლი“, სადაც მოლაპარაკე აღარც არსებობს, დარჩენილია მხოლოდ ლაპარაკი, მაგრამ დარჩენილია ტრაგედიაც, ყოველგვარი „პოსტმოდერნისტული ღიმილის“ გარეშე. მე მესმის შენ რაც შეიძლება გაღიზიანებდეს: ჩემი პოზიცია, რომ გადარჩენა არ არის საჭირო, გულისხმობს, რომ ტრაგედია არსებობს. ხოლო “პოსტმოდერნისტული ღიმილის” თანახმად გადარჩენა იმიტომ არ არის საჭირო, რომ ტრაგედია არ არსებობს.

ეხლა, ალბათ, დროა შევისვენო ამ გადატვირთული ჰუმანიზმისგან, და უბრალოდ, მომავლისთვის შემოვთავაზო ერთი სა-მუშაო გეგმა, მრგვალი მაგიდის თეზისების წამოყენების შესახებ, საქართველოსთვის. თემას ამჯერად ვერ (და არ) შემოვიტან.

რა შეგვიძლია სხვა მე და შენ გავაკეთოთ, როდესაც ქვეყანაში ცხოვრება ასე გაუსაძლისია, მაგრამ მაინც სანატრელი?

მოკლედ, საინტერესო დასაწყისია!  
დროებით.

p.s. ეხლა სერგო ფარაჯანოვის სცენარებს ვკითხულობ, მი-  
ვუბრუნდი, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და რატომღაც სულ  
ძველი, დაკარგული თბილისი ცოცხლდება თვალწინ.

დათო ჩიხლაძე 6 მარტი, 2003 ნიუ იორკი

### **დანართი:**

კომრადეს,

*“როდესაც ხდება ინდივიდების რღვევა – თანდათანობით,  
ჯერ აქ, მერე კიდევ იქ, სადმე – შედეგად, სოციალური წეს-  
რიგიც იწყებს დაშლას”.*

*კერი ვენდელ თორნლი*

საქართველოს ლიტერატურულ წრეებში კვლავ დიდი გამო-  
ცოცხლება იგრძნობა. მწერლები დღეს კვლავ კამათობენ იმ-  
ის შესახებ, თუ რა არის პოსტმოდერნიზმი და მოდერნიზმი,  
როგორი უნდა იყოს თანამედროვე გამოძცემლობა, კულტურის  
დემოკრატიული პოლიტიკა, მოკლედ ეს ყველაფერი მიანიშნებს  
რომ საქართველოში რაღაც დიდი ხანია იწყება, დაუსრულ-  
ებლად დგინდება, მაგრამ ვერ ღებულობს რაიმე გამოკვეთილ  
სახეს; ის არც მარჯვნივ გადაიხრება და არც მარცხნივ, მისი  
ხაზი სწორია და უსასრულო: ანუ საქართველოში იკვეთება  
ნეო-ლიბერალიზმის კულტურის დიქტატურის სინდრომი.

რა შეიძლება მოიტანოს ნეო-ლიბერალიზმის დიქტატურამ? კონკრეტულად ვიტყვი: ნიჭის ინფილტრაცია. ძალიან მწყინს, მაგრამ ეს ფაქტია, საქართველოში ნიჭიერი ნაწერი აღარ არსებობს, არც ალტერნატიული, და არც კონვენციური. მე ზოგჯერ ვეცნობი ჩემი ნაცნობ-მეგობრების შემოქმედებას, და გული მტკივა: ეს დიქტატურა უკვე განხორციელდა, უკვე ყველა ომი წაგებულია. გამომცემლობები კი უკვე ღიაა: სიცარიელისთვის.

თავიდანვე მინდა გავიხსენო კარლო კაჭარავას ერთ-ერთი ბოლო კერძო საუბრიდან ფრაზა, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვის, და მას ვერსად ნახავს მკითხველი, მეტიც, ვფიქრობ, რომ მას ეს აზრი მეტი არსად გამოუხატავს, არცერთ თავის მეგობართან. ეს იყო 1993 წელს, სოლოლაკში, გაზეთ “რუბიკონის” რედაქციაში, როდესაც იოსებ მაჭარაშვილის თხოვნით და დაუვიწყებელი რედაქტორობით ვამზადებდით სპეციალურ ნომერს “ამერიკული ლიტერატურის სარგებელის” შესახებ. მაშინ კარლომ თქვა: რომ არა მართო მემარცხენეები არიან შესანიშნავი ფიგურები ხელოვნებაში, არამედ, ზოგჯერ ხდება, რომ მემარჯვენე მსოფლმხედველობის მქონე ხელოვნები შეიძლება გენიალური მოაზროვნეები გამოდგნენო; მან თქვა, რომ მემარცხენეობა ხელოვნებაში არ უნდა გამხდარიყო დოგმა. მითუმეტეს დღევანდელი თითქმის უკვე დეკორატიული მემარცხენეობა, პოეტიკურად თუ პოლიტიკურად.

მართლაც, ინდივიდია მთავარი, და არა ჯგუფი. თუ ინდივიდები არ არიან, ჯგუფს რა აზრი აქვს? ნებისმიერს? და პირადი სტილია მთავარი, და არა მანიფესტი ან აბსტრაქტული დეკლარაცია.

დღეს, როდესაც მე უკვე რამდენიმე წელია ამერიკაში ვცხოვრობ, ვხედავ თუ რა განსხვავებაა ხიბლის მხრივ რესპუბლიკელების მკაცრ არისტოკრატიულ და, მეორე მხრივ, დემოკრატიების

რბილ ჰუმანურ მანერებს შორის (თუნდაც იმიტომ რომ სიტყვა დემოკრატია არსად არის ნახსენები ამერიკის კონსტიტუციაში). მე არასოდეს ვყოფილვარ პარტიების და მთავრობების თუ წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მოყვარული ხელოვანი, და ალბათ უკვე ველარასოდეს ვიქნები, მაგრამ რესპუბლიკელებს და ანარქისტებს თითქმის თანაბარი უპირატესობა აქვთ ხელოვნურად დაბალანსებულ, თითქოსდა გაბედულ, პროგრესისტულ და ლიბერალურებთან.

თუმცა ისიც ცხადია, რომ რომელი პარტიის ხიბლიც არ უნდა ღომინებდეს არა მხოლოდ აქ, არამედ ნებისმიერ ქვეყანაში, უოლტ უიტმენის, უოლტ დისნეის, ჩარლი ჩაპლინის და თეოდორ დრაიზერის ამერიკა უკვე ან ძალიან შორს არის, ანდა როდისმე კიდევ იქნება. და ეს მარტო ამერიკის და მარტო პოლიტიკის პრობლემა არ არის.

სოციალოგიაში ცნობილია, რომ ომი ისტორიის ნორმალური მდგომარეობაა, მშვიდობა მხოლოდ ფრაგმენტულია. ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა არის კონფუზია (არც მარქსისტული და არც ქრისტიანული გაგებით სხვანაირად წარმოუდგენელია რომ იყოს), ბალანსი მხოლოდ დროებითია. პოეზია არ არის ადამიანის მუდმივი მდგომარეობა, არამედ – ბანალობა ასეთი მუდმივი მდგომარეობა. თუ ცხოვრების ნორმალური მდგომარეობა ომი და კონფუზია არ იქნება, მაშინ სიკვდილი არ იარსებებს და საერთოდ ყველაფერი წარმოუდგენელი იქნება.

ამიტომ, დღეს, ბედნიერი და გასხვიოსნებული ლიბერალიზმის მომძლავრება უსასრულო და უფერული ენ-ჯი-ო-ების, ფონდების და პროექტების სახით ნამდვილად ისეთივე დიდი პრობლემა ხდება ადამიანის სპირიტუალურ გზაზე, როგორც, წარმოვიდგინოთ, დღევანდელი სატანიზმის და მესამე რაიხის გეგმების უპირატესი ეკვივალენტი, კლონირება, შეიძლება იყოს შემდგომი ისტორიისთვის; იმედი მაქვს ყველას გსმენიათ მის შესახებ.



(თუმცა მისი განხორციელება, ისევე როგორც ნებისმიერი ფანატური მანიპულაციების მსოფლიო ბატონობის შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია კონფუზიის დამარცხება. განა გვიფიქრია რა გველოდება ნებისმიერი გამარჯვების შემდეგ?).

ამბობენ, რომ კულტურა მთავარი პოლიტიკური ტერმინი გახდება 21 საუკუნეში? როგორ, თუ არა ისევ დადგმული ლიბერალური სულის მეშვეობით, როგორ მოხდება რომ საბაზრო კონკურენციის კლიშემ ადგილი დაუთმოს ფანტომურ, უსასყიდლო ჰუმანიზმს და მშვიდობას, საუნივერსიტეტო კამპუსის ტიპის ხელოვნებას და სახალხო ფრონტის ფონდირებულ კეთილ კულტურას? ეს საინტერესი შეკითხვებია ჩემთვის, რაზე პასუხის გაცემაც საინტერესო იქნება, ალბათ სხვა დროს.

ეხლა გასაგებია, რას ამბობდა კარლო, რომ არაკეთილშობილურია, პლებურია, როდესაც ხელოვანი შეგნებულად დამოკიდებული ხდება კულტურის ოფიციალურ პოლიტიკაზე, როდესაც ის მიყვება სადღაც მენჯერთა მიერ ორმაგი სამიზნეებით ბილიარდით ორგანიზებულ სქემას, – და არა მკითხველის, სადღაც არსებული მკითხველის ჯადოსნურ სატყუარას; თუნდაც იმ შიშს, რომ ამ მკითხველს არასოდეს შეხვდება.

და დღეს ეს ოფიციალური კულტურა, ცხადია, აღარ არის კომუნისტური, ან ეროვნული, არამედ კაპიტალისტურია; და სწორედ ამის შედეგად ჩვენ როგორც იქნა შეგვიძლია გავთანაბრდეთ ოდესღაც საოცნებო კაპიტალისტურ ანდერგრაუნდთან. მაგრამ შევძლებთ? და თუ შევძლებთ, ისევ დავგებვჭდავენ? იქნებ დროა გავაწონასწოროთ ჩვენი მემარცხენე იდეები და ესთეტიკა, რომლებსაც უკვე არანაირი ძალა აღარ გააჩნია, და შევისწავლოთ, რა არის რეალური კონტრკულტურა უკვე

კაპიტალიზმის პირობებში, თუ რა შეიძლება ვერ დაიბეჭდოს მიუხედავად დემოკრატიული პლურალიზმისა.

კომუნისტური დროიდან გადმოსული კულტუროლოგიური მეთოდების (და მითუმეტეს კლიშეების) და სათქმელის განგრძობა ეხლა სირცხვილია.

და ისევ რაც შეეხება საქართველოს დღევანდელ მოხიბვლას კაპიტალიზმით: აქაც გასათვალისწინებელია, რომ კაპიტალიზმი არ ნიშნავს მარტო დღევანდელ პლებეურ ნეო-ლიბერალიზმს, ან ვითომდა წარმომადგენლობით დემოკრატიას (თუ ის საერთოდ ნიშნავს ამას), მას ცხადია ძალიან დიდი არისტოკრატიული და შეიძლება საქართველოსთვის საერთოდ ხელმიუწვდომი ტრადიცია აქვს.

1987 წელს, როდესაც საქართველო ინგრეოდა ეროვნულ/კაპიტალისტური სიანხლებების მოლოდინით და ჟინით, მე ჟურნალ “ნობათში” გამოვაქვეყნე სტატია მემარცხენე კომუნიზმის და მაიაკოვსკის შესახებ ღია პოზიტიური შეფასებებით. სინამდვილეში ეს სტატია ჩემი მეგობრის ლაშა ნადარეიშვილის პოეზიას შეეხებოდა. ეს მაშინ ნონსენსი იყო თვით მაშინდელი კომკავშირელებისთვის. ამის გამო დიდ ხანს ბადრი გუგუშვილის აგრესიას ვერ ავცდი. მაგრამ დღესაც მე ამით ვამაყობ, ჩემთვის.

რაც შეეხება “არსენალ მეორეს”: ვულოცავ ელიზბარ ელიზბარაშვილს მის განხორციელებას, პირველ რიგში ის მიხარია, რომ ეს ჟურნალი არ არის რაიმე ორგანიზაციასთან არსებული და არის დამოუკიდებელი, რისი კულტურაც მოიკოჭლებს საქართველოში, მიუხედავად ამდენი დისკუსიებისა და გმირობების მტკიცებისა; განხვავებით ბოლო დროს დომინირებადი ლიტერატურული გაზეთისგან “ალტერნატივა”, რომელიც მაინც აშკარად “კავკასიური სახლის” წესიერი ქალიშვილია; სამწუ-

ხაროდ, ის არც პურიტანულია, არც პერვერსიული, არც მდიდრულად ჭირვეული, არც ღარიბულად სასტიკი, – უბრალოდ: კარგად დავარცხნილი თმით, მორიდებული, მხოლოდლა კარაქიანი ბუტერბროდით ხელში, მაგრამ – ჯიუტი. წესიერება კი ნიჭის ინფილტრაციას ახდენს. სისასტიკე და პერვერსია აუცილებელი ფაქტორებია ხელოვნების (ან სულის) გადარჩენისთვის.

ვულოცავ “არსენალ მეორეს”, რომ პოტენციურად, თუ ფაქტიურად, ის არ არის წესიერი ქალიშვილი; პირველ რიგში, თავისი არსებობაში შემოსვლის პოლიტიკით და მანერით; ხილული სურვილით.

როგორც გიორგი ბუნდოვანმა აღნიშნა: ის არის “იასსარის”, “საშუალო ფენის”, “პოლილოგის” ტრადიციის გაგრძელება. მხოლოდ ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა: აქ ავტორთა წრე გაცილებით დიდია, თვით საიდანადაც კარგად დაფინანსებულ ჟურნალთა ფონზეც კი!

მაგრამ კვლავ ნიჭის ინფილტრაციის შესახებ: ჟურნალი, ჩანს, არ არის პედანტურად შეკრული, აქ არც ისეთი წესრიგია დამყარებული, როდესაც საგნები წყვეტენ ბუნებრივ ფუნქციონირებას. მაგრამ დასაბეჭდიც თითქოს აღარაფერია!

ხელოვნებაში ეს არ არის ერთადერთი მთავარი, მაგრამ სტილის ფლობა და ესთეტიკური ხერხებით თამაში ერთერთი მეთოდია მხატვრული პოლიტიკის; ანუ სათქმელის. აი, ეს ჩანს მთავარი პრობლემა არა მარტო “არსენალ მეორეს” პუბლიკაციებში. ეს ასევე შეეხება სხვა გაზეთებს და გამომცემლობებს, რომლებიც ყველამ ზეპირად ვიცით: თუნდაც, ისევ “ალტერნატივას” და სხვ.

ასევე, რომელიმე ჯგუფის უბრალოდ არსებობის ფაქტი არ არის გადამწყვეტი ფაქტორი მის ესთეტიკურ ქმედითუნარიანო-

ბისთვის, და არც ცალკეულ მის შემადგენელ ინდივიდთა შემოქმედებისთვის. სწორედ პირიქით, ინდივიდები აძლევენ ძალას ჯგუფს თუ მანიფესტს. მწერალმა უნდა მიიღოს პირადი ესთეტიკური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

როგორც ვთქვი, ეს ზოგადი ტენდენციაა დღეს, და ამას ბევრი საფიქრალი მოაქვს.

ვუსურვებ ჟურნალს გზის გაგრძელებას, დამოუკიდებელი და ნამდვილად არა-ლიბერალური ჟურნალის ტრადიციის დამკვიდრებას, პოეზიის იშვიათ გამოჩენას, მოსალოდნელი დაბრკოლებების იოლად მიღებას.

დავით ჩიხლაძე

5 დეკემბერი, 2002

### **[14.03.2003]**

ამჯერად, საპასუხო წერილის სახით, გივზავნი შეკითხვებს, რომლებსაც შენი წერილის წაკითხვის მერე, ხელმეორედ გადაკითხვისას, გზადაგზა ვინიშნავდი. შეკითხვების განსხვავებული ფორმალური გამოხატვები, ამ შემთხვევაში, ნაკლებად მნიშვნელოვანია.

1. საკითხი, თუ ვისი სიბოროტე უფრო ბოროტია, ჯალათის და მსხვერპლის დიალექტიკის ანალოგურია, ფსიქოლოგიურ სატუსალოში ერთის ჩაგდებაც შეიძლება და მეორისაც, თუ ამას რომელიმე სიტუაციაში გამარჯვებული ბრალმდებელი მოინდომებს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჯალათის ან მსხვერპლის, როგორც დანაშაულის მაპროვოცირებელი და მამანიპულირებელი საწყისის დასაბუთების ყოველი

ერთადერთი და განუმეორებელი მცდელობა თავის თავში იკეტება და ვერ ახერხებს საპირისპირო თვალსაზრისის გაბათილებას. ბრალდებაზე ასეთი თანაბარუფლებიანობა „უბედურ ცნობიერებასთან“ (პეგელი) გვაბრუნებს და გვაიძულებს, მსგავსი კუთხით საკითხის სერიოზულად დასმაზე საერთოდ უარი ვთქვათ. მე უფრო იქითკენ ვიზრები, რომ პოლიტიკური ძალაუფლების განმახორციელებელი და მისთვის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად საკუთარი თავის შემთავაზებელი ერთი და იგივე პერსონაჟის სახით განვიხილო. შეიძლება იმის დაშვებაც, რომ ეს ყველაფერი აღნიშნული პერსონაჟის ცვალებად ფანტაზიებში მიმდინარე მოვლენებია, რომლებიც თავიანთი აქტივობის მატერიალიზებას ახერხებენ. შესაბამისად, საბეჭდი დაზგა, ნათურა, რადიო და ა. შ. (ა. შ.-ში იგულისხმე თანამედროვე ტექნოლოგიური რეკორდების ნებისმიერი „ბოლო სიტყვა“) თანაბარი წარმატებით შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დიახაც ონტოლოგიური წესრიგის – და არა მაინც-დამაინც ქაოსის – ისტორიულად-მორიგი გამოვლინება. სწორედ „ბოლო სიტყვად“ დარჩენის შეუძლებლობა აქცევს შეუძლებლად თეორიულად უძლიერესი ერთადერთი მანიპულატორის არსებობას. თვით ცნობიერების ბუნებაა ისე მოწყობილი, რომ მაშინვე, როცა გაბატონებას იწყებს ერთადერთი მანიპულატორი, სისტემის სხვა ელემენტები უკვე ძირს უთხრიან მის ერთადერთობას. ამ ვნებას ძირს უთხრის თვით ნებისმიერი მოსალოდნელი მანიპულატორის შინაგანი მოწყვლადობა. ცნობიერების გამართული მუშაობა, როგორც ვიცით, მუდმივ შინაგან წინააღმდეგობებზეა აგებული, ამ წინააღმდეგობების ურთიერთშეჯახების სიმძლავრე უზრუნველყოფს ძალაუფლებისკენ-ნებას, მხოლოდ როგორც პროცესს და არა – მის გამარჯვებას. არის უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რომელიც გამორიცხავს „ბოლო სიტყვად“ ნებისმიერი ტექნოლოგიური მიღ-წევის დარჩენას: სწორედ ის, რომ ეს მიღწევები შენს მიერ აღნიშნული სტრატეგიული მიზნების შედეგია, ანუ მთლიანად განსაზღვრულია კონტექსტით, კონკრეტული სოციალური, კოგნიტური, სამხედრო ამოცანებით.

2. ინტელექტუალური ძლევამოსილება (თუნდაც თვითილუზორული, მაგრამ საკუთარ უძლეველობაში დარწმუნებული, კონტექსტის დროებითი სისუსტის ხარჯზე) არ საჭიროებს თავისი ძლევამოსილების არავითარ საბუთს, გარდა საკუთარი თავისა. ამიტომაც არის იგი ბრმა. ნებისმიერი ტიპის რობოტი მხოლოდ აჩქარებს მის სიკვდილს (აღზევების გავლით). დიქტატორისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არასასურველი პერსონის თავიდან მოშორების ბრძანებას სიტყვიერად გასცემს, ბურთულიანი კალმით დაწერს თუ ელექტროფოსტით გაუგზავნის თავის ხელქვეითებს (ისე, როგორც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სიკვდილმისჯილს ხმლით მოაჭრიან თავს, ელექტრონულ სკამზე დასვავენ თუ რომელიმე უახლოესი ტექნოლოგიური მიღწევით გააქრობენ). არსებითია სწორედ ის, რომ ძალაუფლება განხორციელდეს (მე ვსაუბრობ ცნობიერების პოლიტიკაზე და არა მეტაფიზიკაზე; მეტაფიზიკურ დონეზე თუ ვისი ძალაუფლების ემანაციაა ისტორიული ადამიანის ძალაუფლებისკენ-ნება, მეტაფიზიკური რომანების ერთი მთავარი თემა იყო და იქნება ყოველთვის).

3. რა თქმა უნდა, მოდად ტექნოლოგიური მიღწევების გამოცხადება აბსურდია. სწორედ ამიტომ, მე გწერდი ტექნოლოგიური თამაშების შესახებ, რომლებიც ბაზად ტექნოლოგიურ მიღწევებს იყენებენ(სხვანაირად წარმოუდგენელიც არის). ციფრობრივი რეალობა არა იმდენად დაკანონებულია, რამდენადაც – ოპერაციულად გავრცელებული, როგორც ნებისმიერი ტიპის კომუნიკაციის ყველაზე უფრო მობილური ფორმა დღესდღეობით, და საკმარისია მისი შეცვლა უფრო მოქნილი ტექნოლოგიებით, რომ ისიც წარსულს ჩაბარდება. ამის წარმოდგენა იოლია. შეიძლება პარადოქსად ჩაითვალოს, რომ ინფორმაციული სიუხვე, თუ ის მართლაც არ არის სატყუარა, არ ვრცელდება ე. წ. საიდუმლო ინფორმაციებზე (ნებისმიერ სექტორში) და სწორედაც რომ პირიქით, ეს საინფორმაციო გულუხვობა და დემოკრატიულობა ემსახურება დაუფლებისთვის და მართვისთვის აუცილებელი ფარული

ინფორმაციების კიდევ უფრო დაფარვას და გასაიდუმლოებას? რამდენად კეთილია ასეთი სიკეთე? რამდენად სანდოა (და ღიაა) ასეთი ინფორმაციული ღიაობა? რატომ არის ეს ინფორმაციული ეპოქა იმაზე უფრო იაფი, ვიდრე – საბჭოთა პერიოდის ორ და სამკაპიკიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთები?

4. ხელოვნება და ფილოსოფია ყოველთვის იყენებდნენ სამეცნიერო მიღწევებს, და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს დროს თვისობრივად ახალი, ამ მხრივ, არაფერი მოუტანია. მეტაფორულად რომ გამოვთქვა, ხელოვნების სულს ვერ გააკვირვებს ვერც ერთი მოსალოდნელი მოულოდნელობა და „ახალი“ ფორმებით მისი გაკვირვების მცდელობა ყოველთვის იქნება, სულ მცირე, მიამიტური მცდელობა თავისუფლებისკენ ისეთი ლტოლვის, რომელიც ივიწყებს თავისუფლებას, როგორც აუცილებლობას. დღესდღეობით ასე გავრცელებულ „არალინეარულობის“ ცნებასაც რომ მოვუხმოთ, იგი ვერ გაავლებს დამაჯერებელ ზღვარს ძველ და ახალ ხელოვნებას (ან ხელოვნების სისტემას) შორის. ამ ტიპის სამუშაო ტერიმინების გადამწყვეტი უმრავლესობა, მათი ფუნქციონირების დრომოჭმულ ეტაპზე, ყოველთვის საკუთარი მოწყვლადობის სარკედ აკრიალდება ხოლმე. „ლინეარულობაზე“ ეს შენიშვნა ხაზგასმით ითქმის. ნებისმიერ ეპოქაში შექმნილი ნებისმიერი მხატვრული ტექსტი არალინეარულია (როგორი ლინეარულიც უნდა იყოს მისი საჩვენებელი მხარე). სწორედ მათი ეს არალინეარულობა უზრუნველყოფს თანამედროვე ადამიანის მიერ მათით ტკობის შესაძლებლობას. პოსტმოდერნული ეპოქის (საერთოდ, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ელვის სისწრაფით გავრცელებული სულისკვეთების) პრიმიტივიზმის შინაარსია წარსულის აკრძალვა. პოპ-კულტურა (ფართო გაგებით, მისი ხელშემწყობი და გამაძლიერებელი ტენდენციების ჩათვლით) სწორედ იმისგან გათავისუფლების გახანგრძლივებული მცდელობაა, რაც „ძველია“. ეს პრიმიტივიზმი (სხვათაშორის, სწორედ ტექნოლოგიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული) კრძალავს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე სიძველეს, როგორც აქტუ-

აღურ ღირებულებას, და მას მხოლოდ საარქივო ღირებულებას ანიჭებს (ის, რომ „ძველი“, კლასიკური ტექსტების, როგორც ახალი ტექსტების საკეთებლად ღირებული ნედლეულის, გამოყენება დღეს მართლაც მოდაშია, სწორედ კლასიკის თავიდან მოშორების პანიკური მცდელობაა; არა ყოველთვის). მაგრამ ის ამას სჩადის შემოვლითი გზით, პლურალიზმის ხაზგასმით და მანიფესტირებით. მაგრამ, ჩემი დაკვირვებით (შესაძლოა, მცდარი დასკვნით), ესაა ამკრძალავი პლურალიზმი(ან – ნებისდამრთველი, რაც ისევ და ისევ ამკრძალავია), მას არ ჰყოფნის ჰორიზონტი წარსულის, როგორც მარადიული აწმყოს მისაღებად და იმ კულტურაზე თავისი პლურალიზმის გასაგრცვლებლად, რომელიც აქტიურად არის ორიენტირებული წარსულის ტექსტებზე, როგორც მარადიულ ღირებულებებზე. ამის ერთ-ერთ საბუთად წარმომიდგენია დღესდღეობით გავრცელებული და გავლენიანი ტენდენცია, - ყოველი სახელოვნებო-ტექნოლოგიური სიახლისგან იმის მოლოდინი, რომ ამ „უკანასკნელმა“ რაც შეიძლება დამაჯერებლად ნათელყოს ძველი ტექსტების უსარგებლობა(თუ არა, როგორც ისტორიული ნედლეულის) და სიახლის პრიმატული ხასიათი. აი, ეს პუნქტი, სხვა ყველაფერზე რომ თვალი დავხუჭოთ, აამკარავებს აღნიშნული ტენდენციის სწორედ არატოლერანტულ შინაარსს. ამიტომაც არის დარჩენილი ცალკეული გურმანების ან საუნივერსიტეტო ინტელექტუალების იმედად, ძალიან ხშირად, მუხილი, პრუსტი, იუნგერი, ბერი სხვა რთული მწერალი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სწრაფად მათი „ათვისება“ შეუძლებელია. ასეთი პრიმიტივიზმი ყოველთვის უფრო გულუხვია მსგავსი ღირებულებების დათმობაში, ვიდრე – ნებისმიერი მოსალოდნელი სიახლის (როგორც ვთქვი, ეს „სიახლე“ აჩენს იმედს, რომ შეიძლება შვებით ამოსუნთქვა და ასეთი სირთულისგან გათავისუფლება, თუნდაც – დაგმობილი პროგრესის სახელით, ცნობიერად ან გაუცნობიერებლად). არადა, სწორედ ამ „რთულმა“ მწერლებმა შექმნეს ის ახალი ესთეტიკა, რომელსაც ვერავინ უარყოფს. მითუმეტეს ვერ უარყოფს ამას



საინფორმაციო ეპოქა, რომლის ფაქტობრიობას და შედეგებს ასევე ვერავინ უარყოფს. უბრალოდ, მე ყურადღებას ვამახვილებ პოზიციის ფაქტორზე, რომელიც ისევე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია, როგორც – ნებისმიერი მიდგომა(ან ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრების გზაზე სხვადასხვა დროს შემუშავებული სხვადასხვა ხედვა და საყრდენი პუნქტები). პირადად ჩემთვის, ერთადერთი სანდო და გასაზიარებელი პლურალიზმი არაქრონოცენტრისტული პლურალიზმია, სრული ღიაობა ისტორიაში არსებული ნებისმიერი ტექსტის მიმართ. ამას გვასწავლიან თვით ეს დიდი ტექსტებიც: „ილიადა” იქნება, „ღონ კიხოტი” თუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება”, რომლებიც ასეთი ღიაობის მართლაც რომ თავბრუდამხვევ მაგალითს იძლევიან: მათ შეუძლიათ ქრონოლოგიურად მათი შექმნის შემდგომ ეპოქებში მცხოვრები ნებისმიერი მკითხველის წაკითხვა, მათი შიშების, „კომპლექსების” ნათელყოფა, მათი სიყვარულის და დაფარული იმედების ამოცნობა. ბოლოსდაბოლოს, მათ შეუძლიათ დიალოგი ნებისმიერთან, ვისაც ამის მოთხოვნილება აქვს. და, რაც ჩემთვის ასევე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური თვალსაზრისით: მათი კონტროლირება, მათი მართვა შეუძლებელია. გავთამამდები და ვიტყვი, რომ შეუძლებელია ამ ტექსტებით ტკობის განმცდელი ნებისმიერი ადამიანის კონტროლირებაც. შესაძლოა, ეს სიტყვები კონტროლის თანამედროვე, მეტად დახვეწილი ფორმების ფონზე გულუბრყვილოდ უღერდეს (რასაც ვაცნობიერებ), მაგრამ მე გამხელ იმას, რაშიც ეჭვი არასდროს შემპარვია: ადამიანი, რომელიც კითხულობს პლატონს და დეკარტს, არაკონტროლირებადია, უმართავია (გასაგებია, რომ ყველა ვერ წაიკითხავს პლატონს და დეკარტს). იმ ასაკიდან, როცა კლასიკური ფილოსოფიური ტექსტებიდან არც ერთს არ ვიცნობდი და შემეძლო ინდური სიბრძნის ფრაგმენტები მეტი სიამოვნებით მეკითხა, ვიდრე ამას დღეს ვახერხებ, დამამახსოვრდა ერთი იგავი, რომელიც კარგად გამომათქმევინებს ჩემს დამოკიდებულებას ინფორმაციული ეპოქის მიმართ (და მინდა ხაზგასმით

აღნიშნო, რომ ჩემი დამოკიდებულება ამ ეპოქის მიმართ არ არის ნეგატიური ან პოზიტიური, ის პოზიციურია): ერთმა კაცმა გურუსთან მიიღბინა და, მისი გაკვირვების იმედით, იქვე მყოფ სპილოზე მიუთითა, შემძლია ეს სპილო ბუზად გადავაქციო. გადააქციეო, უთხრა გურუმ. კაცმა მართლაც გადააქცია სპილო ბუზად. ახლა შემძლია, ეს ბუზი ისევ სპილოდ გადავაქციო. გადააქციეო, მიუგო გურუმ. კაცმა ეს სასწაულიც მოიმოქმედა. გურუმ კი კაცს მშვიდად ჰკითხა, - მერედა, შენში რა შეიცვალაო.

5. ომი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს აღმოსავლეთის წინააღმდეგ, ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო და თანამედროვე საომარი სიჩქარეები, ჩემი აზრით, გადის არა დროის ფარგლებიდან, არამედ – ისტორიაში (მარტო ჯვაროსნული ლაშქრობის „გვერდითი“ მიზნები ან კათოლიკე მისიონრების მიერ ათასობით რისკის ფასად შედგენილი აღმოსავლეთის დეტალური გეოგრაფიულ-სტრატეგიული რუკები და აღწერები ან მათივე პირწმინდად სამხედრო-პოლიტიკური რეპორტაჟები რად ღირს!).

6. რა თქმა უნდა, ცენტრიდანული, არა როგორც სწრაფვა ცენტრისკენულისკენ, არამედ – ცენტრიდანული, როგორც ცენტრისკენული. ისტორია გვასწავლის, რომ „შედევების მიძღები“ ყოველთვის იყო უხილავი, ვინაიდან ყველა მიღწეული შედეგი ითხოვს ფარულ ბრძოლას ახალი (უფრო „უკეთესი“, „გაუმჯობესებელი“) შედეგებისთვის, ასეთი ბრძოლის დაფარულობა კი, ხილულზე ორიენტირებით, ყოველთვის პარადოქსულად ხილულია, თუნდაც იმ უხილავი ანთროპოლოგიური კოდების სახით, რომლებიც მოთამაშეშიც და მაყურებელშიც (მანიპულატორშიც და მანიპულაციის ობიექტშიც) იდენტურია. არც ერთი მანიპულატორი არაა დაინტერესებული ობიექტში ამ კოდების დაჩლუნვებით ან მოსპობით, რადგან სწორედ კოდების იდენტობა უზრუნველყოფს მანიპულატორის არსებობას (თუნდაც, უხილავი სახით, მაგრამ – მანც არსებობას). „რეალური რეალობის“ ტავტოლოგია სწორედ უხილავ, გაუჩი-

ნარებულ მანიპულატორად ვერყოფნის ტრავმა, ისე, როგორც ბუმის საჯარო თვითკასტრაცია საზოგადოებისთვის და პრესისთვის ომის უხილაობაზე მითითებით სხვა არაფერია, თუ არა მეტაფიზიკურად უხილავთან იდენტიფიკაციაზე ოცნების „გოიმურად“ გახმოვანება, სწორედ საზოგადოებისგან და პრესისგან დახმარების არადიპლომატიური, მეტიც, მათხოვრული მოთხოვნა (როგორც წესი, სერიოზული პოლიტიკოსები მსგავს ოცნებებს არ ახმოვანებენ, ხოლო საზოგადოებას სთავაზობენ შავ-თეთრ „ასლებს“, და კმაყოფილდებიან სიღრმის ეფექტის მქონე მითოლოგიების კვლავწარმოებით).

7. პროდუქცია რომ ფლობის პრიმატს არ წარმოადგენს (ეკონომიკაში), მისხალითაც არ აუქმებს პროდუქციის წარმოების აუცილებლობას. სწორედ განვითარებულ ქვეყნებშია ოქრო ქვაზე მძიმე, შესაბამისად კი, როგორი მსუბუქი და ყველაფრის მომცველიც არ უნდა იყოს, ვერც ერთი ვირტუალური ნიშანი ჰაერზე მსუბუქი ვერ გახდება, ანუ, ყოველთვის გამობმული იქნება ოქროს ზოდებზე (ამ ზოდებზე მიბმულობის წინააღმდეგ მისი ამბოხის მაჩვენებელია ის პროცესი, რომელსაც კარგად ახსნიათებ, როგორც არარსებული ნიშნებით მანიპულირებას). და როცა ეს ბლეფი გასკდება, ნომერ პირველ ტერორისტად ოქროს ზოდები მოგვევლინებიან.

8. კარზე ცხელი ფუნთუშების მიტანა, როგორც მეათეხარისხოვანი, მაგრამ ფაქტობრივი, ისეთივე ბიზნესია, როგორც – ინფორმაციის სისწრაფე და სოფისტიკურობა. მაგრამ ბიზნესად ვერ გადაიქცევა საკვების მიღების აუცილებლობა, და ეს უმარტივესი აუცილებლობა გადის ბიზნესის ცვალებადი ფორმების კონკურენციიდან, ის ადამიანს ყოველთვის დააბრუნებს საკვების მიღების და მონელებულ-გადამუშავებული საკვების გამოყოფის პროცესებთან, და ეს უზრუნველყოფს ნებისმიერი მოსალოდნელი ბიზნესის მესახარისხოვნებას და უჩინარი ბიზნესის კეთების ნებისმიერი ჩანაფიქრის კრახს მტერთან შეჯახებამდე დიდი ხნით ადრე, ჩანასახშივე. ამ ძირეული აუცილებლობის მარადიულობიდან მარადიულ ღირებუ-

ლებებამდე გადებულ ხიდზე მიმავალი ადამიანია ის ხატი, რომელსაც ვერ გააუფერულებს (და, მითუმეტეს, ვერ გააუფასურებს) ვერც ერთი დროის ვერც ერთი უძლიერესი და თითქოს ყველა შესაძლებლობის ამომწურავი ბიზნესი. ამ ხატის ფუნდამენტური ნიშანი კი უსათუოდ არის „ხელოვნება, როგორც ცხოვრების ნებისმიერ რეალობასთან შეუგუებლობა“.

9. განათლების და ინფორმაციის გათანაბრებაც, ბევრი სხვა ბიზნესის მსგავსად, უმრავლესობის (მასების) გულის მოგებას, უკეთ, მოტყუებას ემსახურება (ხაზს ვუსვამ: ემსახურება! ანუ, ეს უკვე სასიკეთო ტენდენციაა, ტოტალური თვითდისკრედიტაციის შესაძლოა ბოლო საფეხური, როცა ილუზიები უნდა დაიმსხვრეს; ბატონისა და მონის ჰეგელისეული გენიალური იგავი, რომელიც ნებისმიერ უახლეს პოსტმოდერნისტულ ტექსტზე უფრო თანამედროვედ აღიქმება, სწორედ ასეთი პროცესების უცილობელ ხასიათს აანალიზებს და სწორედ იმას გვასწავლის – მიუხედავად იმისა, ვისწავლით თუ არ ვისწავლით! - , რომ ისინი სისტემის ორი მხარე კი არა, ორი მდგომარეობაა, სადაც ერთი მდგომარეობის მიერ მეორისადმი დაქვემდებარებული სამსახური აუცილებლად ხდება დამქვემდებარებლის დამქვემდებარებელი, და ეს ერთსაც და მეორესაც თანაბრად ესაჭიროება, რათა არსებობა შეინარჩუნონ; მათთვის ერთმანეთის გამოცდილება შინაგანად ცნობილია, და ამის ძალით შეუძლიათ ერთმანეთის მდგომარეობაში აღმოჩენა). არადა, განათლების და ინფორმაციული ნაკადის ძირეული, თუნდაც ხარისხობრივი, ურთიერთგანსხვავებულობის შესახებ რომელ სხვა ეპოქას მოეპოვება უფრო მეტი არგუმენტი, ვიდრე – ასერიგად გამოცდილ ჩვენს დროს. სწორედ ეს დრო აძლიერებს აქცენტს განათლების არასაგანმანათლებლო ხასიათზე და მის არადემოკრატიულობაზე. ეგაა მხოლოდ, რომ მასას განათლება არ სჭირდება, მასას სჭირდება ინფორმაციული ბურუსი და სისწრაფე (შენი სიტყვების რემინისცენციით, სოფისტური სისწრაფე), რომელიც მას თავის ერთადერთობას სხვების ერთადერთობის ნიველირების ხარჯზე „მოაპოვებინებს“. ასეთ

ბრიყვეულ ილუზიაზე ამოზრდილი „ერთადერთობა” კი მომგებიანი ბიზნესია დიხაჯ იმათთვის, ვინც პროგრესს აკეთებს. ჩემი რწმენა ისაა (და, ეჭვი არ მეპარება, შენიც), რომ განათლებული და განათლებაზე ორიენტირებული პიროვნებები ამ საქმით, ამ სიუხეშით, არასდროს დაკავდებიან (განათლების ნაკლებობა შეიძლება მიმართული იყოს ნაკლებობის გაზრდისკენაც და შემცირებისკენაც). არის ერთი ფუნდამენტური განსხვავება: პანინფორმაციულობაში აზროვნებისთვის ადგილი არ რჩება, განათლება კი სწორედ აზროვნების ადგილსამყოფელია. შესაბამისად, ინფორმაციის პროდუცირების პროცესში ჩაბმულ ადამიანს აზროვნება და განათლება არ სჭირდება (სწორედ ამიტომ მოხდა, როგორც მე ვხვდები, რომ ორტეგაი-გასეტის მიერ მცოდნისა და სპეციალისტის დისიუნქციიდან ლიოტარმა ყურადღება გადაიტანა ცოდნის ლეგიტიმაციის, როგორც ჩვენი დროის არსებითი პრობლემის, საკითხებზე. ამიტომ არის, შენს მიერ ნახსენებ კონტექსტში, ჩინელი მეცნიერების შრომა მაღალხარისხოვანი რობოტების შრომა, და მეტიც არაფერი(იმის მიუხედავად, თუ ვინ ყიდულობს მათ შრომას)).

9. „სწორედ მეორე, აპოლონური ფლანგია სენტი-მენტალური, მაგრამ სოციალურად და პოლიტიკურად არა-აქტიური”.

10. ის, რომ გადარჩენის საჭიროების არდაჯერება შენი სამუშაო მოდელია, მიდასტურებს ჩვენი პოზიციების თანხვედრას. მეტიც, შენი ცხოვრებისეული და სახელოვნებო აქტივობა გადარჩენის საჭიროების ერთ-ერთ საუკეთესო (და სიცოცხლისუნარიან) მეტაფორად წარმოიძღვრება. არა იმდენად მალეზიანებს, რამდენადაც მაინტერესებს ერთი და იგივე დრამის (უფრო დრამის, ვიდრე ტრაგედიის) სხვადასხვა დროში უწყვეტად განფენილობის საიდუმლო: იმ აზრით, რომ მის ამოხსნას კი არა, მის თემატიზებას ვესწრაფი; უკეთ, მისი გამოვლენილი ნიშნების თემატიზებას. თუნდაც, დიონისური და აპოლონური საწყისების არა დაპირისპირება ან შერიგება, არამედ ერთმა-

ნეთში მათი ჩართვის სააზროვნო ფიქცია: აბოლონური, როგორც დიონისურის შინაარსი ან – პირიქით. როგორ ხდება, რომ ერთს შეუძლია მეორის აფეთქება (და ცეცხლის დანთება) მხოლოდ შიგნიდან და მხოლოდ არალოგიკურ დროში? მიაბიტური, მაგრამ გულწრფელი პოზიცია უნდა გულისხმობდეს აზრს, რომ გადარჩენა საჭიროა, სულ მცირე, იმიტომ, რომ არსებობდეს თუნდაც მომლოდინის გარდაცვალების მერე დარჩენილი პერმანენტული მოლოდინი იმ კითხვაზე პასუხისა, ტრაგედია „არსებობს“ თუ „არ არსებობს“, სწორედაც ბრჭყალებში ჩასმული „არსებობა-არარსებობის“ თანხლებით.

11. რა შეიძლება იყოს, შენი აზრით, არა-ყბედობის მაგალითი? გარდა ამისა: როგორ გესახება განსხვავება წმინდა ყბედობასა და წმინდა წყლის ყბედობას შორის?

P. S. რაც შეეხება “მეორე არსენალის” პრეზენტაციისთვის გაგზავნილ შენს წერილს, მონატრებით წავიკითხე. სხვა დროს, ალბათ, დავუბრუნდებოთ შენს მიერ იქ წამოჭრილ თემებს და საფიქრალს.

ელიზბარმა მეც მომმართა თხოვნით – პრეზენტაციამდე ორი დღით ადრე – ჩემი აზრი მიმეწოდებინა განხილვისას საჯაროდ წასაკითხად. დრო ცოტა იყო, სათქმელი – ბევრი, ამიტომ თავი შევიკავე. „კავკასიურ სახლში“ განხილვის მოწყობის გადაწყვეტილება, სავარაუდოდ ბუტერბროდებიანი დესერტით, როგორღაც არ მესიამოვნა. ეს რომ შორს გამიზნული და აზრიანი თამაში ყოფილიყო, როგორმე მოვუძებნიდი გამართლებას. ეს უფრო გამოუცდელობის გამო თავის თავში დარწმუნებული და სურვილის ასრულების აღტაცებით გაბრუებული ყმაწვილის საქციელი იყო, ვიღაც მნიშვნელობამინიჭებული მეტოქეებისთვის ნიშნის მოგება რომ უნდა. როგორც ჩანს, სიტუაციის ორაზროვნებას თვითონაც ხვდებოდა, რაკი თხოვნასთან ერთად მაინცდამაინც „კავკასიურ სახლში“ განხილვის მოწყობის მოტივირებას ცდილობდა (მოტივაციის შინაარსი არ მახსოვს, განცდა კი უსიამოვნო დამრჩა). ჯერ

ხეირიანად დაწყებულიც არ ჰქონდა საქმე, რომ უკვე დაამთავრა. თუმცა, ელიზბარი, სავარაუდოდ, მოსალოდნელი ტენდენციის პირველი მერცხალი ჩანს. ვგულისხმობ მონდომებას და ამბიციას, რომლის უკან დაბალი პიროვნული და კულტურული გამოცდილება დგას; როცა არსებობს ენერგია (თუნდაც სუსტი), მაგრამ არ არსებობს გააზრებული კულტურული პოლიტიკა და გემოვნება. მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მის ხელთ აღმოჩენილი პირველივე ტექსტების გროვა, როგორც ნაკვით სავსე ვედრო, ისე ჩაუშვა სანაგვე ბუნკერში (ანუ, კარგი მასალებიც დაზარალდა). ვერც იმას მივხვდი, რატომ არის ეს ჟურნალი მაინც და მაინც „იახსარის“, „საშუალო ფენის“ და „პოლილოგის“ გაგრძელება; პირიქით, ისეთია ჟურნალიც და სცენაზე მისი გამოსვლის ხერხიც, თითქოს ჩამოთვლილი გამოცემები საერთოდ არ არსებობდა. მახსოვს, ჯერ კიდევ თბილისში ჩემი ყოფნისას, საათობით ვესაუბრებოდი(მისივე დაინტერესებით) მის მიერ ჩაფიქრებულ ამ საჟურნალო იდეაზე. გული დამწყდა, - ნუთუ, სულ არ მისმენდა? მე მაინც დაეთანხმდი, რომ მეორე ნომრისთვის მასალას გავუგზავნი, მხოლოდ იმიტომ, რომ თანადგომა გამოვხატო მის მიერ დაზარალებული შრომის მიმართ, და იმ აზრსაც არ ვაქციო ზურგი, რომ პირველი ნაბიჯის მიხედვით მსჯელობა, მით უმეტეს ჟურნალზე, ძნელია.

დათო, 14.03.2003, მიუნსტერი

**[15.03.2003]**

კარგი, მაშინ ასე დავიწყებ, რომ გადარჩენის საჭიროება არ არსებობს მანამდე, სანამ ის არ არსებობს! და ამის შესახებ ქვემოთ ერთ იაპონურ ანდაზასაც მოვიყვან. დიდი განსხვავებაა თუ რომელ გადარჩენაზე ვლაპარაკობთ: რასაც თავის გატანა

ეწოდება, თუ ე.წ. სულიერი გადარჩენა. პირველი შემთხვევა სემანტიკურად მარტივია, მეორე უფრო სუბიექტივისტურია. მე მგონია, რომ ეს ჩვენ დიალოგში ხშირად ირევა უნებურად. მერე, აქაც პრიორიტეტების საკითხია, ხომ იცი, ზოგს სახელი აქვს ქონება, ზოგს მოსახვეჭელი, ზოგს კი სამოთხეში მოხვედრა, ზოგსაც შვილები და მშობლები. ეს ნამდვილად ჩემი სამუშაო მოდელია, ეს მოდელი მაგიდაზე დევს, და ამ მაგიდაზე იმდენი რამე დევს, რომ ხანდახან ვიწყებ რალაცის ძებნას, მის ძებნას, მერე ვფიქრობ, რომ გადარჩენას ვეძებ, ყველაზე ძირეული აუთენტურობის გადარჩენას, მერე ვპოულობ ამ მოდელს, რომ გადასარჩენი არაფერია, და მერე ყველაფერს (სახელებს/საგნებს) ადვილად ვპოულობ ასევე.

დიდი განსხვავებაა საინფორმაციო ეპოქის ფორმასა და შინაარსს შორის: შენ საუბრობ საინფორმაციო ეპოქის შინაარსის სამანიპულაციო სიუხვეზე და პოლიტიკურ “სიჭრელეზე”, რაც მართლაც არა თუ შეიძლება, არის კიდევ თვალის მოსაჩუყებელი მექანიზმი. (და ეს ჩემთვის თავის გატანის ეკვივალენტია).

მე ვსაუბრობ მასზე, როგორც ახალ ტექნიკურ ფორმაზე, და აქედან გამომდინარე ეთიკის სტილის (!) სახეცვლილებებზე, რაც შედარებით არ არის კარგად ათვისებული (ისევე როგორც ი-მეილსა და კონვენციურ საფოსტო წერილს შორის განსხვავება; მე ბევრჯერ მომიწია ელექტრონული წერილების უკან სატელეფონო ზარების დადევნება, რადგან შედეგები გამოუსწორებელ სახეს იღებდა, რადგან ი-მეილში მაგალითად არ აღიქმება მეტყველება იმგვარადვე, როგორც ეს აღიქმება საფოსტო წერილში. ეს სხვა სპეციფიკური მიმართულებაა, ზოგჯერ კი შედეგები მართლა ტრაგიკული აღმოჩნდა, ანუ მე ამხანაგები, როგორც იტყვიან, დავკარგე, მაგრამ მხოლოდ – შემდგომ სატელეფონო ზარამდე!! ხუმრობა ამ შემთხვევაში



კარგია, მაგრამ ტრამვა შეიძლება ისე ძლიერი იყოს, რომ სატელეფონო ზარი აღარც გაგახსენდეს).

ადვილი გასაგებია, რომ ახალ საშუალებებს ცხოვრების ეთიკის და მორალის სახეცვლილებები მოაქვს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენი ეპოქის ე.წ. სულიერი გადარჩენის პერსპექტივა საინფორმაციო ეპოქის ენაში უნდა იყოს მოსაძებნი.

შენ საუბრობ დაჟინებით შინაარსზე, კერძოდ ძალაუფლების შინაარსზე, და მე ვაღიარებ, რომ ამ მხრივ მართალაც დამაკვიანდა. რადგან ზოგადად მეც ასე მიმაჩნია, რომ როდესაც გლეხი საკუთარი ქალიშვილის გაყიდვაზე ფიქრობს, რათა ოჯახი შიმშილით დაღუპვას გადაურჩეს, იქ იაპონელისთვის ასე მშობლიური უბრალოების ჰარმონია აღარ არსებობს (კაცუაკი ტანაჰაშის პერიფრაზით რომ ვთქვა; სხვათაშორის, ბოლო დროს წაკითხული წიგნებიდან ჩემს რეიტინგში პირველ ადგილზეა ჯერჯერობით). კონკრეტულად კი დღეს მართლაც თავის (თუ ქვეყნის) გატანა და ფიზიკური გადარჩენა საქმეც და ნომერი პირველი საჭიროებაც. (ამ მხრივ მე ცოტა დამავიანდა, ან იქნებ ორივეს დიდი ხანია დაგვაგვიანდა?!).

“მედიუმი არის გზავნილი” – მაკლუენის ეს ლოზუნგი, ან რომ ფორმა უკვე თვითონ არის შინაარსი, საინფორმაციო ეპოქის განვითარებულ თუ აპოფეოზურ სტადიაზე მართალაც კარგავს აზრს ამ გაზრდილი მანიპულაციების წინაშე; მითუმეტეს, როდესაც ასეთი მანიპულაციები უაღრესად გართულებულია, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით.

სხვა მხრივ ამას ინფორმაციული ომიც ეწოდება, და ცხადია, რომ ეს არის სწორედ შენი აპელირების საგანი, და არა ინფორმაციის ესთეტიკა.

მაგრამ: მეც რადგან ვამბობდი წინა წერილში, რომ უმაღლეს წერტილში (რისაც შენ დაჟინებით არ გჯერა, და რასაც

“უბედურ ცნობიერების” რეალიას მიაკუთვნებ) ეთიკა და ესთეტიკა ეკვივალენტური ხდება (ეთიკის სტილი!), და სწორედ ამიტომ მე დამაგვიანდა შემეხედა დღევანდელი მედიის რეალობისთვის, როგორც მორიგი საინფორმაციო ომისთვის ძალაუფლებისათვის. ამით მე იმედი მაქვს, რომ შენს დასმულ რამდენიმე შეკითხვას ერთდროულად ვპასუხობ.

შემდეგ, “ილიადა” და “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაი” რომ დღევანდლობის (ანუ ჩვენს) პრობლემებს წყვეტდეს, მაშინ ან ჩვენ არ გვქონია რეალური პრობლემები და არაფრად ვღირებულვართ, ექსისტენციური დინამიკის თვალსაზრისით, - ანდა მათ მართლაც ან ძალიან საჭადრაკოდ ბევრი გათვალეს (ანუ რალაცით მიუახლოვდნენ კომპიუტერს), ანდა ხელდასხმულნი ყოფილან, და მეტაფიზიკა უფრო გამოიყენეს, ვიდრე ესთეტიკა. ძალადობის დანახვა, მისი განცხადება, და შემდეგ კი, უცნაურია, იდილიაში გაქცევა (თუნდაც პოეზიის იდილიაში) ომის დამთავრებას არ უდრის, და შეიძლება აღარც პოეზიას უდრიდეს. რადგან პოეზია ნაწილია ცხოვრების, და მისი მიზანი არის კომუნიკაცია. მე, რა თქმა უნდა, იმას არ ვგულისხმობ, რომ შენ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ იდილიაში გსურს თავის შეფარება, მაგრამ იქნებ ამისხნა ეს წინააღმდეგობა (რაც, ჩემი აზრით, სწორედ ის წინააღმდეგობაა, რასაც შენ ცნობიერების მამოძრავებელ ძალად განიხილავე), როდესაც შენ ერთის მხრივ გადარჩენის ყველაზე უტილიტარულ ფორმებს ეხები, როგორიც არის პოლიტიკური ძალადობისგან გადარჩენა (და გეთანხმები, ეს დღეს მართლა აქტუალურია და მე დავაგვიანე!), მეორე მხრივ კი ხაზს მკვეთრად უსვამ, რომ ყოველგვარი თანამედროვე ორომტრიალი ძალზე ფუჭია და ბათილი, და რომ ჩვენ ეხლა მშვიდად შეგვიძლია მივუბრუნდეთ გრიგოლ ხანძთელს (და არა თუნდაც ჟიჟეკს ან შევარდნაძეს ან გორბაჩოვს). რა თქმა უნა, ეს ჩემი მსჯელობა მაქსიმალისტურია, შენი დისკურსი არ არის ასეთი ერთნიშნა, მაგრამ მე კერძოდ ამ ერთ დეტალზე გავამახვილე ყურადღება და

მასზე პასუხის მცდელობაც, ეხლა თუ არა, მომავალში, საინტერესო ნამდვილად იქნება.

რენე დეკარტის წიგნიც (შეიძლება ეს სიურპრიზია) სწორედ იმ გადაგდებული წიგნების სიაში აღმოჩნდა ერთი წლის წინ, რაც ჩვენი მიმოწერის დაწყების ფორმალური მიზეზი გახდა. არ ვიცი, შენ რა გაქვს მისი წაკითხული, მე კი გამცნობ, რომ დავვიანებით წავიკითხე “მედიატაციები პრიმა ფილოსოფია”. წიგნს როგორც ღარიბ ლიტერატურას თითქოს არა უშავს, ცოტა მონოტონურია, მაგრამ მთავარი ეს არ არის – მისი ბიოგრაფია, და კერძოდ გამაღიზიანებელი მესიანელობა (ამკარად მასონური, ამ სიტყვის ავტორიტარულ-სქოლასტიკური და არა ბულვარულ-ჟურნალისტური გაგებით, და იყოს თუნდაც ის მესიანურ-ქრისტიანული ხასიათის!) სწორედ იმ პროგრესის ერთ-ერთი პირველი საფეხურია, რასაც შენი ნახსენები იგავ-არაკული ინდოელი გურუ ასე ინფანტილური სერიოზულობით დასცინის. მე პირადად ამ გურუს ინფანტილურ ანუ *იდეალისტურ ბრძნულობაში* დავადანაშაულებდი, რადგან მას რატომღაც არ სურს იცოდეს, რომ ცვლილება მუდმივია ყველგან და ყველაფერში (და ამით მართლაც კარგად მანიპულირებს ზოგიერთი), დეკარტს კი ადამიანის დაპროგრამების პირველ მცდელობებში ვადანაშაულებ, ის ნამდვილად პიონერია არა იმდენად კომპიუტერული პროგრამირების, რამდენადაც კომპიუტერულად დაპროგრამებული საერთაშორისო რელიგიური სექტანტიზმების, მათი კაცობრიობის ჰარმონისაკენ სწრაფვებით. მისი რადიკალური სუბიექტივიზმი არის მშობელი დღევანდელი პლურალიზმის სენის.

ცვლილება არის ერთადერთი რაც უცვლელია, და ამიტომაც ჰქვია მას ცვლილება. გადარჩენა არის ერთადერთი გადაურჩენელი, და ამიტომაც ჰქვია მას გადარჩენა.

საერთოდ, მესიანური ფილოსოფოსები მე არასოდეს მიზიდავდა (და არც პოეტები), რადგან თუ მოვისურვებდი, ამ დეფიციტს

რელიგიებიც კარგად შემივსებდა. რელიგიების კი, როგორც თითქოს ჩემი ნამდვილი რეალობის, მე არასოდეს მჯეროდა, მე მათ ვსწავლობდი ფორმალისტურად, რათა მენახა ის სტრუქტურული ხარვეზები, ფანჯრები, საიდანაც ისევ ცხოვრებაში, ჩემს რეალურ და ილუზორულ ცხოვრებაში შემოვიხედებოდი. მინდა გამცნო, რომ ასეთი ხარვეზებით რელიგიები, საბედნიეროდ, პირთამდეა სავსე. დეკარტს, ცხადია, ამ ხარვეზების მოსპობა სურს. ფანჯარა, ცხოვრების სურათის მოჩარჩოება მისი თემა არ არის! მისი თემაა კარი, შენობა და შემდეგ “უსაზღვროება”. მე მგონი, ამ თემაზე დიდხანს ეხლა ვერ გავაგრძელებ, შეიძლება არც უნდა დამეწყოს, რადგან ეს გზა სხვა მეცნიერებთანაც მიგვიყვანს ძალიან მაღლე, თუნდაც კოპერნიკთან, რომ არაფერი ვთქვათ დარვინზე.

*“მე უფრო იქითკენ ვიხრები, რომ პოლიტიკური ძალაუფლების განმახორციელებელი და მისთვის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად საკუთარი თავის შემთავაზებელი ერთი და იგივე პერსონაჟის სახით განვიხილო. შეიძლება იმის დაშვებაც, რომ ეს ყველაფერი აღნიშნული პერსონაჟის ცვალებად ფანტაზიებში მიმდინარე მოვლენებია, რომლებიც თავიანთი აქტივობის მატერიალიზებას ახერხებენ.”* ამ შენი ციტატის ბოლო ნაწილს თუ ავიღებთ, განა ასეთი მოდელი სწორედ დეკარტის მოდელი არ არის? ეს ხაზი კარგად გრძელდება ნიუ ეიჯის ფილოსოფიაში, (რადგან ე.წ. აკადემიურ ფილოსოფიაში სექტანტისტურ უტოპიებს ადგილი არა აქვს), კერძოდ არა ბოდრიართან, არამედ რობერტ ანტონ ვილსონთან, ანუ ამ თემატიკას თვით ბუდიზმში ან დასავლეთის მაგიაშიც არა აქვს ანალოგი, როდესაც ალისტერ კროული ამბობს ერთ მოთხრობაში, რომ თუ ღმერთი არ იძიებს შურს ამ პატარა მოკლული ძაღლისთვის, მაშინ ამას მე გავაკეთებო! ვილსონი დღეს კროულის ერთ-ერთ ავტორიტეტულ გამგრძელებლად აცხადებს თავს (რა თქმა უნდა ვითომ მინიშნებით და ხუმრობით!), მაგრამ ის

სინამდვილეში დე მოლის გაგრძელებაც არ არის, არამედ შე-  
იძლება გორბაჩოვის და დეკარტის.

მასებს რა სჭირდებათ, დაე, ეს მარქსმა, ლენინმა ან ჰიტლერმა  
განსაზღვრონ, მე ვიცი და მჯერა, რომ ადამიანს სჭირდება  
სამშობლო და საკუთარი “აყვავილი ტურფა მხარელ”. ორტიგა-  
ი-გასეტს არ შეეცხები, თუმცა მისი აფიშირებული ლიბე-  
რალიზმი ფილოსოფოსის სახეს პოეტურ შტრიხებს არ მატ-  
ებდა.

გამიგებ, თუ ყველა შენს შეკითხვას ეხლავე პედანტურად არ  
გავყვები. “მეორე არსენალზეც” ნამდვილად მინდა საუბარი.  
არა-ყბელობის მაგალითზე შეკითხვობდი. მე მგონია, რომ ყბე-  
ლობა არა-ყბელობის მაგალითი, ამიტომაც ეწოდება ყბელობა.

დათო ჩიხლაძე 15 მარტი, 2003 ნიუ იორკი

### **[18.03.2003]**

ისე, არ გამოვრიცხავ, რომ ინდოელი გურუს იგავი დი-  
ახაც მისი „ინფანტილური სერიოზულობის” და „იდეალის-  
ტური ბრძნულობის” გამო დამამახსოვრდა, რაკი ბავშვობის  
ასაკში წავიკითხე, როცა ეს მახასიათებლები ბავშვის გონებაზე  
და წარმოდგენებზე მაგიურად მოქმედებს. მაგრამ ნაბან წყალს  
ბავშვი რომ არ გადაჰყვეს, გურუსაც უნდა გაუგვოთ: მან ზუ-  
სტი პასუხი მოუნახა ჯადოქრის ინფანტილიზმს და არა –  
იმ ონავარი ბავშვის თამაშს, რომლისთვისაც ბუზს და სპილოს  
შორის განსხვავება, ძირითადად, ფორმალურია.

რაც შეეხება დეკარტს, აქ შენი წერილის დანართში,  
მეტად მნიშვნელოვან კონტექსტში მოთავსებით მართლაც  
რომ გულში ჩამწვლამად გაუღერებული სიტყვები „ინდივიდია

მთავარი” უნდა გავიხსენო, მერე დეკარტთან დაკავშირებით შენს მიერ ჩამოთვლილი შეფასებები ამოვწერო (კერძოდ: „გამადიზიანებელი მესიანელობა, აშკარად მასონური”, „მესიანურ-ქრისტიანული”, „იმ პროგრესის ერთ-ერთი პირველი საფეხური”, „ადამიანის დაპროგრამების პირველ მცდელობაში ეჭვიმტანილი”, „რადიკალური სუბიექტივისტი”, „დღევანდელი პლურალიზმის სენის მშობელი”) და ბოლოსდა მივუბრუნდე საწყალ დეკარტს, რომელიც ამ ორ უკიდურესობას შორის ბეჭებზე გაკრული აღმოჩნდა (ეჭვი არ მეპარება, ამ წერილისთვის ზარის დადევნება არ დამჭირდება, შენს ღიმილს ამ მონენტში კარგად ვხედავ). შენს მიერ ჩამოთვლილი ბრალდებებიდან დეკარტს ყველა აცდენილია, ეს ბრალდებები ხომ ისტორიის (ისტორიზმის), ათასგვარი ფსევდოფილოსოფიური სქემის, პოლიტიკური მაქინაციების შედეგად „შექმნილი” „დეკარტის” „არსებითი ნიშან-თვისებებია”?! (და ის სერიოზულობაა, რომელსაც პირველი თვითონ დეკარტი აუჯანყდა: ამის კარგი ნიმუშებია დეკარტის ეპისტოლარული პოლემიკა მის ოპონენტებთან, რაც მართლაც მშვენიერი ლიტერატურაა; მის წერილებს ყურადღება მას მერე მივაქციე, როცა მათ მნიშვნელობაზე – სხვა კონტექსტში – მერაბ მამარდაშვილი ხშირად საზგასმით საუბრობდა; ხოლო მისი, როგორც მწერლის, შეფასებაში კი მაინც ფრანგებს უნდა ვენდოთ, - მათთვის დეკარტი, როგორც მწერალი და უბადლო სტილის ავტორი, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე – როგორც ფილოსოფოსი ან მათემატიკოსი). არადა, ცხოვრობდა ადამიანი, წერდა იმაზე, რაც მის გულს და გონებას აწუხებდა, რაც, უბრალოდ, აინტერესებდა; მან მოახერხა ცხოვრებაც, აზროვნებაც, და – ისიც, რომ თავისი გამოცდილების შესახებ მოეთხრო (სხვათაშორის, მისი პირველი დიდი სულიერი მოწაფე და მიმდევარი სწორედაც დაუპროგრამებელი და ამის გამო ებრაელების მიერ მოკვეთილი, ამის მერე კი ფიზიკური გადარჩენის პრობლემებით გაწამებული სპინოზა იყო). და ამაზე მეტი არ ხდებოდა არც ერთი სხვა პოეტის და ფილოსოფოსის ცხოვრებაში. ეს ის

პუნქტია, როცა თუნდაც პიროვნების ცნობიერი მესიანისტური ლტოლვები და აღმაფრენები უფერულდება ან საერთოდაც ქრება; ყოველ შემთხვევაში, ტექსტის უნარი, რომ გადარჩეს ისტორიაში (რაც, გეთანხმები, ისტორიულ-კულტურულ მეხსიერებაში გადარჩენის ღირებულების და მნიშვნელობის საბუთად არ გამოდგება), აუფერულებს ნებისმიერი სახის მესიანიზმს ან სხვა სახის აკვიატებებს (თუმცა, არსებობს საინტერესო მესიანიზმები, მაგალითად, ბლეიკის, რაც არა იმდენად ფილოსოფიური, რამდენადაც ფსიქოლოგიური ან პირწმინდად ესთეტიკური კუთხით არის საყურადღებო; ბლეიკის მასონიზმში ეთიკა და ესთეტიკა ერთმანეთს ემთხვევა).

პრინციპულად (სახალისოდ) ვერ დაგეთანხმები დეკარტის (ზოგადად კი, მთელი კლასიკური ფილოსოფიის) თემად (უკეთ, ერთადერთ თემად) კარის, შენობის და „უსაზღვროების“ გამოცხადებაში. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის უცნობია ფილოსოფიური ტექსტი, რომლის ძირითადი თემა არ იყოს კონკრეტული ადამიანური არსებობა, ერთადერთი და განუმეორებელი, დაუყვანელი რაგინდარა სახის სქემამდე ან სიმბოლიზმამდე. ყველა ფილოსოფოსი, რომლის ტექსტიც გადარჩა იმ აზრით, რომ დღემდე მოძრაობს და ჩართულია ათასობით მიმართულებით დასახსრულ ათასობით დიალოგში, წერდა ერთადერთ და განუმეორებელ ადამიანზე; ერთადერთ და განუმეორებელ ადამიანურ ცხოვრებაზე (და ასეც რომ არ ყოფილიყო, თვით ის ფაქტი, რომ წერდა ექსისტენციალურად ერთადერთი და განუმეორებელი ადამიანი, ჩემთვის საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ ამაში ეჭვი არ შემეპაროს). აქ მომიწევს წინა წერილში უკვე გამოთქმული აზრის მისადაგება ამ კონტექსტთან: ტექსტის ღიაობა გულისხმობს უნარსაც, რომ წაიკითხოს ზემოთ ნახსენები სქემატიზმები და, მეტიც, ითამაშოს ასეთი (ხშირად არცთუ სასიამოვნო, ხშირად კი კატასტროფული) სქემატიზმებით.

ფილოსოფიური ტრაქტატების, საერთოდ ფილოსოფიის, სიცოცხლისუნარიანობას თუ რამ უზრუნველყოფს, პირველ

რიგში – ხარვეზები. დიდი ფილოსოფიური ტექსტები დაცხრილულია ხარვეზებით და მათი არა გამოსწორების, არამედ დასაბუთების მრავალფეროვანი მცდელობებით. ეს მცდელობები, როგორც წესი, დიდი ან მცირე ხნის მერე, პოეტურ ან რომანტიკულ ცნობერებას უფრო მეტ ცოცხალ იმპულსს აძლევს, ვიდრე – ფილოსოფიათმცოდნეებს. ისტორიაში პერიოდულად ხდებოდა რელიგიის ან პოლიტიკის მიერ ფილოსოფიის დამორჩილება, მისი გამოყენების მიზნით მასზე თავდასხმა ან მისი მოსყიდვა; და ასეთ დროს ხარვეზები ქრებოდა, ხარვეზებთან ერთად კი – ფილოსოფიაც. მე ვფიქრობ, რაღაც ამის მსგავსი მოხდა მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან (თუმცა, ამჯერად, ფილოსოფიამ უფრო ღირსეულად დაიცვა თავი, რომელიც ხელოვნებას შეაფარა).

კაცობრიობის ცხოვრებაში, ჩემი ფიქრით, შეიძლება ძალიან მალე დადგეს დრო, როცა კასტრაცია და ამ მიზნით ადამიანურ გონებაზე შეტევები საჭირო აღარ იქნება; როცა ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გზა თვითკასტრაცია, ბოლოს კი თვითკასტრირებული ადამიანების პროდუცირება გახდება. თუ ადამიანის განწმენდისთვის ეს ჯოჯოხეთი აუცილებელია, ამ პროცესს ვერაფერი შეაკავებს. ჩემი რწმენა ისაა, რომ ასეთი ჯოჯოხეთები ადამიანისთვის მეორე ადამიანის მიერ თავსმოხვეული ვერ იქნება, ისინი იმანენტურები არიან და როცა მათი გლობალიზაციის დრო მწიფდება, სასიცოცხლო ენერჯიას ადამიანსვე ართმევენ, მისგან და მისთვის პროგრესირდებიან. არც ერთი ფილოსოფოსი მონსტრი არ ყოფილა, ყველა ადამიანი იყო, მათი ტექსტები გაურკვევლობის ბურუსში ხელისცეცებით მიმავალი გონების, სისუსტის, ხშირად უძლურების, შეცდომების ნაყოფებია. თითოეული მათგანი ერთდროულად ერთადერთიც არის და ერთ-ერთიც, და ეს უკვე ისეთი „ხარვეზია“, რომელიც სხვისი დაპროგრამების ნებისმიერ მცდელობას ჩანასახშივე ანგრევს და აუქმებს. ინფანტილური ოპტიმიზმი ჩემთვის უცხოა, მაგრამ მაინც ინფანტილური იმედი უნდა გამოვთქვა, რომ ერთი ადამიანი მეორის დამ-



პროგრამებლად არ გამოდგება (დაპროგრამების ძირეული გაგებით: როცა დაპროგრამებულს ნებელობა ერთმევა იმ ხარისხით, რომ მას უქრება ნებელობის ხსოვნა). ბოლოსდა-ბოლოს, ყველას თავისი ძილით სძინავს და თავის სიზმარს ხედავს, სხვათა დაპროგრამების იდეა-ფიქსით შეპყრობილი ადამიანიც მათ შორის. ეს სიზმრებიც თავიანთ საკუთარ სიზმრებს ხედავენ, ისინი კი – თავისას. დაეწევა ამ სისწრაფეს თუნდაც სინათლის სხივი? არ ვიცი.

აღბათ, თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, ყველა ადამიანი ყრის არასასჭირო ნიუთებს, გამოცდილებებს, ფაქტებს და ა. შ. (რაც, მოგეხსენება, მაინც და მაინც გადაყრილის უვარგისობაზე ყოველთვის თუ არა, ხშირად ნამდვილად არ მეტყველებს), და ესეც ძვირფასი და მტკივნეული გამოცდილებაა. მე მიჭირს ამ თემის განზოგადება. ჩემს თავს ვიჭერ იმაში, რომ იგი გულს უფრო ძაბავს, ვიდრე – გონებას, ამიტომ მრავალწერტილის დასმით დაგკამყოფილდები, ისედაც ბევრი გადაყრილი ან დაკარგული სულიერი და ფიზიკური „საგანი“ დამიგროვდა...

ამასწინათ, იქნებ სწორედაც ვილაციის მიერ გადაგებული, ჰენრი მილერის *Quiet Days in Clichy*-ის მშვენიერი გერმანული გამოცემა ჩამივარდა ხელში, 25 ცენტად. წაუკითხავი, გადაუშლელი. ჩემთვის აქამდე უცნობი ფოტოხელოვანის Brassai-ს მეტად მიზანდასახული შავ-თეთრი ფოტოებით უხვად ილუსტრირებული. ეს ფოტოები უკვე დაკარგული ამერიკის უკვე დაკარგულ ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობაში გაელვებულ ყველაზე უფრო ზოგად შტრინებს აკონკრეტებენ, დამახასიათებელ, „არქექტიპულ“ გამოხედვებს და ნაღველს. ერთმა ფოტომ კი, უბრალოდ, შემძრა: ღამით, თითქოს საგანგებოდ განათებული ძელსკამის (როგორც სცენის) ერთ მხარეს უსახლ-კარო ან ნასვამი მამაკაცი წევს, პალტო ახურავს და მელოტი თავი ფუთაზე თუ სულაც ბალიშზე დადებულ თავის ქუდზე უდევს, სახე პალტოში ჩაუმაღავს. სკამის მეორე მხარეს, ქალი და კაცი სხედან, ჩვენგან ზურგ-

შექცევით ერთმანეთს ეალერსებიან. მძინარე მამაკაცსა და წყვილს სკამის ორმხრივი საზურგე ყოფს ერთმანეთისგან. მაგრამ იგივე საზურგე უზრუნველყოფს ამ ორი ცხოვრებისეული ფრაგმენტის თანაარსებობის, ერთმანეთის გვერდ-გვერდ არსებობის მტკივნეულ სიმართლეს: მათ ხომ ერთმანეთისგან არა ეს საზურგე, არამედ ის დისტანცია მიჯნავს, რომელიც ნებისმიერ ორ ან მრავალ ფრაგმენტს შორის აუცილებლად იგულისხმება. ეს დისტანცია კი გულისხმობს, რომ ამ წყვილს უფლება აქვს (მორალურიც და ეთიკურიც), არ იფიქროს სკამის საზურგის მიღმა (არადა, სულ რამდენიმე სანტიმეტრის სიშორეზე) მწოლიარე მამაკაცის ბედზე. ჩემი აზრით, ასეთი დისტანცია ადამიანს იცავს სიკეთის ზედმეტობისგან და ისეთი მორალისგან (დაე, ლიბერალიზმის ყველაზე უფრო ფარისევლური გამოვლენებისგან), რომელიც ყველა ბოროტებაზე უფრო ბოროტია. და, ალბათ, იცავს მასზე „ზრუნვით“ შეპყრობილი ყველა მასონისგან, რევოლუციონერისგან, ხელოვან-მანეკენთა დღეს გავრცელებული ბიზნესისგან...

საინფორმაციო ეპოქის სამანიპულაციო სიუხვე, რომელზეც მე უკვე შემაწუხებლად ბევრს ვსაუბრობ, პრიმიტიული ეპოქის სიმდიდრეა და ვერ დავიჯერებ, რომ ის შეიძლება პრიმიტივიზმზე მეტს რამეს მალავდეს. აი, ის კი მართლაც არ უნდა გამოგვეპაროს, რომ ასეთი პრიმიტივიზმი უფრო იოლად იპოვნის გზას ადამიანში სილამაზის აღმოსაფხვრელად, მაგრამ იქვე ჩნდება ეჭვი: ასე იოლია იმის მოქრთამვა ან დამორჩილება, რაც ადამიანში ღმერთისგან არის და არა ეშმაკისგან? (მგონი, დროა, წერა შევწყვიტო!). ყველა მანიპულაცია ფანტომია, ფანტომები კი მაშინ არიან საშიში, როცა მათ არსებობას ვიჯერებთ! დაე, გამრავლდნენ და გართულდნენ ფორმითაც და შინაარსითაც, ბოლოს ისევ ერთმანეთს დაერევიან, და თუ ბედმა გაგვიღიმა, ამ მხიარულ სანახაობას არ გამოვაკლებით!

P. S. „ამ მხრივ ორივეს დიდი ხანია დაგვაგვიანდა“. პირადად მე ერთი წამით არ დაეუშვებდი ამ „ხარვეზის“ გამოსწორებას.

ალბათ, არც შენ მოგწონს, როცა ხარვეზების გამოსწორებაზე ისე ფიქრობენ, თითქოს ისინი შეცდომები იყოს.

P. P. S. არა, ჩვენ არ უნდა მივუბრუნდეთ გრივოლ ხანძთელის ცხოვრებას, ჩვენ აქტიურად უნდა გვახსოვდეს ჩვენი იქყოფნის გამოცდილება. მაგრამ ამ თემას აუცილებლად დაუბრუნდები...

დათო, მიუნსტერი, 18.03.2003

**[27.03.2003]**

შეიძლება ის ბაღში ჩაძინებული კაცი სწორედ ის ადამიანი იყო, ვინც ჰენრი მილერის წიგნი იაფად ჩააბარა ბუკინისტურში, რომელიც მერე შენ 25 ევრო ცენტად შეიძინე?

რას იტყვი თუნდაც ასეთ თანაარსებობაზე, რომელი მერხის საზურგე ჰყოფს ამ არსებობებს გვერდიგვერდ? ეს ალბათ ხილული უხილავის სფეროა?

ეს შეკითხვა არ მინდა იყოს რიტორიკული (თუმცა მე და შენი გასხვივოსნება სწორედ რიტორიკაშია შემოღობილი – აი, ეს, რიტორიკა არის წმინდა ბოდვა!, ხოლო საინფორმაციო პროპაგანდები კი წმინდა წყლის ბოდვაა, შენ როგორც დაახარისხე ერთ ადრეულ შეკითხვაში).

წმინდა ბოდვა ადამიანს არ ამძიმებს იმდენად, რამდენადაც იგი უფრო არაცნობიერია და მეტყველების სილამაზეს წარმოაჩენს; მაშინ როდესაც წმინდა წყლის ბოდვა უფრო გონებრივი ან მნიშვნელობითი არეულობის სინონიმია, და რაციონალური, დაგეგმილი მეტყველების ბორძიკი და სიმძიმე ახასიათებს.

წმინდა ბოდვა არანაირად არ დაეჭვდება იმ მერსზე ჩაძინებული კაცის ვინაობაში, ან თუ დაეჭვდება, მაშინ მხოლოდ გავლით, მზერის ერთი შეკვლით.

წმინდა წყლის ბოდვა, ანუ შეგნებული თუ შეუგნებელი სიცრუე, ასეთი ეჭვების მანიპულაციებით და წარმოებით ცხოვრობს კიდეც, და არა მარტო სხვას, ზოგჯერ თავსაც იტანჯავს.

ეს არის ერთი დაგვიანებული პასუხი, რასაც მემგონი კიდეც მივუბრუნდები, რადგან ვგრძნობ, რომ რაღაც მრჩება სათქმელი.

ფაქტია, რომ ომის დაწყების დღიდან ვეღარ ვწერ, ვეღარ ვაგრძელებ ჩვენს მიმოწერას, ეხლა თავს მართლა ძალა დავატანე, და ამან კიდეც ერთხელ დამარწმუნა, რომ ეს მიმოწერა ჩემთვის ნამდვილად არის პოეზიის შექმნა. მე ვფიქრობ, რომ სიამოვნებით გამოვცემდი მომავალში სწორედ ასეთ კრებულს, და შენთან კოლაბორაციაში ცხადია, ოდნავი დამუშავების გავლით ალბათ.

ეს მერე იყოს. მე მგონი თემები მკვეთრად შეიცვლება. ამჯერად მხოლოდ ელიზბარ ელიზბარაშვილის და ჩემი ერთი მიმოწერა მინდა გაგაცნო, მისი ნებართვით, რაც შეეხება გარკვეულწილად თბილისში ამასწინათ გამართულ ანტი-საომარ აქციებს, სადაც შოთა იათაშვილი და ზურა რთველიაშვილი მონაწილეობდნენ ჩვენი მეგობრების წრიდან. ისე მე მინდოდა შოთას პასუხებიც მიმეღო შეკითხვაზე, კერძოდ მონაწილეობენ თუ არა ამ აქციებში ვთქვით ნაირა გელაშვილი ან გიორგი გვახარია, რაც ვერ მივიღე ჯერჯერობით.

მოკლედ, ქვემოთ მომყავს ხსენებული მიმოწერა ელიზბარაშვილთან, მხოლოდ როგორც არა როგორც რაიმე ინსპირაცია ჩემთვის, არამედ როგორც უბრალო გამაღიზიანებელი. მე არ ვითხოვ მასზე შენს უშუალო რეაგირებას აუცილებლად.

მხოლოდ სიცარიელის ამოსავსებად გიგზავნი (რაზეც მას დიდი მადლობა უნდა ვუთხრა). და შეიძლება ჩვენი დისკუსიის მეორე მიმინებული პლასტიც გამოადვიდოს საქართველოში ალტერნატიული გამოცემების შესახებ. “მეორე არსენალის” არსებობაში შემოსვლის ფორსირებული უიმედო მცდელობები, და “ალტერნატივას” უიმედო გაქრობა (ალბათ დროებითი, დაწყნარებამდე) ყველაზე შეუფერებელ დროს, სადაც დღეს შოთა იათაშვილი ალტერნატიულ მოსაზრებებს დაბეჭდავდა ომის შესახებ.

გმადლობ კომუნიკაციისთვის.

დათო ჩიხლაძე 27 მარტი, 2003 ნიუ იორკი

ძვირფასო დათო, გამოვდივარ თუ არა ომის წინააღმდეგ?  
\_\_\_\_\_ არა.

ეს პასუხი შეიძლება შენთვის მოულოდნელი იყოს, მაგრამ შევეცდები ავხსნა.

ყველა ქვეყანა, რომელიც ომის წინააღმდეგია; საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და ჩინეთი, ამას აკეთებს არა ჰუმანისტური ღირებულებების ან გაეროსადმი პატივისცემის, ან თუნდაც ერაყელი ხალხისადმი თანაგრძნობის გამო (როგორაც ისინი წარმოაჩენენ თავს), არამედ ისევ თავიანთი პოლიტიკური ინტერესების გამო. ისევე, როგორც ამერიკა ამას აკეთებს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გამო და არა იმიტომ, რომ ერაყელი ხალხი ეცოდება სადამის რეჟიმში.

საფრანგეთს თვითონვე ჰქონდა მიზნები ერაყის ნავთობთან დაკავშირებით. ერაყთან სამხედრო თანამშრომლობაც სახეზეა — სადამის შეიარაღებაში ფრანგული თვითმფრინავებია. ამავე დროს საფრანგეთში მუსულმანთა დიდი მასაა თავმოყრილი.

გერმანიასაც ასევე თავისი ინტერესები აქვს მსოფლიო რესურსების გადანაწილების პროცესში და მასაც ჰყავს მუსულმანთა დიდი მასა.

რუსეთი კი ერაყის ამკარა მოკავშირეა, კალაშნიკოვებითა და ტანკებით დაწყებული, რუსი სამხედრო სპეციალისტებით დამთავრებული. რუსეთსაც უნდა ნავთობის ხელში ჩაგდება. ერაყი ირანთან ერთად რუსეთისათვის ისეთი სტრატეგიული მოკავშირე იქნებოდა, როგორსაც ის თავისი არსებობის ისტორიაში ვერც კი ინატრებდა. ამიტომ უნდა რუსეთს აფხაზეთში რკინიგზის აღდგენა თბილისის გავლით, შემდეგ სომხეთის გავლით ირან-ერაყისაკენ გზას რომ გაუხსნის. ამით რუსეთი და ირან-ერაყი ერთმანეთს ძალზე გააძლიერებდნენ, კავკასიაც საბოლოოდ მათი გავლენის ქვეშ დარჩებოდა და ამერიკა საგრძნობლად შეიზღუდებოდა.

რაც შეეხება ჩინეთს, იგი მოიწევს დასავლეთის მიმართულებით. ციმბირში და შუა აზიაში უკვე ჩინელები ცხოვრობენ და ეს ბუნებრივი პროცესი მალე ახლო აღმოსავლეთსაც მოადგება. ჩინეთის გავლენა მსოფლიოში იზრდება და ეს გარდაუვალია. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ცივი ომი, რომლის მთავარი მხარეები არიან არა ამერიკა და რუსეთი ან ვთქვათ ამერიკა და ირანი, არამედ ამერიკა და ჩინეთი. ცნობილია, რომ 250 წლისათვის ჩინეთი ამერიკას სამხედრო ტექნოლოგიებში მთლიანად გაუთანაბრდება, ცოცხალი ძალა მეტი აქვს ამიტომ გადამწყვეტი სიტყვა ბუნებრივ რესურსებზეა. ამერიკამ კი დაასწრო აქ. ეს არის და ეს.

ამ დროს რა უნდა ქნას საქართველომ? გამოვიდეს ჰუმანიზმის ფარატინა ლოზუნგით, დებილის როლი ითამაშოს მთელს მსოფლიოში (დებილი ხარ, როცა ყველა ქვეყანა საკუთარ თავზე ფიქრობს და შენ კი საკაცობრიო ღირებულე-ბებზე) და უარი თქვას ხელსაყრელ პერსპექტივაზე, რომელსაც რეგიონში ამერიკის გავლენის ზრდა მოუტანს?

როგორ გამოვტაცოთ მაშინ რუსეთს აფხაზეთი?

გაეროს რეზოლუციებით ?! ——— ეს ხომ სასაცილოა?!

ძვირფასო დათო, მე არა ვარ მორალისტი ან ჰუმანისტი, მე ფილოსოფოსი ვარ. რა თქმა უნდა ადამიანური გაგებით შეიძლება ვილოცოთ რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი იყოს მშვიდობიან მოსახლეობაში. მაგრამ არ დაგვავიწყდეს აფხაზეთში ქართველების გენოციდი, რომელიც ერაყელებს და ევროპელებს არ აინტერესებდათ. ან სად იყო მაშინ გაერო?

ღიას, მსოფლიო უსამართლოა და ამას ვერსად წაუხვალ. საქართველო ვერ იქნება ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებელი. და თუკი რეალობის კონტექსტს მოვწყდებით, ჩვენ თვითონვე გავისრისებთ.

შენ როგორ ფიქრობ დათო?

ელიზბარი

ელიზბარ,

გმადლობ მოსაზრებისთვის. ჩემი პოზიცია ასეთია, ვინც ომის მომხრეა, თვითონვე პირადად უნდა იომოს. სულ ეს არის, ტელევიზიის დიქტორი იქნება, ფილოსოფოსი, თუ, რაც საქართველოს პროგრესულ ახალგაზრდობაში ნამდვილად ჭარბობს, დედიკოს ძველი ბიჭი. ამის იქით მე არცერთი ნაბიჯი არ ვიცი.

ეხლა რაც შეეხება თეორიულ სპეკულაციებს, ამას დავამატებ: მე დიდი ხანია ლექსებს აღარ ვწერ, და კვლავ მაღლობას გიხნდი ამ უნიკალური შანსისთვის, რადგან ეს არის ჩემთვის

დღეს პოეზია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. დღეს საღამოს ლულსაც კი ვიყიდი ისე მესიამოვნა ეს შესაძლებლობა.

ამერიკელი ჯარისკაცები ძირითადად ამერიკის შუა-დასავლეთის რეგიონებიდან არიან ჩამომავლობით, ღარიბი ოჯახებიდან, იმდენად რომ არც კოლეჯში სწავლის ფული გააჩნიათ, და არც ნორმალური სამსახურის შოვნის. არმიაში მსახურის შემდეგ კი ისინი იძენენ გარკვეულ ძვირადღირებულ სპეციალობებს. სულ ეს არის. და სპეკულაციური პოეზიის სფეროსთვის მე დავამატებდი, რომ მსოფლიოში ყველგან უნდა ჩატარდეს პროპაგანდა, რომ არსად არცერთი ადამიანი ჯარში აღარ წავიდეს. მაშინ შენ პირადად მოგიწევდა ეხლა ერაყში გამგზავრება, და არა მარტო იქ, და მე ამას მივესალმებოდი შენს და შენი თანამოაზრეების საპატივცემოდ!

მე ჯერ არ შემხვედრია ფილოსოფოსი ან პოეტი, ვინც ომის მომხრე ყოფილიყოს. საქართველო ნამდვილად დაღუპულია მორალურადაც და ჰუმანურადაც, და უკვე დიდი ხანია, არა მარტო დღეს. მე შენ უბრალოდ გთხოვე გამოგეხატა შენი პოზიცია ან მოსაზრება, შენ კი შენი მოქალაქეობრივი პოზიცია სახელმწიფოთა პოლიტიკური პოზიციების გვერდით განიხილე, რაც სიურეალისტურია. მეტიც, ზოგიერთ სახელმწიფოთა ანტი-საომარი პოლიტიკა და უბრალოდ მოსახლეობათა ანტი-საომარი ინიციატივები ერთმანეთში შეურთიე.

მე შენ არ გეკითხებოდი სახელმწიფოთა შესახებ, თუ ვის რა შორი მიზანი ამოძრავებს. ეს ნამდვილად სხვა საკითხია, და იმდენად წინააღმდეგობრივი და საიდუმლო, რომ მაგალითად მე სულაც არ მგონია რომ რუსეთი ერაყის მოკავშირეა და ეს წმინდა წყლის ილუზიად მიმაჩნია.

საქართველოში ანტი-საომარი გამოსვლების შესახებ ვიტყვი, რომ, ისე კი უტიფარი სახელმწიფოებრივი კონფორმისტის



(!) როლს სულებლის როლი ჯობია უბრალოდ ადამიანური ღირებულებებიდან გამომდინარე. სიცოცხლე არა საბოლოო გამარჯვება-გამართლებებისგან შედგება, არამედ პოზიციებისგან, ჟესტებისგან, ადამიანობიდან, და კეთილი სისუსტისგან. ამ-იტომაც, მე სინდისის ამ შეურაცხყოფას ყურადღებას არ მი-ვაქცევ.

რა უნდა ქნას საქართველომ? მოდი შევაჯამოთ ეს რეცეპტი, რომ ყოველი თაობისთვის მზად იყოს: საქართველომ მომენ-ტარულად მხარი უნდა დაუჭიროს ყოველთვის ძლიერს, და უნდა მიაჩნდეს რომ მისი ამ ერთგულების სადმე ვიღაცას მართლა სჯერა... მაგრამ ჩემი აქცენტი უფრო სხვაა, არა მა-რტო სახელმწიფო პოზიცია უნდა იყოს ასეთი გამომყენებლური, რაც სხვა ქვეყნებსაც, შენი თქმის არ იყოს, უხვად აქვთ, არამედ მოქალაქეებისაც, მთელი მოსახლეობის, რაც სა-ხელმწიფო პოლიტიკასა და სამოქალაქო ნებას შორის სრული გაიგივების კვლავ საუბედურო და უპრეცედენტო მაგალითია თანამედროვე მსოფლიოში.

ეს არ არის გაეროს დოკუმენტი.  
დათო ჩიხლაძე

**[27.03.2003]**

ან საერთოდაც სანაგვეზე გადაუძახა! ანუ რომელი უმწეობა შეიძლება იყოს ჩვენი, საკუთარი, სხვათა უმწეობისგან რომლის გამიჯვნაც შეიძლება მოახერხოს სკამის საზურგემ? ან, საერთოდაც, სად გადის ხილული (ან უხილავი) ზღვარი მრავალ უმწეობას შორის(ან, თუნდაც, თვით ამ უმწეობების მრავალ შრეს შორის)? რამდენი შეკითხვა არსებობს მხოლოდ ეჭვის სახით, ფორმით?! და რამდენი ისეთი ეჭვია, რომლებსაც

ჩვენ უფრო ვაწუხებთ მათდამი ჩვენი გულგრილობით, ვიდრე – ჩვენ ისინი? არ ვიცი, რამდენად საჭიროა ადამიანის სულისთვის ეჭვებზე უარის თქმა ან მიზნად ამის დასახვა; პირადად ჩემთვის უფრო ნაყოფიერი, თუნდაც შემოქმედებითი თვალსაზრისით, ეჭვების ღია, დაუფარავი თემატიზება გამოდგა (და მის სხვადასხვა ასპექტზე ჩემს რომანშიც ვისაუბრე). ჩემი გამოცდილებით, ეჭვების გადალახვის ყოველი მცდელობა ახალი ეჭვების ბაღეში გვხვევს და ხშირად გვაცდუნებს ილუზიით, თითქოს უფრო ძლიერი გავხდით, ვიდრე ვიყავით (ან, უფრო მეტად გამოცდილი) ან, თითქოს, ეს ახალი ეჭვები უფრო საინტერესო ან დახვეწილია. ასეთი ეჭვების რიტორიკა კი გასხვიოსნების საჭიროებას არ წარმოშობს, ის რჩება უკვე ნაგულისხმევი პასუხებისგან დაზღვეული შეკითხვების ველზე და გულისთვის. სადაც ეჭვები ჩვენი თამაშის ტკობას არიან მიცემული, ალბათ, ამ ტკობის შინაარსში გარკვევა უფრო საინტერესო უნდა იყოს, ვიდრე – მათზე უარის თქმა და მათთვის ბრძოლის გამოცხადება, რაც მე ღიახაც კიდევ უფრო გამაღარიბებდა. როგორც ჩანს, ამ სფეროში განზოგადებები საფრთხილო საქმეა, მაგრამ მაინც გავებდავ და ორიოდ სიტყვით გამოვთქვამ ჩემს აზრს არა იმდენად ეჭვების, რამდენადაც შეკითხვების რიტორიკასთან დაკავშირებით.

რიტორიკა, თუ მაინც და მაინც მის წაკითხვას შევეცდებით, როგორც ცნობილია, ნებისმიერ ტექსტში ისევეა ჩაწერილი ერთი რიგითი გამოცდილების სახით, როგორც – ბევრი სხვა გამოცდილება, ანუ ექვემდებარება ინტერპრეტირებას და არა უმეტესს (ანუ ექვემდებარება წაკითხვას მხოლოდ რომელიმე გამოცდილებით ან გამოცდილების ბაზაზე და არა – აბსტრაქტული ადგილიდან). ამ მნიშვნელობითაც ლაპარაკობენ ჟესტების, ურთიერთშეხებების, მოტყუების, სასოწარკვეთის რიტორიკაზე.

არა იმდენად ეჭვების, რამდენადაც რიტორიკით მანიპულირების სიუხვეა თვალშისაცემი, როცა სატელევიზიო, საგაზეთო, საერთოდ საპროპაგანდო სიცრუეს ვაწყდებით, და ის

ყოველთვის ცდილობს, იყოს მომხიბლავი, მიმზიდველი, გამომწვევი, გამაღიზიანებელი (უკეთ, აღმზნები), ანუ – ერთდროულად ესთეტიკურიც და სექსუალურიც. მაგრამ მომხმარებლის ძირეულ ინსტინქტებზე ასეთი შეტევა, როგორც საშუალება და არა როგორც მიზანი, გამარჯვების შესაძლებლობას მოკლებულია (წინააღმდეგ შემთხვევაში, საჭირო არ იქნებოდა ამდენი ახალი სამანიპულაციო ილეთის გამოგონება მომხმარებლის მოსატყუებლად). შეიძლება გამოითქვას ანტითეზა, რომ მიღწეული გამარჯვება შენარჩუნებას მოითხოვს და რომ ასეთი გამარჯვებების უზრუნველყოფელია აღნიშნული სამანიპულაციო რიტორიკა, მაგრამ ასე რომ იყოს, მაშინ უკვე დიდი ხნის წინ გაქრებოდა ჰაერივით საჭირო ბევრი ეჭვი (თუნდაც ზღვარი საპროპაგანდო დარტყმებსა და ამ დარტყმების მომგერიებელ რიგით, ყოველდღიურ ადამიანებს შორის). ალბათ, გიფიქრია, ზოგჯერ რა დიდხანს გრძელდება „მზერის ერთი შევლებით დაეჭვება“ და რამდენი ადამიანური, ერთადერთი და განსაკუთრებული ცხოვრება შეიძლება მოიცვას ამ წამიერმა პროცესმა. ვილაცას შეუძლია იტიროს ახლა, ჩვენს თვალწინ, ვთქვათ, ათი წუთის განმავლობაში ერთბაშად, უწყვეტად, ვილაც კი ტირის ისე, რომ მისი ეს ტირილი გრძელდება და ნაწევრდება ხანგრძლივ დროში, მთელი ცხოვრება, და რომ შეკრიბო ტირილზე დახარჯული მისი დრო, შეიძლება შეაგროვო ეს ათი წუთი და არა უმეტესი ან უმცირესი, მაგრამ ეს არ ხდის მის ტირილს უფრო ამომწურავს ან უფრო ღრმას, ვიდრე – პირველისას (თუ მაინც და მაინც საკითხის ამ კუთხით დასმას მოვინდომებთ), ან – პირიქით. შეიძლება, რემისიის ნათელი წუთებია, როცა ეჭვი და ეჭვზე რეფლექსია ერთმანეთს ემთხვევა, ანუ როცა ხერხდება საკუთარი არსებობის, როგორც ერთადერთის და განსხვავებულის, წვდომა (შესაბამისად, მეორე ადამიანის ასეთივედ მიგნება და შენარჩუნება).

P.S. აბა, როგორ არ გავუგოთ ელიზბარს, რომელიც, მისივე თქმით, არც მორალისტია და არც ჰუმანისტი, არამედ –

ფილოსოფოსი?! როგორც ჩემთვის ცნობილია, ის ძალიან მალე დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას და კიდევ უფრო ამაღლდება ჰუმანიზმზე და მორალიზმზე, უსამართლო მსოფლიოზე მისი მსჯელობებიც ფრთების კიდევ უფრო მეტ რაოდენობას გამო-ისხამს. მაინც რამდენი სტატიის გამოქვეყნება აღმოჩნდა ელიზბარისთვის საკმარისი, რომ ფილოსოფოსი გამხდარიყო? ეს სევდიანი რეალობა მისი პასუხის არა იმდენად სიურ-რეალიზმის, რამდენადაც პრაგმატიზმის მაჩვენებელია, და მის მიერ საკუთარი თავის როგორც ფილოსოფოსის იდენტიფიცირება გემოვნებით არის შეზავებული სამოქალაქო აზროვნების მეტად დროულ, კონტექსტისგან მოუწყვეტელ სოცრეალიზმთან.

თუმცა, ჩემდა სამწუხაროდ, არც საქართველოში ან-ტისაომარი გამოსვლების მიმართ ვარ ოპტიმისტურად განწყობილი (როგორც ორგანიზებული აქციების და არა ცალკეული ადამიანური ხმების მიმართ, რომლებიც ჩემთვის ძვირფასია). შეიძლება, ეს ჩემი იმ შიშის გამოვლენაა, რომ მსგავსი გამოსვლები, თავისი საჭირო უმაღლესი აქტივობის პერიოდში, საპირისპირო ძალებს თავსაც გააბრეყებინებს და კმაყოფილიც დარჩება თავისი სიბრძევით (და ამას უკვე აღ-არაფერი ექნება საერთო იმ სულელის როლთან, უტიფარ სა-ხელმწიფოებრივ კონფორმიზმთან შედარებით რომლის უპი-რატესობა მეც შენსავით მჯერა).

11 სექტემბრის ცხელ კვალზე, „ახალი 7 დღის” რე-დაქციამ მთხოვა, ჩემი აზრი გამომეთქვა ამ ფაქტთან დაკავ-შირებით (მე მაშინ პრინციპულად გავემიჯნე იმ აზრს, რომ 11 სექტემბრის აქტი ტერორიზმი იყო). მაშინ მე ვთქვი, რომ გულს მირევს ქართველი „პოლიტიკოსების” და „ექსპერტების” ჩახლართული, სავსებით უპოზიციო ანალიზები და სინთეზები იმათ საამებლად, ვისაც ისინი თავიანთ პატრონებად მოიაზრებენ (გვანცას ვთხოვ, ეს ინტერვიუ მომიძებნოს და უახლოეს ხანებში მოგაწვდი, მაინტერესებს შენი აზრი, თუ როგორ ჩანს ეს ყველაფერი ამერიკიდან). დღესაც, ჩემი შიშის შინაარსი

ის არის, რომ ყოველი გაბედული აქცია საქართველოში მსგავსი „პოლიტიკოსების“ ან პატრონთა მადიებელი, ენერგიული ადამიანების აქტივობა მგონია (რამიც, გამორიცხული არაა, სამარცხვინოდ ვცდებოდე), რაც გულწრფელი, კეთილსინდისიერი, მაგრამ გონებრივად უსუსური ახალგაზრდების ხმებსაც არაფრად აქცევს. მომაქვს ფრაგმენტი წერილიდან, რომელიც გვანცამ ამ სამიოდე კვირის წინ გამომიგზავნა:

„დღეს ახალგაზრდა პაციფისტებმა (ასე გამოაცხადეს) ომის საწინააღმდეგო მუსიკალური აქცია მოაწყვეს. პარლამენტის წინ აპირებდნენ, მაგრამ პოლიციის მოთხოვნით ქაშუეთის ბაღში ჩაატარეს. შვეიცარელი დანიელი და ბელგიელი ინგრიდიც შეუერთდნენ... ღამის კურიერში მათგან ირაკლი კაკაბაძე და ბასა ჯანიკაშვილი მოიწვიეს, ცალკე სტუდიაში – კახა ცისკარიძე, მომღერალი, ცალ ყურში საყურეთი. დაუპირისპირეს ფიქრია ჩიხრაძე – ახალი მემარჯვენეებიდან და კობა დავითაშვილი – სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობიდან. მე გვიან შევედი ოთახში, მაგრამ სურათი მაინც ნათელი იყო. პაციფისტები ამერიკის ლანძღვას ერიდებოდნენ, თუმცა ბუშების ოჯახის ბიზნესი უხსენებიათ. ჯანიკაშვილი ამბობდა, არა ვართ ამერიკის წინააღმდეგი, მხარს არ ვუჭერთ ჰუსეინს, მაგრამ არ გვინდა ერაყელი ქალების და ბავშვების დაბომბვა. საინტერესო იყო პოლიტიკოსების პოზიცია. ჩიხრაძემ თქვა, რომ პაციფიზმი ესმის, მაგრამ ისინი პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ, მაგ., ბუშების ბიზნესი... რომ რუსეთის და ამერიკის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ განსხვავებულია. რუსეთს არ უნდა, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა შედგეს, ამერიკას კი უნდა, რომ ჩვენი ეკონომიკა, თავდაცვა იყოს ძლიერი. დავითაშვილმა თანაუგრძნო ერაყელ ბავშვებს, მაგრამ როგორც ქართველ პოლიტიკოსს და მოღვაწეს, საქართველოს მოქალაქეების ბედი უფრო აწუხებს. უნდა, რომ აფხაზეთი დავიბრუნოთ, ეკონომიკა აღვადგინოთ და თავდაცვისუნარიანები ვიყოთ. მაყურებელმა

იკითხა, აფხაზეთის დასაბრუნებლად რატომაა აუცილებელი ასობით ერაყელი ქალისა და ბავშვის სიკვდილი. დავითაშვილმა ბოლო წლების სამხედრო ოპერაციები, კერძოდ ავღანეთი გაიხსენა და დაამშვიდა, ასეთი მსხვერპლი არ იქნებაო. ვალერის გადმოცემით, ერთს უკითხავს, იუგოსლავიას, მართმადიდებლებს რომ ბომბავდნენ, მაშინ რატომ არ აპროტესტებდითო. რეკლამის შემდეგ პასუხი აღარ გაუციათო, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. ბოლოს ცისკარიძეს ჰკითხეს, აზრი ხომ არ შეიცვალეო. არა, ომი საშინელებათაო და დავითაშვილმა დაასრულა მხიარულ ნოტაზე: არც ერთი იყო პაციფისტი, არც მეორე – მილიტარისტი, ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენო. ჰო, მანამდე თქვა, საქართველო ყოველთვის რომელიმე ძლიერ სახელმწიფოს ემხრობოდა, ესაა ჩვენი ისტორიული ბედო. თუ დაწვრილებით გაინტერესებს, ინტერნეტით შევიძლია ნახო ამ გადაცემის მასალები. გული დამწყდა, რომ ომის მაწინააღმდეგეებმა არათანმიმდევრულების და ინფანტილურების შთაბეჭდილება დატოვეს. ასეთებად ჩანან ხოლმე ანტიგლობალისტებიც სატელევიზიო სიუჟეტებში. ხომ ხვდები, პირველ შესაძლო შთაბეჭდილებას ვგულისხმობ, ზოგადად... მაინც კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს ერთი პრეცედენტი მაინც შეიქმნა და ეს პოზიცია დაფიქსირდა”.

აქ აღწერილი შემთხვევა საქართველოში არსებული ტიპობრივი სიტუაციის კარგი მაგალითია. დამამცირებელია უკვე ის ფაქტი, როცა ჟურნალისტი შენც და შენს მოწინააღმდეგე მხარესაც გლადიატორებად წარმოგიდგენთ, თვითონ შემხურებლის როლს კისრულობს და თუ საქმე საქმეზე მიდგა, თავისი „ნეიტრალიტეტის“ გასამართლებლად საერთაშორისო ჟურნალისტური მორალის და ნორმების ნუსხასაც ხალისით წარმოგიდგენს. ყველაფერს აქვს თავისი ფორმა, და როცა ზრდასრული ადამიანი რაღაცას იცავს ან რაღაცის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს, მას უნდა შეეძლოს საკუთარი აზრის დაცვა.

ცხადია, იმას არ ვამბობ, რომ მათ უნდა ეჭვიდავთ სააკაშვილთან და დავითაშვილთან, რომლებიც დემაგოგიაში და ბინძურ თამაშებში თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი – წყალში. უბრალოდ, საკუთარი ადამიანური პოზიციის და სიმართლის მანიფესტაციებიდან მაინც და მაინც სატელევიზიო ბლუყუნის ღირსების და სიმართლის დაცვის საუკეთესო ფორმად ვერ ჩაითვლება (აი, მანიპულატორების ხელში კი მართლაც იდეალური მასალაა ხალხისთვის შესათავაზებელი სალაფავის შესახელად). გვანცას არ გამოეპარა სწორედ ეს ნიუანსი: ჟურნალისტებმა და მათმა პატრონებმა დაპირისპირების შოუ ისე დაგეგმეს, რომ პაციფისტები(!) არაადექვატურ მდგომარეობაში აღმოჩენილიყვნენ, ანუ არა ისეთი სუსტების მდგომარეობაში, რომელთა მორალური სიმართლე შესამჩნევია, არამედ – ისეთი ბრიყვების მდგომარეობაში, რომლებმაც არ იციან, რა უნდათ (ასეთი აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის გრძნობა არანაკლებ აუცილებელია, ვიდრე – ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ). თუმცა, მათი სიბრიყვე რომ ელიზბარის სიბრძნეზე ჯანმრთელია, ამას ვერ უარვყოფ (მაგრამ ეს ჩემთვის, ისევე, როგორც შენთვის, ნუგეშის საფუძველი ვერ გახდება).

სხვა დროს, ალბათ, უფრო გულდასმით ვისაუბრებდი ამ ყველაფერზე, მაგრამ, შენი არ იყოს, ომის დაწყების მერე ჩემს თავს ვიჭერ უცნაურ, ჩემთვის დღემდე უცნობ დაღლილობაში.

დათო. მიუნსტერი, 27.03.2003

**[29.03.2003]**

ყველა სისტემა დახურულია, სხვაგვარად ის არც იქნებოდა სისტემა. დღეს (ან მალე) დასავლური დემოკრატიის (ე.წ.

ღია საზოგადოების) საყოველთაო დემისტიფიკაცია მოხდება (მარგინალურ წრეებში ეს დიდი ხანია გასაგებია), და ნათლად გამოჩნდება, რომ თურმე ისიც ისეთივე ჩაკეტილი სისტემა ყოფილა თავის სიღრმეში, როგორც სხვა დანარჩენი სისტემები, რომლებიც თუნდაც არ მალავენ საკუთარ ჩაკეტილობას, და ამას უბრალოდ თავისთავად ნაგულისხმებ საფუძვლად განიხილავენ.

მოპოვებულ გამარჯვებას რომ მუდმივად სჭირდება დაცვა და შენარჩუნება, ესეც სისტემის აუცილებელ დახურულობაზე მიუთითებს, თუნდაც ასეთი საჭიროება ე.წ. ღია საზოგადოების წინაშე იდგეს. ბოლომდე ღია ვერანაირი სისტემა ვერ იქნება, ვერც (და მითუმეტეს) “გამარჯვების” შემდეგ.

სისტემას ყოველთვის უნდა გააჩნდეს ეჭვები, და მეტიც, მას უნდა აინტერესებდეს, თუ “რითი ტკბებიან ეს ეჭვები”. ეჭვებისგან გაქცევა და ვითომ უდარდებლობა კი ვერ გახდება სისტემის ბიზნესი, რადგან ეს შეიძლება სისტემის დაშლით დამთავრდეს. დაშლილ სისტემას კი უკვე არცერთი სხვა და სხვანაირი სისტემა აღარ გაუწევს ანგარიშს.

ეჭვები არც არაფრით ტკბებიან და არც არავის ტანჯავენ – სისტემა ტანჯავს ეჭვებს მათი დაუსრულებელი გამოგონება/ მოხმობით მათი ბუნებრივი ადგილსამყოფელიდან, ეჭვების სამყაროდან.

ეჭვების სამყარო აშკარად განსხვავდება სისტემების სამყაროსგან, ამიტომაც მათი შესწავლა, ან თუნდაც დაკვირვება, გეთანხმები, ღირსეული საქმეა. არ გაინტერესებს, რა სამყარო დგას ეჭვების სამყაროს იქით? ალბათ ეჭვების სამყაროს თავისი პრობლემები აქვს იმ ჩვენგან მოშორებულ და უცნობ სამყაროსთან...



ადამიანის აგებულებიდან, თუნდაც მისი ტვინის აგებულებიდან, გამომდინარე სიმეტრიული აზროვნების საზღვრები თავისთავად მიუთითებს ერთადერთ შესაძლებლობაზე, რომ ეს უცნობი სამყარო მაინცდამაინც როგორც ჩვენი ოპოზიტი, არასისტემების სამყარო უნდა იყოს, რაც ფრიად ირაციონალურისკენ ხსნის გზას და შესაბამისად სპეკულაციურ დისკურსებსაც ამრავლებს. ანუ თუ ყველაზე უფრო ტრადიციული მეტაფიზიკის სქემაში განვიხილავთ, ჩვენ საუბარი გვაქვს ჯერ მატერიალურ სამყაროზე, მერე შუალედურ ასტრალურ თუ მისტიციზმის ტერიტორიაზე, რასაც შენ ეჭვების სამყაროს უწოდებ სავსებით მართებულად, და ბოლოს ჩემი სავარაუდო ფინალით – იდეალისტურ სამყაროზე, რასაც მე კატეგორიულად მინდა მოვერიდო და მეტიც, მოვახდინო მისი დისკრედიტაცია ყველა შესაძლებელი ხერხით. თუ რატომ, ეხლა მოკლედ ვიტყვი, რომ სწორედ ეს თითქოსდა არარსებული სამყარო არის მიზეზი ყოველგვარი შიდა თუ გარე აგრესიის, ადამიანში თუ სახელმწიფოში.

მაგრამ ჩვენ ჯერ ეჭვების სამყარო არ გაგვივლია! და მართლაც ჩვენს არსებობასთან ეს უფრო ახლობელია, ახლოსმყოფია, და უფრო გასაგებია ჩვენთვის მისი ენა, ვიდრე უცნობი მისტიციზმის ბურუსი, რამაც ჩვენს ადამიან-თანამოძმეთა შორის შეიძლება არაადამიანური ხელდასხმულის (თუ გასხვიოსნებულის) გაჩენის საჭიროების საკითხიც კი წამოჭრას, ამ უცნობ სამყაროსთან კომუნიკაციის დამყარების მიზნით და ჩვენს, “ამ ბნელთა განსანათლებლად” (საილუმინაციოდ, გნებავს, რადგან გერმანიაში იმყოფები, არ ვიცი ბავარიაში ხარ თუ არა).

ასე რომ ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ვერ დაინახოს: ჩვენი შეხედულებები უკვე ჯიუტად თანხვდება, ისე რომ თან არგუმენტაციას აგრძელებს! ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ ეხლა

იმ უცნობ სამყაროში ვიყოთ, და იქაურ უცნობ კანონებს ვემორჩილებოდეთ თურმე.

ან იქნებ კეთილი და ბოროტი თანაარსებობენ, და ასე ქმნიან კიდევ ერთმანეთსაც და საკუთარ თავსაც? (მაგრამ ეს ხომ კვლავ ეჭვების სამყაროა, და არა ამაზე მეტი რამე!).

ეს შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ, ის რომ შენ ხაზი გაუსვი სწორედ ეჭვების ღირებულებას, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ შენ დახურული, ანუ საერთოდ სისტემის პაციოსნად მალიარებელი ადამიანი ხარ. გამოდის რომ, მე, როგორც ოპონენტი, ღია ან არა-სისტემის მალიარებელი ადამიანი უნდა ვიყო, ხომ? მაგრამ, ალბათ, ორივე ვგრძნობთ, რომ ეს ასე არ არის (ამიტომაცაა, რომ ჩვენი არგუმენტაცია სრული თანამოაზრეობის ფარგლებში ვითარდება!!). აბა, რაშია საქმე?

ბოდიში პრომიტიული სენტიმენტალური (მაგრამ ესეც იმას ამართლებს, რისი თქმაც ეხლა მინდა), მაგრამ საქმე არის *ტექნიკურ მეთოდში*. ეჭვებში გარკვევა, თუ მათთან მუშაობა პოლიტიკის სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ ეჭვების სამყაროს ნიველირება (ჩემი პოზიცია), სულაც არ არის მათი სუვერენიტეტის შელახვა, და არც ჩემს ვითომდა ილუმინირებულ, თუ თრეიდ-იუნინირებულ ზე-სისტემობაზე მიუთითებს.

(გახსოვს ზე-ადამიანი? მალე ალბათ ყველა ზე-ადამიანები ვიქნებით, არა? ნიცმეს ეს არ უნდოდა და არც ჩვენ ვიტყვოდით უარს უბრალოდ ადამიანურზე, თუ ამის საშუალებას კიდევ მოგვცემენ; მაგრამ შეიძლება არა-ადამიანის ფორმა უფრო ადვილი მისაღწევი აღმოჩნდეს უკვე ისედაც გადგენერატებული დღევანდელი ადამიანისთვის, რასაც ე.წ. კასტანელა იდეალად გვიხატავდა შეფარვით).

მე უბრალოდ უკვე ღრმად მჯერა, რომ ჩემი სისტემის არსებობისთვის სულაც არ არის აუცილებელი სხვისი სისტემის (ამ შემთხვევაში თუნდაც ეჭვების სისტემის) ან მუდმივი დაზვერვა/ვერბოვკა/დამუშავება, ანდა მასთან შემდგომი კონფლიქტი და ომი. ანუ ჩემი მეთოდი არ არის პოლიტიკური, ყველა პოლიტიკის მიზანი მაინც სხვის დამარცხებას (ან დამორჩილებას) ისახავს მიზნად. და შენი თქმის არ იყოს, მერე ასეთ გამარჯვებას მისი შენარჩუნების პოლიტიკა ესაჭიროება უკვე.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს ყველაფერი კეთდება *მესამისთვის* (როგორც უცნობი აპოლონისთვის ან ტირანისთვის), მესამის სარკეში საგნების წარმოსაჩენად და იქ შეფასებისთვის, იქ დადასტურებისთვის. ყველა პოლიტიკა ამ მესამესთვის იბრძვის, სხვაგვარად პოლიტიკის ცნება არსს კარგავს, ის დუალიზმში, პირდაპირ, ორთა გულახდილ კომუნიკაციაში ვერ იარსებებს.

მესამის უპირატესობა კი იმაშია, რომ მას ხან ერთი მხარის დაჭერა შეუძლია, მონღოლებს მეორის, ანდა სულაც არავისი. ეს *მესამე* იმ (ან ნებისმიერი) სისტემის ნაწილი არ არის, რომელიც ჩვენთვის დღეს ასე მტკივნეულად ძვირფასია, ის ეჭვების სამყაროს განეკუთვნება. შენი თქმის არ იყოს, ის მართლაც არ გვებრძვის, უბრალოდ ტკბება. საინფორმაციო ომის მნიშვნელობითი დევალვაცია, სრული პოლიმორფია ყოველგვარი საკომუნიკაციო ღირებულების სწორედ მისი ასეთი ტკბობის მაგალითია. ეს მისი ცხოვრების წესია. მასში ჩვენს თავს (ან ჩვენს საკუთრებას) ნუ დავუწყებთ ძებნას. იგი ასტრალური, მოჩვენებების სამყაროა.

მისი პირმშოა დემოკრატია, და *მესამის* ნებისმიერი კულტი. აქედან კი ერთი ნაბიჯი რჩება მისტიკამდე, საიდანაც უკან აღარავინ დაბრუნებულა, ყოველ შემთხვევაში ისე, რომ სხვებ-

ისტვის გამასხივოსნებელი ზიანი არ მიეყენებინოს. შენ ამ ზიანის არ გჯერა, მაშ რატომ გადარდებს ომი, ან გაჭირვება, ან მანიპულაცია??

ასე რომ, არა მგონია ჩვენ იქ, მესამის სამფლობელოში, რომელიც სწორედ ეჭვის და მისტიფიკაციის სამფლობელოა და მეტი არაფერი, მე და შენ თავი შეგვაფარებინონ. იქ ისინი არ სჭირდებათ, ვისაც ომიდან თავისშეფარება სურს და თან მათი დისკრედიტაციისათვის იბრძვის. ჩვენი ადგილი აქ არის, ამ ხილულ, და სულ ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ ასე გასაგებ და ცხად დედამიწაზე. ჩვენ აქ უნდა დავამყაროთ არა სამოთხე, ან გლობალიზაცია, არამედ ვეცადოთ ადამიანების ცხოვრებიდან საერთოდ დავიწყებას მიეცეს რელიგია, იდეოლოგია, მითუმეტეს ეს მდაბალი, ვითომ არისტოკრატიული მისტიციზმი, პრაგმატიზმი, სატანიზმი, პოლიცია, და სხვა მრავალი ასეთი ავადმყოფობა, ომის ეს უშუალო საფუძვლები.

და მაინც, რა არის ჩემი მეთოდი, თუ ის არ არის პოლიტიკური, მაგრამ მაინც მხარს უჭერს სისტემას, როგორც ძირეულ ღირებულებას?

უბრალოდ ადამიანური ცხოვრების სისტემის დანახვა, მისი დაცვა საჭიროების შემთხვევაში.

დათო ჩინლაძე 29 მარტი, 2003 ნიუ იორკი

**[04.04.2003]**

დავიწყებ იმ წინადადების ციტირებით, რომლითაც შენ დაასრულე შენი წერილი: „ადამიანური ცხოვრების სისტემის

დანახვა, მისი დაცვა საჭიროების შემთხვევაში”. განვადრძობ: არის ის ორი ურთიერთგამომრიცხავი გამოცდილება, რომელთა თანაარსებობა მხოლოდ ომის მდგომარეობაშია შესაძლებელი.

ვერავინ გვეტყვის, ჩვენი სულის და სხეულის რომელ დაფარულ მხარეს სურს ომი მაშინ, როცა ჩვენ ომი არ გვსურს (ვინ არის ეს „ჩვენ” ამ დაფარული მხარის გარეშე და მიღმა?). ნებისმიერ აქტუალურ ომს, გამოცდილების სახით, გააჩნია უკვე ჩავლილი ომები, რომელთა გაგრძელებაც არის იგი. და სწორედ ომის როგორც მოვლენის ეს ასპექტი გვიბიძგებს, არა მხოლოდ ნებისმიერი ჩავლილი, მიმდინარე თუ მოსალოდნელი ომის მიმართ ჩვენი პროტესტი გამოვხატოთ, არამედ – ყოველგვარი მორალური და ზნეობრივი აღმფოთების გავლით – შევხედოთ ომს, როგორც შედეგს და არა – მიზეზს (რაც მაინცდამაინც იდილიაში გაქცევას სულაც არ ნიშნავს, როგორც – არც ერთი ფილოსოფია და პოეზია). და აქ ისევ გამომადგება სკამის საზურგის მეტაფორა. არის ზღომილებები, ერთმანეთთან რომელთა შედარება ან ერთის სასწორზე მეორის აწონვა მნიშვნელობას მოკლებულია, მოკლებულია აზრსაც და უაზრობასაც, ან, უბრალოდ, სიცრუეა. გამორიცხული არ არის, რომ ის გულწრფელი, ყოველგვარ პოლიტიკურ ვნებას მოკლებული ადამიანური შეძრწუნება, რომელსაც მიმდინარე ომი იწვევს, პირდაპირპროპორციული იყოს ადამიანური მეხსიერების დაჩლუნგების სისწრაფის და ადრეული ომების დავიწყების სისწრაფის. როგორ შეგვახსენონ თავი ძველმა ომებმა, თუ არა – ახალი ომებით? როგორ იძიონ შური ჩვენი მეხსიერების სისუსტეზე, თუ არა – მსხვერპლად საკუთარი თავის მიტანის გზით ჩვენი მეხსიერების გააქტიურებით? აღმფოთება, აქტიური პროტესტი, გაბედული სიტყვა და საქმე, ბევრი პიროვნულად სარისკო ნაბიჯი ამ პრობლემებზე დაფიქრების უნარს მოკლებულია (რაც ამ გრძნობების ღირებულებას, ცხადია, არ აუქმებს), ვინაიდან აღნიშნული გრძნობების სიმართლეს და სილამაზეს, ერთის მხრივ, და ომს, როგორც გამღიზიანებელს, მეორეს მხრივ, ერთმანეთისგან არ მიჯნავს

ის „წყველი“ მესამე, რომელსაც დისტანცია ჰქვია. დისტანცია საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ მოხდეს არა მხოლოდ ამ ომზე რეფლექსია, არამედ – რეფლექსია საერთოდ ომის ფენომენზე, უხეშობაზე, ასეთი ჩაფიქრება კი წარმოუდგენელია ჩავლილი ომების გახსენების გარეშე (არ ვგულისხმობ შეხსენებას, როგორც ტერორს და საიდუმლო ომს, რის ჩინებულ მაგალითადაც მესახება გერმანიისთვის მესამე რაიხის საშინელებათა პერმანენტული შეხსენება ამერიკის გრძელვადიანი, თითქმის უწყვეტი ნაციზმის “გაუქმების” პარალელურად).

ჩემი აზრით (ანუ ჩემი ეჭვით), ადამიანი ომზე, ფიზიკურ სხეულზე შეტყეების მრავალფეროვნებაზე, უარს იტყვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შეადრწუნებს ჩავლილი, ერთი შეხედვით აღარ-აქტუალური ომები. ასეთ შედრწუნებას კი ვერავინ მოახერხებს ან შეძლებს, ვერავინ გამოიწვევს. ის უნდა გაჩნდეს თავისი შინაგანი აუცილებლობით, რაც არც ერთი კონკრეტული პროტესტის ღირებულებას არ გააუქმებდა. მაგრამ იქნებოდა თვისობრივად სულ სხვა შინაარსის მოვლენა (ძნელი სათქმელია, რა სახის ომებს შესთავაზებდა ასეთი მდგომარეობა ადამიანს), ის იქნებოდა ადამიანური ცნობიერების ხედვის კუთხის შემცვლელი, სულ მცირე. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო ყოველთვის და შეუძლებელია, მითუმეტეს, დღეს, როცა მეხსიერების წაშლა ან დაბინდვა მთავარი ფასეულობაა, რომლის პროპაგანდის არაპირდაპირი ფორმებია პოლიგრაფიის მართლაც რომ გაუჩინარების ზღვარზე შესრულებული ისტორიულ-ენციკლოპედიური წიგნადი თუ ღიგიტალური გამოცემები, რაც სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა ცხვირ-პირზე გადაშლილი წიგნის აწებებას თუ აფარებას, როცა თვალი უკვე ველარაფერს ხედავს, როცა წაკითხვის შესაძლებლობა გამქრალია, წაკითხვის საჭიროება კი – დღის წესრიგიდან მოხსნილი.

პროტესტის გრძნობას ხშირად იწვევს ილუზია, რომ ის, რასაც ვაპროტესტებთ, ჩვენი შინაგანი მდგომარეობისთვის უცხოა, შორეულია; რომ, საერთოდაც, მისთვის ჩვენს სულში

ადგილი არ არსებობს. ხშირად, ჩვენ ამ ომებს სადღაც შორს, ჩვენს გარეთ ვხედავთ. შეიძლება გამოჩნდეს ხედვა, რომელიც ასეთ ომებს ჩვენთან უფრო ახლოს, ჩვენივე პიროვნულ გამოცდილებაში აღმოაჩენს, და ეს ხედვა შეუძრნეველი ან გაუგებარი დარჩება, მისი წამკითხავი თვალი გაუხეშებული იქნება. მაგრამ შეიძლება გამოჩნდეს ხედვა, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს ამ საყოველთაო სიბრძავეს და სიუხეშეს, და შექმნის მეტაფორას, ანუ შეძლებს საკუთარი ხედვის აღწერას, რომლის წაკითხვის შესაძლებლობაც მიეცემა სულ სხვა დროში მცხოვრებ ადამიანს. ფილოსოფია და პოეზია ყოველთვის სულისმთქმის მსგავს პერიოდებში იქმნებოდა. ეს კი უკვე დიანაც ასე საჭირო და აუცილებელი პროტესტი კი არა, მენსიერების სუნთქვის უზრუნველყოფელი შრომაა (და ის ყველა შესაძლო პროტესტს ისე ატარებს თავის თავში, როგორც ერთ რიგით გამოცდილებას). არსებობის სხვა რა საიდუმლო წესს უნდა ფლობდეს თანაარსებობა იმ აზრით, რა აზრითაც ის შენი ამასწინანდელი წერილის დასაწყისშივე აღინიშნა? ნებისმიერი აგრესია ასეთი თანაარსებობის წინააღმდეგია. ჩვენი დრო ცნობილია არა მხოლოდ აგრესიული ქრონოცენტრიზმით (რაზეც ესკიზურად უკვე გაგიზიარე ჩემი ეჭვი), არამედ – ყველა სხვა ეპოქის მიმართ აგრესიული “სიკეთითაც” (რაც, ისევ და ისევ, სარფიანი ბიზნესია და იმიტომ). ყველაფრის უფლებას მისცემს იგი სხვა ეპოქებს, გარდა – თანაარსებობის უფლებისა (რაც ლოგიკურად შემობრუნდება თავისი თავისთვის სხვა ეპოქებთან თანაარსებობის უფლების აკრძალვად). არსებობას იგი აიგივებს ზედამხედველობასთან. ზედამხედველისთვის კი მენსიერება არსებითად უფრო საშიში მტერია, ვიდრე – ნებისმიერი კონკურენტი, რომელიც მას შეიძლება მხოლოდ ზედამხედველის სტატუსს ეცილებოდეს და მეტს არაფერს. აი, ამიტომაც ვუსვამ ხაზს, სხვა მიზეზები რომ განზე გავწიო, “გრივოლ ხანძთელის ცხოვრების” და გილგამეშის ეპოსის თანადროულობას (და არა დაკონსერვებული თუ უკვე პენსიაში გასული

ტექსტების სახით მათ მოვლა-პატრონობას და ფილოლოგიურ-ისტორიული “ძიებების” ობიექტად მათ სუფევას).

აქ იმ შეკითხვაზე პასუხის გაცემასაც შევეცდები, რომელიც ძველი ტექსტების შესაძლო “გამომთვლელ” უნართან დაკავშირებით დამისვი. კომუნიკაციის უმაღლესი საფეხური შეიძლება იყოს მდგომარეობა, როცა კომუნიკაციის სუბიექტები ორიენტირებული არიან უპირატესად არა საკუთარ, არამედ – მეორე მხარის თამაშზე, და ცდილობენ ერთმანეთის თამაშის საზრისის და მეტაფორების წაკითხვას და არა – საკუთარი თამაშისთვის უპირატესობის მინიჭებას (ანუ საკუთარ თამაშში ჩაკეტვას) და მეორე მხარეზე, როგორც მოთამაშე არსებაზე, თვალის დახუჭვას (რაც კომუნიკაციის წვერებსაც და კომუნიკაციასაც უპირობოდ აღარ იბნებს). “ძველი” ტექსტების, “სტუმარ-მასპინძლის” თუ ჩეხოვის მოთხრობების (და სწორედაც რომ არა გორბაჩოვის ან ბრეჟნევის ტექსტების, ნებისმიერი გენიალური ტექსტის გვერდით რომელთა დაჯგუფება მშვიდად და არაირონიულად შეიძლება ამა თუ იმ ნიშნით: მაგ. თეთრ ფურცელზე შავი ასოებით გამოსახული ტექსტების, ან წითელ ყდაში ჩასმული წიგნების, ან ტექსტში ასო-ბგერა “ო”-ს ან “კ”-ს ასზე მეტი სისშირით არსებობის და ურიცხვი სხვა გამაერთიანებელი ნიშნით) ყველაზე დიდი მეტაფორა (გნებავს, გათვლის ისეთი სირთულე, რომელსაც ვერასდროს ვერც ერთი საკომპიუტერო პროგრამა ვერ აჯობებს), თუნდაც გამოცანა, ისაა, რომ ნებისმიერ დროში შეიძლება მათი წაკითხვა ისე, რომ მკითხველს წარმოდგენა არ ჰქონდეს წაკითხვის რომელიმე ყველაზე მეტად რეკლამირებულ თეორიაზე ან პროტესტის უახლეს ფორმებზე (რომლებიც ძალიან სწრაფად ძველდება, ამ დაძველების გათვალისწინებით წარმოებული ეშმაკური თამაშების ჩათვლით); მათი წაკითხვა ისე, რომ თხემით ტერფამდე თანამედროვე დარჩე (თანამედროვედ ყოფნა მაინცდამაინც რომელიმე ცინცხალი სოციოლოგიური თუ პოლიტიკური თეორიების შესახებ ინფორმაციის ქონამდე ხომ არ დაიყვანება). შესაძლოა, ეს მეტაფორა გვიცავდეს კი-



დეც დროში პროგრესის, განვითარების ბიზნესისგან? და, შესაძლოა, ასეთ ბიზნესში მონაწილეობაზე უარისთქმა უკეთ წარმოგვიჩინდეს თანამედროვე ეპოქაში შექმნილ საუკეთესო მეტაფორებს? ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ტექსტები არააქტუალურები და არაპროგრესულები არიან.

რამდენიმე ანტითეზა:

1) ეჭვების თემატიზაცია, მათთან საუბარი, მათ ფიქრებში გარკვევის მოთხოვნილება თუ პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება (რაც სამუშაო ჰიპოთეზად გამოვლენის შემთხვევაში მისასაღმებელია), მაშინ უნდა დავაზუსტო, რომ ჩემი მუშაობა სალიტერატურო პოლიტიკის საზღვრებში რჩება, ესთეტიკურის მუდმივ თანხლებას გულისხმობს და, შესაბამისად, თამაშის ელემენტებსაც ისეთი სიუხვით შეიცავს, რომ ეჭვებს დაეჭვებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის.

2) “არც ჩვენ ვიტყოდით უარს უბრალოდ ადამიანურზე თუ ამის საშუალებას კიდევ მოგვცემენ”. ვინ არიან ეს უხილავი თუ ზედმეტად ხილული არსებები, რომლებიც რაღაცას გვაძლევენ ან არ გვაძლევენ? მითუმეტეს, ადამიანურს? ციტირებულ წინადადებაში ისინი უკვე აღარ არსებობენ; ან, მათზე მითითება უკან იხევს.

3) “ჩემი სისტემის არსებობისთვის სულაც არ არის აუცილებელი სხვისი სისტემის (ამ შემთხვევაში თუნდაც ეჭვების სისტემის)...” სემანტიკური ანალიზი ამ წინადადიდან გამოათავისუფლებს ეჭვების სისტემას, არა მხოლოდ როგორც სხვის სისტემას, არამედ – როგორც იმ სხვის სისტემას, რომელიც “ჩემი სისტემის” სხვად შეგვიძლია მოვიაზროთ, იმ სხვად, რომელიც მხოლოდ “ჩემი სისტემის” ამოქმედებასთან ერთად გამოვლინდება. შესაბამისად, სწორედაც რომ აუცილებელია საკუთარი სისტემის, როგორც განსხვავებულის (როგორც სხვისი სისტემის) დანახვა და მასთან საუბარი (არა აუცილებლად დაზვერვა, რასაც მაინც ვერ აცდება ასეთ ლაბირინთში ფენშედგმული ადამიანი).

4) ჩემი ეჭვით (აზრით), პირადად ჩვენი დიალოგისთვის პირველი ორი მესამე ჩვენ ვართ; ის, მესამე, ანუ ჩემი და შენი წერილები თავის ღია მთლიანობაში, ერთად, და ერთმანეთით განსაზღვრული, როგორც მიმოწერა, იკითხება, პირველ ყოვლისა, ჩვენსავე – როგორც ორი მესამის – მიერ. თუ ამ ორი მესამის უპირატესობა ის არის, რომ ისინი გზავნილის პირველი ადრესატები არიან(რომ ის გზავნილის პირველი ადრესატია), მათ შეუძლიათ ნებისმიერი მესამის მხარდაჭერა, ეჭვების სისტემის ტკობას ამით საფრთხე არ ემუქრება (ანუ, ტკობა არ შეწყდება). მითუმეტეს, აბსურდამდე დაიყვანდა იგი როგორც მესამის ნებისმიერ კულტს, ისე – ნებისმიერი მესამის კულტს.

5) ზიანი, რომელსაც გასხვივოსნებულები აყენებენ გასასხვივოსნებლებს (ან გაუსხვივოსნებლებს), ჩემი აზრით (ანუ ეჭვით), მხოლოდ მაპროვოცირებელი ფაქტორია და არა – უმეტესი. ყველა გაუსხვივოსნებელს თავი გასასხვივოსნებელი ჰგონია, ყველა გასხვივოსნებულს კი მეხსიერება დაბინდული აქვს, ანუ იჯერებს, რომ გასხვივოსნებულია, რაკი იგი ასეთად გასასხვივოსნებლებმა აღიარეს (ერთი წუთით წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, ღმერთი რომ ხელდასხმელი იყოს და არა – ხელდასხმის მუნჯი მაყურებელი; რომელ ხელდასხმულს სჭირდება ღმერთი, რომელიც ლაპარაკობს ანუ – ღმერთი, რომელიც მისი პირით არ ლაპარაკობს?).

ჩვენი შეხედულებების თანხვედრა, ალბათ, არა იმდენად შესაძლო თანხვედრის (რაც არ მიკვირს) სიჯიუტეს უსვამს ხაზს, რამდენადაც – ამ დიალოგის ორმხრივ სიხარულს. და განსხვავებებსაც უკეთ აფიქსირებს. თუმცა, აქ უკვე, პირადად ჩემთვის, ნაკლებად მნიშვნელოვანია ან ნაკლებად საინტერესო, თუ რომელ სამყაროში ხდება ეს ფიქსაცია. ალბათ, შენიშნავდი, რომ მე შეგნებულად თავს ვარიდებ ჩვენს დისკურსზე გარედან დაკვირვებას, მისი სხვადასხვა სტრუქტურული თუ, თუნდაც, ტაქტიკური ასპექტის ანალიზს. შესაბამისად, არ ვცდილობ ამა თუ იმ თემის წინ წამოწევას ან რომელიმე მეტად ან ნა-

კლებად საინტერესო პრობლემის ხელოვნურად აქტუალიზებას. ეს ძალდაუტანებელი დიალოგი ჯერ მხოლოდ თავს უყრის თემებს და საკითხებს, რომელთაგან ბევრის ირგვლივ ჩვენი მსჯელობა, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში გაიშლება ან საერთოდაც ჩიხში შევა ან დაგვავიწყდება.

P.S. ვაღიარებ ჩემს მარცხს იმ შეკითხვასთან, თუ რატომ მადარდებს ომი, გაჭირვება, მანიპულაცია და ა. შ. ამ კითხვას, ალბათ, ვერასდროს ვუპასუხებ (თუ გულწრფელი ვიქნები და არ ვეცდები თითოიდან გამოწოვილი, უსიცოცხლო პასუხების გამოგონებას). მე ისინი უკვე მადარდებს, უკვე მაწუხებს, და ეს ჩემთვის იმაზე მეტია, ვიდრე ჩემი წუხილის შესაძლო მიზეზების ახსნა იქნებოდა (იმის გათვალისწინებით, რომ არის ბევრი რამ, რაც არ მაწუხებს).

დათო, 04.04.2003, მიუნსტერი

## მეორე ნაწილი

[11.06.2003]

გავეცანით რა ზაზა შათირიშვილის წერილს რუსულ ჟურნალში “ნებრიკოსნოვენიი ზაპას”, კერძოდ ნომერში, რომელიც მთლიანად ლიბერალიზმის ე.წ. მემკვიდრეობას ეძღვნებოდა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მისი წერილიც სწორედ ამ თემას უტრიალებდა გარშემო, არცთუ აკადემიური სტანდარტებით, თუმცა. საინტერესოა ლიბერალიზმის თემა, როგორც რუსეთისთვის, მითუფრო საქართველოსთვის. აქ არ იყო რაიმე სპეციფიკური მახასიათებლები, თუ რა ფორმებს ღებულობს ასეთი პლატფორმა საზოგადოების მშენებლობის მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში და ისტორიულ კულტურებში, ან კერძოდ, რა ფორმები შეიძლება მიიღოს მან საქართველოში, და რატომ. ცხადია, ეს ყველაფერი დაკავშირებულია დემოკრატიასთან და არა, ვთქვათ, მონარქიასთან. საქართველო, ისევე როგორც რუსეთი, ლიბერალური დემოკრატიისგან ჯერ კიდევ რომ შორს არის დიდი მანძილით, ეს ყველასთვის, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, ცხადი უნდა იყოს. ჩემი რწმენით, უფრო საჭირო იქნებოდა მსჯელობა იმაზე, თუ რა იწვევს გადახვევებს, მაშინ როდესაც სურვილი დაკავშირებულია სრულფასოვან დემოკრატიასთან. ასეთი გამოცდილებები, ალბათ, უკვე დიდი ხანია არსებობს სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეს ჩვენთვის, სხვა თუ არაფერი, გზის გაიოლებაა, როგორც მომხრეებისთვის, ასევე მოწინააღმდეგეებისთვის საკუთარ მსჯელობებში.

და აქ მინდა გავაკეთო ერთი საზგასმა, რომელიც ჩემს დღე-  
ვანდელ თემად იკვეთება: ასეთ მსჯელობებზე უარის თქმა, და  
მის ნაცვლად პროპაგანდულ-ენტუზიასტური ხასიათის მო-  
წოდების შემოთავაზება არის სწორედ ნიშნული მახასიათებ-  
ელი ჩვენში არსებული დემოკრატიისა, ანუ ილიბერალური,  
ავტორიტარული დემოკრატიის.

შეიძლება პარადოქსია, მაგრამ პოლიტიკა პარადოქსების ხე-  
ლოვნებაა, ისე როგორც საერთოდ ადამიანის არსებობა. ანუ  
ეს, პარადოქსი, საერთოდ ანთროპოლოგიური საკუთრებაა. პა-  
რადოქსზე კი შეიძლება ყველაფრის დაშენება. ამ საფუძვლის  
გარეშე ვერაფერი იარსებებს, რაც ჩვენ სააპელაციოდ შეიძლება  
გამოგვადგეს. მომავალში ვისურვებდი, სადღაც, ჩვენს საუბარში,  
კიდევ ერთხელ გამოჩნდეს პარადოქსისა და პოლიტიკის, თუნ-  
დაც დემოკრატიის ურთიერთობათა სილამაზე. ანუ ერთგვარი  
გარედან ხედვა მგონია რომ არის ერთ-ერთი საჭირო ესკაპიზმი,  
სანამ ჩვენში ლიბერალური დემოკრატია იქნება მიღწეული.

ეს ასე მიიჩნევა, რომ ინდოეთში, მაგალითად, ჯერ კიდევ ილი-  
ბერალური დემოკრატიაა, ხოლო საფრანგეთში კი არა. რეა-  
ლურია ასეთი გამიჯვნა? სწორედ ასეთი თემების ესკაპიზმი,  
ვიმეორებ, არის ერთადერთი საშველი მაშინ, როდესაც ადამიანი  
ემორჩილება ავტორიტარიზმს, მაგრამ იმასაც ემორჩილება,  
რომ ამას არ უნდა ხედავდეს, არ უნდა ამჩნევდეს.

პოლიტიკა ნებისმიერ დროში ფუნქციონალური იარაღი იყო  
და ცხადია, არა დეკორატიული. მის ანტიდოტად შეგვიძლია  
მოვიაზროთ ხელოვნება, რომელიც ყოველთვის ასევე ფუნ-  
ქციონალური იყო. დღეს ხელოვნების უტილიტარულ ფუნქ-  
ციონალობამდე დაყვანით, ანუ მისი სულ უფრო გადე-  
კორატიულებით, ჩვენს სახეზე გვაქვს არა რომელიმე პოლი-  
ტიკის, არამედ საერთოდ ზოგადად პოლიტიკის ავტორიტა-  
რიზმი, პოლიტიკის დიქტატურა. პოლიტიკა რომ ყოველ დროში

ფუნქციონალური იყო, და არა ჰუმანური ან იდეალისტური, სწორედ ადამიანური მახასიათებლებისკენ მიგვიძღვის. სწორედ ამიტომაც, ხელოვნებაც ყოველთვის იყო ფუნქციონალური, მხოლოდ საპირისპირო მიზნებით. და არა მხოლოდ საპირისპირო, გარედან ხედვის შესაქმნელადაც.

ამ მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, ტექსტები არ ძველდება, რაშიც უდაოდ დაგეთანხმები. არც ომის კულტურა ძველდება, და არც მისი ხსოვნა იკარგება სადმე. მას ხსოვნაც კი არ სჭირდება. მაგრამ გარდა ასეთი სტატიკური დეფინიციებისა, არ შეიძლება ინტერესს არ აღძრავდეს, თუ როგორია პოლიტიკის საპირისპირო აპლიკაციები დღევანდელ დინამიურ ასპექტში. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს ხელოვანის ერთ-ერთი დანიშნულება.

შენ, როგორც იმავე ჟურნალის მონაწილე ავტორი, სადაც ზაზა შათირიშვილის სტატია იყო დაბეჭდილი, როგორი აზრი შეგიძლია გამოთქვა ამ გამოცემასთან დაკავშირებით. ჩემი დაკვირვებით, რუსეთისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი პოლიტიკის და ლიტერატურის ასეთი ეკუმენისტური სინთეზები, (როგორც დღეს ზოგიერთი ავტორი ლამის იქამდე მიდის, თითქოს ჩვეულებრივი თბილისური ეზო ეკუმენისტური მოვლენა ყოფილა ადრე), არამედ რუსული სალიტერატურო საქმიანობა ყოველთვის ატარებდა არა პოპულისტურ, არამედ აკადემიურ ხარისხს. მაინც ეს მეორეხარისხოვანია, და ჩემთვის სწორედ უფრო ის არის საინტერესო, თუ როგორია შენი დამოკიდებულება ამ გამოცემის ხსენებულ კონკრეტულ ნომერთან, მითუმეტეს რომ ამის გამოთქმის სურვილი მგონი უკვე შეგამჩნიე ერთ-ერთ მიმოწერაში.

დათო ჩიხლაძე  
11 ივნისი, 2003 ნიუ იორკი

[12.06.2003]

მას მერე, რაც სოციალური და პოლიტიკური დაგეგმვის უკლებლივ ყველა პროექტი საფუძვლიან (და ფასდაუდებელ) კრიტიკას ექვემდებარება და მათი საუკეთესო სურვილების ნებისმიერი ახალი კუთხით შემოთავაზება უკვე ისე აღიქმება საპირისპირო ტრადიციების მიერ, როგორც – ტექნიკური მოწოდების თვალსაზრისით მდარე ან მაღალი ხარისხის სარეკლამო კლიპი, აქტიურ პოლიტიკურ პრაქტიკებს შორის არსებითი განსხვავება თითქმის ნულის ტოლია, ხოლო თუ მაინც მოვინდომებთ განსხვავებების დახუსტებას, ისინი ცნებებისა და ტერმინების ისტორიულ ეტიმოლოგიაშია თუ მოიპოვებიან. მე ვფიქრობ, ამ ჩასვენებული უტოპიების ნებისმიერი ნაშთი, ლიბერალიზმი იქნება ეს, დემოკრატიზმი თუ ანარქიზმი, საფრანგეთის ე. წ. ბურჟუაზიული რევოლუციის მერე თავადვე ესწრაფვოდა მისთვის თვისობრივად ან თუნდაც ფორმალურად უცხო პროექტებში განღვრას, რათა, ერთის მხრივ, რაც შეიძლება უკეთ გაუჩინარებულყო მისი ფარული ამოცანები, მეორეს მხრივ კი, უკეთ გაეგო საპირისპირო პრაქტიკების არა მხოლოდ შინაარსი, არამედ – ისევ და ისევ, ფარული ამოცანები (შინაარსის წაკითხვის და ფარული პოლიტიკური მიზნების მოხელთების ვნება, პოლიტიკაში, ერთმანეთს ემთხვევა). დღესდღეობით ამ ტრადიციების მიერ ერთმანეთის წაკითხვის, მეტიც, ერთმანეთის ერთადერთი საზრისის ამოკითხვის ბრმა ჟინი იმ ადამიანის ამბავს ემსგავსება, რომელიც სტუმრად წავიდა და უკუქცეულს თავისი სახლის ადგილ-მდებარეობა და შინისკენ სავალი გზა დაავიწყდა (და არა გზა აებნა), ამიტომ უბინაოდ ყოფნას სტუმარ-სტუმარ სიარული და თავის მასპინძლებთან ერთად თავისი სახლის ადგილ-მდებარეობაზე მარჩიელობა არჩია. იქნებ, ღიახაც ამის მიზეზია, დემოკრატიის პროექტები ფამისტური ენით და საქმით რომ მეტყველებენ, ლიბერალიზმის დამცველები თავიანთი სათქმელის მოწოდებას ანარქიზმის ენით ამჯობინებენ, მონარქისტები კი საუკეთესო

დემოკრატებად ან სულაც ანარქისტებად გვევლინებიან? ამ პროექტებს ერთმანეთის ენებში და ამოცანებში რაღაც ისეთი საიდუმლო ეგულებათ და ისე ხანგრძლივად მოიცალებს ამ საიდუმლოს ამოსაკითხად და გასაუვნებელყოფებლად, რომ საკუთარი ერთ ველარ მეტყველებენ (ან, რომ იმეტყველონ, ვინ გაიგებს? საერთოდ, მასების გამოფხიზლების სიგიჟით ატანილ რომელ პროექტს აქვს იმედი, რომ თუ საკუთარი ერთ, შიშვლად იმეტყველებს, მას ვინმე გაუგებს?). ბოლოს-დაბოლოს, ყველა პროექტი დროში განხორციელებას ესწრაფვის და არა – უდროობაში ან წარმოუდგენელ მარადისობაში.

პოლიტიკის ესთეტიკა ყოველთვის განსაზღვრავდა ხელოვნების ესთეტიკას, მითუმეტეს, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე ხელოვნებას (ინდივიდუალურს და არა ხალხურს ან ხალხურის მოდიფიკაციებს) ის ადამიანები ქმნიდნენ, რომელთა სოციალური არსებობა პოლიტიკის ესთეტიკას იმაზე მეტ დროს და ენერგიას უთმობდა (უკვე ანბანის და გრამატიკის შესწავლასთან ერთად), ვიდრე – ხელოვნების პოლიტიკას). ეს გამოცდილება კი ჩვენს დროს სულაც არ დაუკარგავს. ძირისძირში, ყველა მოჩვენებითი სიჭრელე (პოლიტიკის ესთეტიკისა და ხელოვნების ესთეტიკისა) მეტად მწირი ფერების დასამალად შეკერილი სამოსელია. განა რამდენი სიტყვა ან შესტი სჭირდება ადამიანს თავისი ტკივილის ან სიხარულის სრულად თუ არა, გასაგებად გადმოსაცემად?

მიხაილ გაბოვიჩის ჟურნალისტთვის ჩემი სტატია (უფრო ჩანახატი) რედაქტორის შეკვეთით დაიწერა (რეკომენდირებული ვიყავი ჩემი მოსკოველი ნაცნობის, პოეტის და კრიტიკოსის ილია კუკულინის მიერ). თემა მოსაწყენი, მაგრამ დამაინტრიგებელიც იყო: ინტელექტუალების ბედი არადემოკრატიულ სამყაროში, ამ შემთხვევაში საქართველოში. ეს იყო ჩემთვის აქამდე უცნობი გამოცდილება: ვწერდი და არ კი ვიცოდი – რაზე. ის, რომ რედაქტორმა ჩემი წერილის აქცენტები შეარბილა (არ შეუცვლია) და ტექსტი უფრო „კულტურულ“ ყალიბში ჩასვა, ნაკლებად მნიშვნელოვანია. ჩემთვის



უფრო საინტერესო გამოდგა უკვე მზა ტექსტის ირგვლივ (მე რომ უკვე გამოცხვარი მეგონა) რედაქტორის შეკითხვები, რომლებზეც ლამის იძულების წესით უნდა მეპასუხა (ანუ გაბოვიჩმა აირჩია ჩემი, როგორც უკვე არსებული ტექსტის ავტორის, დაკითხვის ისეთი ფორმა და რიტორიკა, რომ, უბრალოდ, მოვალე ვიყავი – ერთმანეთის მიყოლებით გამეხსნა და განმემარტა ტექსტში გაფანტული მეტაფორები, მერე კი – ამ ჩემს განმარტებებში „გაპარული“ მეტაფორებიც; მე თავი მოვიქაჩლე და მიაბიტი მწერლის გულწრფელობით მოვეკიდე ამ საქმეს, რომლის უმცირესი ნაწილიც რედაქტორმა ჩემს ტექსტს ჩემივე შენიშვნებად დაურთო). მაგრამ ეს იყო მართლაც სიამოვნების მომგვრელი საქმიანობა, საპუბლიკაციო მასალაზე ტექსტის ავტორისა და ჟურნალის რედაქტორის ერთობლივი მუშაობის მართლაც რომ დასამაჯისოვრებელი შემთხვევა (და მე მას ამისთვის მადლობა მოვახსენე). ზაზა შათირიშვილზეც მე დავაკვლიანე რედაქტორი, რომელმაც თავიდანვე მთხოვა პიროვნების დასახელება ქართული ინტელექტუალური გამოცემების მიმონილვისთვის. ჩემი სარეკომენდაციო არჩევანი ხანგრძლივი ფიქრის შედეგი არ ყოფილა, არჩევანი ახალი ქართული აკადემიური ნომენკლატურის ერთერთ ყველაზე უფრო კულტურულ, განათლებულ და, რაც მთავარია, ნიჭიერ წარმომადგენელზე შევაჩერე. მართალია, მისი სტატიის სავარაუდო რიტორიკა და საორიენტაციო საყრდენები ჩემთვის ძნელად გამოსაცნობი არ იყო, მაგრამ მე ისინი ჩემი სტატიის წერისას საგანგებოდ არ გამითვალისწინებია (ამის საჭიროება არც იყო, რაკი ავტომატურად მაინც ამოსავალშივე გაემიჯნებოდა ერთმანეთს მოვლენების ჩემეული ხედვა და შეფასების მისმიერი პოლიტიკა, კონტექსტში ჩვენ-ჩვენი ადგილის დაუფარავი ხაზგასმის დონეზეც კი). დარწმუნებული ვარ, მეხსიერებაში არასდროს გაფერმკრთალდება მისი სტატიის უტრაგიკულესი პასაჟი (ყოველგვარი ირონიის გარეშე ვამბობ): შვილის განათლებაზე მზრუნველი მამის სახე. როგორც ჩანს, შემთხვევით არ იმოქმედა ჩემზე ამ დე-

ტალმა: თუ როგორ ამარცხებს შვილის განათლებასთან დაკავშირებულ დებატებში ჩართულ სანათესაო და სამეგობრო უმრავლესობას თავის პოზიციაში სიმარტოვისთვის განწირული მამა (თუმცა, ეს ნებისმიერი ჯანმრთელი დემოკრატიის უსუსურობის სიმბოლოდაც მესახება: რა მოხდებოდა, უმრავლესობას რომ არ დაეთმო, ნამდვილი დემოკრატიის დასაცავად ხმა აქმაღლებინა და ფარულ კენჭისყრას გადაეწყვიტა ზაზას შვილისთვის რუსული ენის მასწავლებლის დაქირავება-არდაქირავების საკითხი? რამ შეუშალა ხელი საქმის აქამდე მიყვანას?).

უნდა გამოვტყდე, რომ თვით ჟურნალის გასაცნობად ვერ მოვიცალე, მხოლოდ თვალი გადავაკვლე. გადავხედე რამდენიმე საინფორმაციო მიმოხილვას და ერთი-ორის სიკეთით ვისარგებლე კიდევ, და ეს უკვე საკმარისია იმისთვის, რომ ამ ჟურნალის მადლიერი დავრჩე. ერთი ნიშანი თვალშისაცემია: ჟურნალი (ისე, როგორც დღესდღეობით რუსეთში მაღალი კულტურით გამორჩეული ათობით სხვა ებრაული გამოცემა) აგრძელებს რუსეთში ებრაელი ინტელიგენტებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინტელექტუალურ ტრადიციას. ხოლო იქ, სადაც ებრაელები გეგმავენ, გამოსცემენ, თარგმნიან, ბეჭდავენ და მოიპოვებენ ფულს სხვადასხვა სახელოვნებო პროექტისთვის, მე ნებისმიერ ლიბერალიზმზე, დემოკრატიაზე, ანარქიზმზე და მონარქიზმზე საუბარს მოვერიდები, რადგან ებრაელები, რომელი იდეოლოგიის სახელითაც არ უნდა მოქმედებდნენ, რომელი კონიუნქტურის თავგამოდებული ადვოკატებიც არ უნდა იყონ და რომელ საუკუნეშიც არ უნდა იყონ, მხოლოდ საკუთარ ეროვნულ პრობლემებს წყვეტენ. ეს ყველაფერი – საგამომცემლო საქმე, მუზეუმები, გალერეები, მასმედია, დემოკრატია, პარტიები – მათთვის მხოლოდ ბიზნესია, რომელიც არ არის უმიზნო, ანუ არის ინსტრუმენტულიც და ფუნქციონალურიც. რა ამის პასუხია და ებრაული ფუნდამენტალიზმი ნებისმიერი დემოკრატიულობის, მუდმივი ცვალებადობების ფუნდამენტალიზმის საუკეთესო დემისტიფიკაციად და და-

ცინვად წარმომიდგენია. ჩემთვის ცნობილია მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი – ქრისტე, სპინოზა, პაუნდი, სელინი, კიდევ ერთი-ორი – და ებრაულ კულტურას არ გაუჭირდება დროთა განმავლობაში მათთან შერიგება და მათი შემოქმედებითი ტერიტორიების შემოერთება (ეს მხოლოდ დროის ამბავია).

შენი აზრით, როგორია პოლიტიკის საპირისპირო აპლიკაციები დღევანდელ დინამიურ ასპექტში?

დათო, 12.06.2003, მიუნსტერი

P.S. აქვე გიგზავნი ადრე შეპირებულ ტექსტს, 11 სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით გაზეთის ჟურნალისტიის სტანდარტულ შეკითხვებზე გაცემულ ჩემს პასუხს.

ჩვენი დრო ცნობილია არა მხოლოდ ადამიანური ემოციების მართვის სრულყოფილი ტექნოლოგიებით, არამედ ადამიანის მიერ სიმართლის გაგების და ამოკითხვის ბუნებრივი მოთხოვნილების მართვის სრულყოფილი ტექნოლოგიებითაც. ამერიკის სავაჭრო ცენტრში დატრიალებული უბედურება მასშტაბით თუ არა, შინაარსით მაინც იმ საშინელებათა რიგიდანაა, რაც გერმანელებმა ჩაიდინეს მეორე მსოფლიო ომის დროს, რაც ამერიკელებმა ჩაიდინეს ნაჰსაკსა და ჰიროსიმაზე, რაც რუსებმა ჩაიდინეს ჩეხეთში, რაც ამერიკელებმა ჩაიდინეს ვიეტნამში და ა. შ. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. როცა მსგავსი უბედურება ხდება, შეუძლებელია, ამან არ შეგძრას, მაგრამ ადამიანს აქვს აზროვნების, დაფიქრების, უბრალოდ, დაეჭვების უნარიც, და ეს უნარები ათას ისეთ კითხვას აღძრავს, რომლებზე პასუხის გასაცემად ყველაზე უფრო კეთილშობილური ადამიანური განცდებიც კი უძლურია. პოლიტიკა ის სფეროა, სადაც მსგავს მოვლენებს ბევრად უფრო ადრე ერქმევა სახელი, ვიდრე ისინი ხდება. ამ საზარელ აქტსაც

სწორედ ასეთი წინასწარგანსაზღვრული სახელდების პოლიტიკიდან გამომდინარე ეწოდა ტერორისტული აქტი, თუმცა სახელდების ეს ოპერაცია, როგორც ძირითადად ხდება, ამჯერადაც მიზანმიმართული და შორ პერსპექტივაზე გათვლილი იდეოლოგიური ქმედება იყო. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რით შეიძლება დამთავრდეს (თუ საერთოდ დამთავრდება) ეს პროცესი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ტერორისტულ აქტად ამ მოვლენის მონათვლა და მერე ამ ტერორიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობების გაჩაღება ყველა შესაძლო მიზეზს აბნელებს და მიმართულია იმისკენ, რომ ეს ფაქტობრიობა ადამიანთა გადამწყვეტი უმრავლესობის მიერ რაც შეიძლება დაბეჯითებით და ნათლად იქნას „გაცნობიერებული“, როგორც განყენებული ავადმყოფობა, რომელიც თავს დაატყდა ამერიკას (ანუ კაცობრიობას). არადა, ეს იყო მხოლოდ ერთი ფრაგმენტი იმ ომისა, რომელიც უკვე საუკუნეებს ითვლის. ეს არის ომი, რომელსაც თითქოს არც არავინ აწარმოებს; რომელიც უკვე თვითონ, ცოცხალი ძალების დახმარებით წარმოებს; უბრალოდ, ამ ომში ჩაბმულ (თუ მიპატიჟებულ) მხარეებს, სახელმწიფოებს, ერებს, რელიგიებს აქვთ თავიანთი მიზნები და ცდილობენ ამ „უმართავი“ ომის „დამორჩილებას“, მისი მდინარების და ენერჯის გამოყენებას თავის სასარგებლოდ. სწორედ ამ ომის გამართულად მუშაობის მორიგი ფრაგმენტი იყო ეს ტრაგედია. ყველა იბრძვის ისე, როგორც შეუძლია; ომობს იმ ძალებით, ტექნოლოგიით და რესურსებით, რომლებიც გააჩნია. და ამ ომში ჩაბმულ ძალებს აქვთ თავთავისი სიმართლე. პოლიტიკა იქ იწყება, სადაც მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის სიმართლის არა გაკრიტიკებას და უარყოფას, არამედ სრულ ნიველირებას და გაქრობას ცდილობენ. და მაშინ იქნება ილუზია, რომ სახეზეა ბრძოლა უდანაშაულოსა და დამნაშავეს შორის. მე არ მერიდება საკითხის ასე დაყენება, ვინაიდან თავისი უარყოფითი, დამანგრეველი მუხტით და სიბნელით ამ აქტზე ნაკლებ საშინელი სულაც არ ყოფილა ამერიკის საინფორმაციო საშუალებების მიერ ტრაგედიის

ადგილიდან მიმდინარე რეპორტაჟში სულ სხვა დროს და სხვა მიზეზით მოზეიმე პალესტინელთა სცენების ისე ჩართვა, როგორც – სარეკლამო ბლოკების. ამ ბლოკებმა მათზე დაკისრებული როლი წარმატებით შეასრულეს, ისეთივე წარმატებით, როგორც ამას ახლა ასრულებს ტერორიზმთან ბრძოლის სახელით იმ ფაქტის გაუქმების მცდელობა, რომ აქ საქმე ეხება არა სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლას, არამედ – ბრძოლას იმ მხარეებს შორის, რომლებსაც თავ-თავისი სიმართლე და თავ-თავისი იდეოლოგია გააჩნიათ. ეს არის პოლიტიკა, რომელსაც, როგორც ყოველთვის (და ამაში ახალი არაფერია), ეწირებიან ის უბრალო ადამიანები, რომლებსაც არაფერი დაუშვავებიათ და რომლებსაც არასდროს არავინ დაეკითხება ამ ომის სამართლიანობა-უსამართლობას. როცა ეს ადამიანები ასე ობლად იხოცებიან (და ასეთი ხვედრისგან არც ერთი ჩვენგანი დაზღვეული არ არის), სწორედ მაშინ არ უნდა მოვტყუვდეთ ცოცხლად დარჩენილები და სიბნელეს არ მივცეთ საშუალება, რომ ტრაგედიის მსხვერპლი ანუ უდანაშაულო ადამიანები და მათ ბედთან დაკავშირებული ჩვენი ემოციები აზროვნების საფანგად გადაგვიქციოს. აი, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ბერკლიში ამბოხებული ადამიანების ხმა, რომელიც ვერასდროს მოაღწევს საქართველომდე იმიტომ, რომ აქ ადამიანები არ ფიქრობენ იმაზეც კი, თუ როგორ მოახერხეს ჩვენმა უფროსო, უხერხემლო ოცნებებმა და ფანტაზიებმა ევროპის გამოტოვება და მაინცდამაინც ამერიკული დემოკრატიის ერობში ჩასკუპება. აი, რატომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ ადამიანების ხმას, რომლებიც უსამართლობის ლოგიკის მეტს ვერაფერს ხელავენ ტერორისტების წინააღმდეგ გამოცხადებულ ბრძოლასა და ავღანეთის ხელში ჩაგდების მცდელობას შორის, ბენ ლადენის გაუვნებელყოფისთვის ბრძოლასა და მთელი აღმოსავლეთის კოლონიალიზაციის მცდელობას შორის. როცა ამერიკამ ვიეტნამის დამორჩილებისთვის უბინძურესი ომი წამოიწყო, ამერიკის საუკეთესო გონებათა პროტესტის ხმები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აღ-

წვედა სსრკ-მდე, რომ რუსეთი და ამერიკა მოსისხლე მტრები იყვნენ. დღეს რუსეთისა და ამერიკის იმპერიებს შორის შესაძლებელი გახდა გარკვეული, ორივე მხარისთვის ხელსაყრელი გარიგება, რაც ძალიან ჰგავს სტალინის რუსეთსა და ჰიტლერის გერმანიას შორის ცნობილ გარიგებას, რომელმაც სულ ცოტა ხნით იარსება. რიგითმა ადამიანებმა არც მაშინ იცოდნენ, რა ხდებოდა სინამდვილეში და არც ახლა იციან (რა თქმა უნდა, მაშინაც არსებობდა და ახლაც არსებობს ნაირ-ნაირ ყვეყნთა ფართო ფენა, რომლის პროგნოზიურობა და მარჩიელობა-მკითხაობა, ანუ სურვილი, რაც შეიძლება გამჭრიახ ადამიანებად წარმოედგინათ თავიანთ მრევლს თუ მეპატრონეებს, თავის როლს შეასრულებს ამ სიბნელის გახანგრძლივებაში). მე არ ვარ პოლიტიკოსი და მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დღეს (და არა მხოლოდ დღეს) აღმოსავლეთში თავისი იარაღის გამოცდას აწარმოებს არა გინზბერგის, ფოლკნერის, კენ კიზის ამერიკა, არამედ – სულიერებისგან დაცლილი, მოძალადე და ადამიანის ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ორგანიზმზე ათასნაირი ექსპერიმენტით გართული ამერიკა. მე არ მგონია, რომ ყველაზე ჭკვიანი ვარ და ამ ყველაფერს მარტო მე ვხედავ საქართველოში. ამას ხედავს ძალიან ბევრი. უბრალოდ, ჩვენში მოფიქრალი ადამიანების კულტურული და სოციალური მდგომარეობა შეუძლებელს ხდის, მეტიც, კრძალავს ამ ხედვის არდამალვას. ასე იყო ბალკანეთის მოვლენების შეფასების დროს: ან ამერიკული პოლიტიკური პროპაგანდის ადეპტების ხმა ისმოდა, ან – მიკიბულ-მოკიბულად საკუთარი სინდისის მწვალებლების, ან – ამერიკის ბრმად მოძულე და უწიგნური ადამიანების. გაიხსენეთ, რა ენერჯია დაიხარჯა საქართველოში, ბალკანეთზე ამერიკის გალაშქრება რაც შეიძლება ჩვეულებრივ და სამართლიან საქმედ რომ წარმოედგინათ (რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ პრობლემას ღრმად იცნობდნენ ჩვენი „პოლიტიკოსები“, არა, უბრალოდ, ამას ითხოვდა კონიუნქტურა), ხოლო როცა ფარდა აეხადა ფაქტს, რომ ამერიკა ბალკანეთზე, ყველა სიკეთესთან ერთად, ქიმიურ იარაღსაც ცდიდა, ამ შემხარავი, არაადა-

მიანური აქტის გააზრებაში ჩადებული ენერგია მდოგვის მარცვალს არ აღმატებია. ასე იქნება ახლაც. ამერიკის ლაშქრობას დაუინტერესებელი შემფასებელი, ალბათ, არ გამოუჩნდება. ჩვენთან ხომ ადამიანები კი არა, ძაღლები და კატებიც „დიდ პოლიტიკაზე“ არიან შეერთებულნი. მე კარგად მესმის, რომ საქართველო ის მეძავია, რომელსაც არავინ ეკითხება, ვისთან, სად, როდის და რა ფორმით სურს. ამას წყვეტს მხოლოდ გამარჯვებული. უბრალოდ, ერთი გამარჯვებული თუ მოძალადე ამას სჩადის უხეშად და ყველაზე უფრო დამამცირებელი ფორმებით, მეორე კი – ნაკლები სიუხეშით და ნაკლებად დამამცირებლად (გარეგნულად მაინც). აი, სულ ესაა განსხვავება პატრონებს შორის, თორემ დამცირების შინაარსი სულაც არ იცვლება. ყველაფრის გაგება და ახსნა შეიძლება ამქვეყნად. ალბათ, იმისაც, როცა დამცირებულის ზვედრის შელამაზება ხდება ქაქანში ისეთი სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების შემოტანით, როგორებიცაა „პოლიტიკა“, „ლავირება“, „მანევრირება“, „ბრძნული ნაბიჯი“, „გონივრული არჩევანი“, „სტრატეგიული სვლა ქვეყნის სასარგებლოდ“ და ასე შემდეგ გაუთავებლად(თუ მე ასეთი ქაქანის მომხრე არ ვარ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი პოზიცია შესაძლო პოზიციებსა და მდგომარეობებს შორის ყველაზე კეთილშობილურია). მაგრამ, ალბათ, რაღაც ფასი მაინც აქვს იმის საზვასმას, რომ სიმართლე, რომელიც ფინანსდება, რომლის თქმისთვისაც ადამიანი ფულს იღებს, ღირებულებას და დადებით ენერგიას მოკლებულია. დღეს უკვე კაცობრიობა მისულია იმ ზღვრამდე, როცა არსებითი მნიშვნელობა აქვს არა ამა თუ იმ სიმართლეს, არამედ ადგილს, სადაც სიმართლის მოქმედი დგას, ანუ – მისი ადგილის სიმართლეს. ასეთი სიმართლე შეუძლებელია მნიშვნელობადეს იმ საქართველოში, რომელსაც დღეს ვუყურებთ (მნიშვნელობა არა აქვს, აღმოსავლეთზე ამერიკის ლაშქრობას ეხება საქმე, თუ აფხაზეთში – უბნელესი რუსეთის პროვოკაციებს). დაუკვირდით, ვინ მართავს დღეს თბილისს, ვის ხელშია საქართველოს ბედი? ესენი არიან გააზრებული ლუმპენები ან ას-

ეთთა შვილები და შვილიშვილები. პირადი უზრუნველყოფილი მომავლისთვის მათი ბრძოლა და საქართველოს მომავალზე ფიქრთან ამ ბრძოლის მათმიერი იდენტიფიცირება ტოლფასია მათი პირადი წარსულის დავიწყების, განადგურების ვნებისა: მათ წარსულში ხომ სულ არაფერი არ არის. მათ გვერდით ვხედავთ ღირსეული მამების უღირს შვილებსაც, რომლებიც არაფერზე უარს არ იტყვიან თავიანთი უზრუნველყოფილი უსაქმურობის გასამყარებლად. და გასაკვირი იქნება, თუ ეს კასტა ამერიკასთან გარიგებული რუსეთის მიერ პროვოცირებულ მოვლენებს დააჩქარებს ომის იმიტაციის დასადგმელად და მასში ახალგაზრდების ჩასახოცად (ანუ გეგმის შესასრულებლად), მერე კი ამბიონზე შედგება და იქიდან დაიწყებს მჭევრმეტყველებას საკუთარ შეცდომებსა და იმაზე, რომ რეალობა გონივრულად უნდა შევაფასოთ? ამ ხალხისთვის სულერთია, რუსეთის მონა იქნება თუ ამერიკის. მათთვის მთავარია, მათ ქვემოთ ვიღაც იდგეს, თუნდაც ერთი ხელქვეითი. და მათ ასეთ ქმედებაში არის სიბრძნის დიდი წილი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ ეს ხალხი თავისუფლების მდგომარეობაში. რა უნდა უყონ მათ ამ თავისუფლებას? რაში გამოიყენებენ? რაში მოიხმარენ?

*გაზეთი „ახალი 7 დღე“, 12-18 ოქტომბერი, 2001 წ.*

**[17.06.2003]**

ყურადღებით გავეცანი შენს თანდართულ საგაზეთო სტატიას, რომელსაც ამჯერად აღარ შევეხები, შეიძლება მოგვიანებით მივუბრუნდე. შენი აღიარება იმისა, რომ ჯერ ჟურნალის გასაცნობად ვერ მოიცალე, ჯერჯერობით მიუღწეველს ხდის ჩემს ოცნებას შენი აზრის მოსმენის შესახებ ჟურნალის სამხატვრო თუ სამეცნიერო მისიისა და თემატიკის გაშლის



შესახებ. ზაზა შათირიშვილის დახასიათება, თუნდაც როგორც აკადემიური ნომენკლატურის ყველაზე უფრო ნიჭიერი წარმომადგენლის, ამ ჩემს სურვილს ვერ ჩაენაცვლება. მაგრამ არა უშავს, გადავლოთ ეს შესაძლებელი შემდეგისთვის.

როგორც პოლიტიკის ანტიდოტი, რაზედაც შენ ინტერესით მეკითხები, მხატვრულ, თუ ესეისტურ, მაგრამ მაინც, მწერლობაში, ყოველშემთხვევაში მწერალთა გარემოცვაში, მე ისევ მხატვრული აზროვნება მიმაჩნია. როდესაც საქართველოში გამოდიოდა ჟურნალი “კრიტიკა” (არ ვიცი რა ბედშია დღეს), აი, ეს იყო საუკეთესო გამაწონასწორებელი ანტიდოტი პოლიტიკისთვის საზოგადოებაში. ჩემთვის, როგორც კრიტიკოსისთვის, ცხადია დაუვიწყარია თანამშრომლობა რედაქტორებთან ჯანსუღ ღვინჯილიასთან, ვახტანგ ჭელიძესთან, ელიზბარ ჯაველიძესთან, ბალათერ არაბულთან, “ლიტერატურულ საქართველოში”, “კრიტიკასა” თუ “ცისკარში”; კარლო კაჭარავასთან, თანამედროვე ქართული კულტურის ისტორიაში შეუდარებელი ერუდიციის და სამხატვრო კულტურის მქონე ხელოვნებათმცოდნესა და ლიტერატორთან. ეს შეეხება ძირითადად 80-იანი წლების პერიოდს; როდესაც 1987 წელს ჟურნალმა “ცისკარმა” მოაწყო მრგვალი მაგიდა ქართული სალიტერატურო კრიტიკის საკითხების შესახებ, როდესაც 1985 წელს “ლიტერატურულ საქართველოში” ჩემი დებიუტის შემდეგ რედაქტორთან გამომიძახეს და წარმადგინეს ნიკო ყიასაშვილთან, რამეთუ მას მოსწონებია ჩემი წერილი ავსტრიელი მხატვრების შესახებ და მოუსურვებია ჩემთვის მადლობის თქმა... აი, ასეთი ცხოვრება ჩანდა და ახლაც ჩანს ჩემთვის პოლიტიკის სისხლსავსე და ხალას ანტიდოტად - მწერლისთვის ყოველშემთხვევაში.

მართლაც, მე ვხედავ, რომ ეს გახდა მთავარი ნაკლი ჩვენი დღევანდელი სამწერლო ყოფის. ყველაფერი გაიმსჭვალა არა ასე სასურველი პოლიტიკური ანგაჟირებით, არამედ მდარე (დიახ, მდარე, და არა როგორც რომელიმე კონკრეტული

პროექტის კრიტიკის მნიშვნელობით, არამედ როგორც საერთოდ ამ სალოზუნგო ტრადიციის) ხედვით და განაწილებით რეალობის. ამან გააღარბა მწერლის მეტყველება (და აზროვნებაც, ცხადია), ზოგადად, საერთოდ, გარკვეულ შემთხვევებში. შენ როცა გრიგოლ ხანძთელის ძვირფას ორიენტირზე ლაპარაკობ, მე მიმაჩნია ეს ორიენტირები სწორედ მწერლის მეტყველებაშია შენახული, და არა წიგნის თუ ბიბლიოთეკის თაროებზე, როგორც მამაჩვენების გენებია ჩვენში შენახული და არა სადმე ლაბორატორიაში. მე ვიცი, რომ შენც ასე ფიქრობ. და ამიტომაც მსურს შენთან ამ ყველაფრის დაზუსტება.

რა ფარული მიზნებიც არ უნდა გააჩნდეს პოლიტიკას, ამჯერად ეს ჩემი თემა არ ყოფილა (და საერთოდ, გავიძეორებ, მე შინაარსები ნაკლებად მაინტერესებს, რადგან შინაარსს არაფერი აქვს საერთო ჩვენს სუბიექტურ აღქმათა დიალოგთან).

ჩემი თემა უფრო ესაა, შენგან ციტატა რომ ავიღო: “განა რამდენი სიტყვა ან ჟესტი სჭირდება ადამიანს თავისი ტკივილის ან სიხარულის სრულად თუ არა, გასაგებად გადმოსაცემად?”. ეს საკითხი რომ ასეთი პრაგმატულობით წყდებოდეს, ხელოვნებას დანიშნულება არათუ აღარ, საერთოდ არც არასოდეს ექნებოდა. ხელოვნების სათქმელი რომ არა მხოლოდ რა-ს, არამედ როგორ-საც შეეხება, ეს გასაგებია, მაგრამ საქმე უფრო იმაშია, რომ არა მხოლოდ ხელოვნების, პოლიტიკის საზღვრებიც აქ უნდა გადიოდეს, თუ ჩვენ ისეთ უტოპიურ საგნებზე ვილაპარაკებთ, როგორიცაა პოლიტიკის ესთეტიკა.

მოკლედ, შენი ბოლო პასუხი უცნაურად ცოტა ზედაპირული ჩანს, (მხოლოდ ჩანს) შენს ადრინდელ ჰუმანური პათოსის ფონზე. შეიძლება ეს დასავლეთისთვის მახასიათებელი მუდმივი სიჩქარით და გადატვირთულობით არის გამოწვეული. თუნდაც, რუსეთის ლიტერატურული კულტურის ბედი არა მგონია, რომ ბერეხოვსკის ლიბერალური პარტიის ხელში იყოს რამენა-

ირად. ეს შეიძლება ზედაპირზე ჩანდეს ასე. ან შეიძლება მოხდეს ასე მხოლოდ ტელეეკრანისთვის და არა უმეტეს ამისა. დღეს ხომ ყველას ორი რეალობა გვაქვს - რეალური და სატელეეკრანო, რომელიც თავისსავე მეგობარ მედიას ეხმაურება ხოლმე დაჟინებით.

მაგრამ, ცხადია, შენი პოზიციები არც გაღარიბებულა, არც შეცვლილა - შენ მიანიშნებ არა ხელოვნების ენის მრავალფეროვნებაზე, არამედ ხელოვნების თემათა და პროექტთა სიჭრელეზე, რაზედაც მეც დაგეთანხმები. მაგრამ ერთი კი ცხადია, თუ ყურადღებით თვალს კიდევ ერთხელ გადავაკვლებთ შენს წერილს, საბოლოოდ იქ აშკარად იკითხება არა რეფლექსიის, არამედ მსჯელობების დამთავრების სურვილი. ყოველ შემთხვევაში როგორც მხოლოდ სურვილი.

კარგი, მაშინ მე ასე ვიტყვოდი, რომ რატომღაც შენ კვლავ ამჯობინებ ესკაპიზმს, ვიდრე საგნის შენთვის ჩვეულ გამოკითხვას, ასეთი ტენდენცია ადრე ტექნოლოგიებთან დაკავშირებითაც ჩანდა შენი მხრიდან. შენი პათოსი ასე იკითხება: ეს ყველაფერი ხომ წარმავალია; ან - ეს ყველაფერი ხომ მხოლოდ ზედაპირულია. ხომ არ ჩანს ეს უნებურად როგორც იოლი და უხერხული პოზიცია ჩვენს ძვირფას გარემოთა მიმართ?

პოლიტიკის საუკეთესო ანტიდოტი მისი არგათვალისწინებაა, როგორც რამენაირ დომინანტად, ან ათვლის წერტილად.

ან უფრო სწორად, სწორედ რომ გათვალისწინება, როგორც ერთ-ერთი წევრისა და არა მმართველი საგნისა ადამიანურ კულტურულ ისტორიაში. ხელოვნება და პოლიტიკა არც ეკვივალენტურები არ არიან, ნებისმიერი ლიბერტარიული ემანსიპაციის მიუხედავად. ჩემთვის, ფიგურატიულად რომ ვთქვათ, ხელოვნება კაცია, ხოლო პოლიტიკა ქალი. და ისევე არა პოლიტიკური, არამედ ბიოლოგიური თუ ქიმიური, ან უბ-

რალოდ როგორც მაგნიტის ორი მიმართულების გაგებით - როგორც სოციუმისთვის, ასევე ცალკე პიროვნებისთვის. ისე კი ბოდიშს ვიხდი ასეთი “მისტიკური” პათოსისათვის.

დათო ჩიხლაძე 17 ივნისი, 2003 ნიუ იორკი

**[19.06.2003]**

დაახლოებით შვიდი-რვა წლის წინ შენ მე მიაბე ნიკო ყიასაშვილთან, მისივე ინტერესით, შენი ამ წარდგინების შესახებ. ნაამბობი დღემდე მახსოვს იმ დაუკმაყოფილებლობის გრძნობიდან გამომდინარე, რომელიც დამიტოვა შენმა პასუხმა ჩემს კითხვაზე, თუ რით გაგრძელდა ეს წარდგინება და რა გითხრა ნიკო ყიასაშვილმა. შენ მიპასუხე, რომ არაფერიც არ გითხრა, გაგიცნო და გააგრძელა საუბარი რედაქტორთან. თუ მეხსიერება არ ძლავს, სწორედ ასეთი უცნაური დასასრულით გაკვირვება გამიზიარე, როცა ეს შემთხვევა გაიხსენე. და მის – როგორც უამრავი მსგავსი შემთხვევიდან თავისი სიცხადით ერთ-ერთი კარგი მაგალითის – მიმართ ჩემი დამოკიდებულება დღემდე არ შეცვლილა: ნიკო ყიასაშვილმა წერტილი დასვა იქ, სადაც დიალოგი უნდა დაწყებულიყო. მან ეს დიალოგი, ნებისთი თუ უნებლიედ, აკრძალა. ჩვენ შეგვიძლია დაუსრულებლად კამათი იმაზე, თუ რას შეეძლო მისი მხრიდან ასეთი აკრძალვის გამოწვევა. ერთი მკაფიო მიზეზი კი ოთხმოციანი წლების ბოლოს ძალდაუტანებლად გამოიკვეთა: ახალი თაობის მოაზროვნე (მაგრამ არანომენკლატურულ) ნაწილთან დიალოგისთვის უფროსი თაობის მოაზროვნე ნაწილის მოუმზადებლობა (და არა სურვილის არქონა, მიზეზად რომლის წარმოდგენაც პირწმინდად ფსიქოლოგიური ნიშანია და ყოველთვის კოგნიტური ძალებიდან პირად ამბიციებზე ან თუნდაც ხასიათის ყველაფრისამხსნელ

უცნაურობებზე ყურადღების გადატანას ემსახურება). ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რით შეიძლებოდა გაგრძელებულიყო მასთან შენი წარდგენა, რომელიც მადლობის გამოხატვით დაიხურა? რით შეიძლებოდა დაწყებულიყო დიალოგი? ჩემი აზრით, მას ბევრი არაფერი გაეგებოდა იმ საკითხების, რომლებზეც შენ წერდი. და ეს არაა მსჯავრდება ან ბრალდება; დიანაც რომ პირიქით: რა აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ შექსპიროლოგი და ჯოისის მთარგმნელი მაინცდამაინც ავსტრიულ მხატვრობაში ან, უფრო გულწრფელადაც რომ ითქვას, თანამედროვე ხელოვნების ყველა საკითხში გარკვეული ყოფილიყო (ამ ნიუანსის მითითება მე სულ სხვა დეტალის დასაფიქსირებლად მჭირდება); მის გამოცდილ თვალს არ გამოეპარებოდა არც შენი მაშინდელი ინტელექტუალური თუ ინფორმაციული მარაგის სისუსტე, რაც უფროსი ადამიანის ჰუმანიზმს უფრო აქტიური ქმედებისკენ და უმცროსი ადამიანის მხარდაჭერისკენ უნდა უბიძგებდეს. შენდამი მის მიერ გამოჩენილი ყურადღება ადასტურებდა იმის დაფასებას, რომ გამოჩნდა სტატია, რომლის მსგავსიც ან იშვიათად იწერებოდა ან საერთოდ არ იწერებოდა. მოკლედ, ბევრი ისეთი ნიშნის ჩამოთვლა შეიძლება, რომელსაც ეს წარდგინება სხვა დინებით უნდა გადაესროლა. ალბათ, სულ მცირე, დიალოგი უნდა დაწყებულიყო დაბეჭდილი მასალის ავტორისთვის შეკითხვების დასმით და მოსმენილი პასუხების ირგვლივ მსჯელობით. მან კი ურთიერთობის ადამიანურ გაგრძელებაზე უარი თქვა, ზეადამიანად დარჩენით დაკმაყოფილდა (თუმცა, ნურც სხვა კუთხიდან დასანახ გულწრფელობას – სიცრუეზე უარისთქმას – დავუკარგავთ) და დახურა ის შესაძლებლობა, რომელიც შენთვის, როგორც ახალგაზრდა ავტორისთვის, უფრო მეტი იმპულსის მომცემი იქნებოდა, ვიდრე – მხოლოდ ეს სახალისო წარდგინება, რომელიც შეურაცხყოფად მხოლოდ იმიტომ არ აღიქმება, რომ ნიკო ყიასაშვილისთვის, როგორც მაშინდელი ქართული აკადემიური ნომენკლატურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გონიერი წარმომადგენლისთვის, უცნობი იყო მსგავსი შეურაცხ-

ყოფების პოეტიკა (ამიტომ მის მიერ შენი სტატიის შინაარსის – დიდი ანგარიშით, შენიც – ასეთი ნიველირება თავისუფალია იმ ათასგვარი ზრიკისგან, რომელსაც მაშინდელი რედაქტორები მაღალი მიზნებით მიმართავდნენ; თუმცა, ალბათ, საუკეთესო საიდუმლოდ ვერც შენ მიიჩნევ გამოცანას, თუ რამ დააინტერესა შენს სტატიაში ჯოისის მთარგმნელი). მაგრამ არც ისეთი ბოროტი ვარ ამ ამბის მიმართ, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ვჩანდე: ბოლოსდაბოლოს, რატომ უნდა ვითხოვდეთ მოსალოდნელზე მეტ სიკეთეს იმ დროისგან და იმ სივრცისგან, რომელიც ახალგაზრდებს დღემდე უმადურობად უთვლის იმის არადაფასებას, რომ თავის ტერიტორიას მათ ტექსტებსაც უთმობდა? (არ შემშლია: მაშინდელი გამომცემლობები და რედაქციები თავად იყვნენ დროც და სივრცეც, საერთოდაც, ყველაზე უფრო ხილული(!) მეტაფიზიკა).

მე ვფიქრობ, დიალოგის (და არა სასუფრო მეტყველების ან ისეთი ფსევდოდიאלოგის, რომლის ბაზაც ისევ და ისევ სასუფრო გარკვეულობა და სასუფრო უფროს-უმცროსობაა) მოთხოვნილებაც და პრაქტიკაც ჩვენმა თაობამ მოიტანა (არა მხოლოდ უფროს თაობასთან, არამედ, და იქნებ პირველ რიგშიც, ერთმანეთთან დიალოგის სურვილი), და თუ ეს სურვილი მრავალი გასაგები დაბრკოლების წინააღმდეგ ბრძოლამ, ამ წინააღმდეგობების მოგერიებისთვის დახარჯულმა ენერგიამ გააუხეშა, ამაში მოულოდნელი ან დიალოგისთვის არსებითად ხელისშემშლელი არაფერი იყო (დიალოგის ამ მოთხოვნილებას ხომ ადგილობრივ ბაზად, დიდი ანგარიშით, აღნიშნული სურვილის მეტი არც არაფერი გააჩნდა; მახსენდება, რომ სწორედ ამ პერიოდში, ოთხმოციანი წლების მიწურულს, ჩავინიშნე ერთი გეგმა: მინდოდა, დამეწერა ვრცელი ნარკვევი ქართული მეტყველების სოცრეალისტური წარსულის შესახებ; ჩვენამდე მოღწეული ტექსტების – პირველ რიგში კი “ქართლის ცხოვრების” – მაგალითზე მინდოდა დამესაბუთებინა, რომ საქართველოს ცხოვრების საბჭოური პერიოდი საქართველოს ისტორიის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა

და რომ ამ ისტორიაში ადამიანებს შორის ურთიერთობა იწყებოდა და მთავრდებოდა გმირული, რაინდული, ჰეროიკული თუ რაღაც ამის მსგავსი შეძახილებით; რომ ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობას ასეთი ფსევდოამაღლებული, წმინდა წყლის პათეტიკური გასიტყვებებით ამყარებდნენ სოციალური არსებობის ყველა დონეზე და არა მხოლოდ – ბრძოლის ველზე; თვალს თუ გადავაკლებთ, საბჭოთა პერიოდში შექმნილი სოცრეალისტური ფილმების გმირებს შორის ურთიერთობა სწორედ ასეთი შეძახილებით მყარდება, ისინი ყველაზე უფრო არაიდეოლოგიური ურთიერთობების დროსაც ერთმანეთს – გამოძეტყველებითაც და მეტყველებითაც – რაღაც გმირულ მიზანზე, განსაცდელზე, საფრთხეზე, რისკის აუცილებლობაზე მიუთითებენ, მათი მეტყველება პერმანენტულად პათოსურია; ისტორიულ ფილმებშიც ასე ხდება ჩვენი წარსულის წაკითხვა, რაც არამც და არამც სოცრეალიზმით თავსმოხვეული არ მგონია, თუნდაც მე-19 საუკუნის ქართული პროზის გათვალისწინებით, უფრო შორს რომ არ წავიდე). როცა დიალოგის მოთხოვნილება ჩნდება სახელოვნებო ცხოვრების ძველი წესის პარალელურად, და როცა ამ ძველი ცხოვრების რაინდებიც აქტიურად ზრუნავენ მოსალოდნელ რეალობაში თავიანთ ძველ სიამაყესთან ერთად გადარჩენაზე და იმ როლის შენარჩუნებაზე, რომელიც ასეთი დაცული და რეკლამირებული იყო აქამდე, დიალოგში გულწრფელობის შენარჩუნებას ყოველთვის უშლის ხელს ნათესაური კავშირები, ნაცნობობის პოლიტიკა, უმაღურობაში დადანაშაულების წინაშე შიში, ლუკმა-პურზე ან დაცულ საყოფაცხოვრებო მომავალზე ფიქრები თუ ერთი შეხედვით უწყინარი ფარული განზრახვები(მაგალითად, ცალსახად ოპორტუნისტული). სალიტერატურო გარემო მართლაც არ არის გმირების და თავგანწირული რაინდების საასპარეზო არსად და მით უფრო – საქართველოში (და არც არის საჭირო არასდროს), სადაც სოციალური, პოლიტიკური და სახელოვნებო ცხოვრების ერთმანეთში ჩაწნულია არსებობის ტრადიციული ფორმა და არა – კარგი ან ცუდი გამოცდილება. აქ ყოველთვის

მართლაც სანატრელი დიალოგია საჭირო, რომელსაც ასეთი ზარალი მიაყენა კარლო კაჭარავას გარდაცვალებამ, ბადრი გუგუშვილის თვითმკვლელობამ კი იმ პარადოქსებისგან განძარცვა, რომლებიც ნებისმიერი დიალოგის საწვავია.

ამ თემებს სამომავლოდ სიამოვნებით დავუბრუნდები, ახლა კი უფრო საინტერესო მგონია პასუხის გაცემა შენს იმ შენიშვნაზე, რომ ჩემს ბოლო პასუხში მსჯელობის დამთავრების სურვილი იკითხება. მე ვფიქრობ, შენი ბოლო წერილის ფარული პათოსი სწორედ ამ ეჭვის ირგვლივ იყრის თავს (და ამას, როგორც შეკითხვას, ახალს არაფერს მატებს ჩემს ადრინდელ ჰუმანურ პათოსზე მითითება; ეს ჰუმანური პათოსი, რა თქმა უნდა, რომც მომენდომებინა, ასე მცირე დროში ვერსად გაუჩინარდებოდა), ცალკეული ხაზგასმები კი მხოლოდ რიტორიკულად აძლიერებენ ამ შენიშვნას, რომელსაც მე შეკითხვად უფრო აღვიქვამ (და, ალბათ, ასეც იყო შენს მიერ ჩაფიქრებული).

გარკვეული თვალსაზრისით, უკვე ვისაუბრე იმაზე, თუ რატომ ვერ წარმოვიდგენ პოლიტიკის ხალას ანტიდოტად თუნდაც შენს მიერ ჩამოთვლილ განსენებებს (კარლო კაჭარავას გამოკლებით, რომელსაც მე მხოლოდ სიტუაციურად ვიცნობდი, მაგრამ რომელთან პირად საუბრებშიც იკითხებოდა და რომლის ჩემთვის ცნობილ სტატიებშიც იკითხება პოლიტიკის გათვალისწინება და პოლიტიკის ძლიერების მექანიზმში წვდომის მცდელობა; არა, რა თქმა უნდა, პირდაპირი და რევოლუციურად მებრძოლი). რაც შეეხება ათვლის წერტილად ან რამენაირ დომინანტად პოლიტიკის არმიჩნევას, შენს მიერ ამის საგანგებოდ ხაზგასმამ მაშინვე ჩვენი საწყისი მიმოწერა გამახსენა, როცა მე სწორედ ამ აზრის უპირატესობას ვიცავდი და ჩემი “მეტაფიზიკური” სვლებიც სწორედ პოლიტიკის პოლიტიკიდან (რომლის სამფლობელოც ტექნოლოგიებსაც უპირობოდ მოიცავს) ხელოვნებაზე და ხელოვნების პოლიტიკაზე, მეტიც, ხელოვნების მეტაფიზიკაზე მზერის გადანაცვლებას ემსახურებოდა, რასაც ბოლოს მოჰყვა შენი შენიშვნა იდილიაში



ჩემი გაქცევის სურვილთან დაკავშირებით; ასეთ საკითხებზე მსჯელობისას პოლიტიკის არგათვალისწინება კი (არა ცალსახად ან ცალმხრივი აზრით, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ მოგაწერ, და შენს მეტაფორას შეურაცხყოფას არ ვაყენებ) თვალისდახუჭვა ან რეფლექსიის უადგილო შეფერხება იქნება. მე კარგად მესმის(ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია) შენი ფიქრის მიმართულება ამ მომენტში, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია, არც გაითვალისწინო პოლიტიკა და პოლიტიკის ველზეც იმოძრაო (თუნდაც, პირადი სახელოვნებო ან საყოფაცხოვრებო სტრატეგიების დონეზე), როცა ამას კონკრეტული ამოცანები მოითხოვს. და აქ, წარსული სარედაქციო ცხოვრებიდან შემონახული ლოკალური სიკეთეების პარალელურად, დღის წესრიგში აუცილებლად დადგება პასუხისგაცემა მტკივნეულ კითხვებზე: თუნდაც შენს მიერ ჩამოთვლილი რედაქტორების ბელზე, რომლებიც იძულებული იყვნენ, პოლიტიკური და იდეოლოგიური ცენზურის წნეხსა და ადამიანური ურთიერთობების სიმაღლეს შორისაც ემოძრავათ და თავიანთ პროფესიულ საქმესაც პირნათლად გაძლოდნენ, არც ადგილი დაეკარგათ და იმ მრწამსისთვისაც ეერთგულათ, რომელსაც ემსახურებოდნენ. (ახლა ვუფიქრდები გაკვირვებით, რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო ვახტანგ ჭვლიძე, რომ “ლიტერატურული საქართველოს” რედაქტორიც ყოფილიყო, უშიშროების – სწორედ კონკრეტულის და გასათვალისწინებლის – დირექტივებიც ესმინა, ინგლისურენოვანი პროზაც ეთარგმნა არაჩვეულებრივი ქართულით და “ქართლის ცხოვრების ქრონიკებიც” დაეწერა). ესკაპიზმი, რაც, უზოგადესი განმარტებით, რეალობისგან გაქცევას ნიშნავს, სწორედ მაშინ შეიძლება შემოგვეპაროს, როცა თუნდაც ყველაზე გულწრფელ მადლობას ვჯერდებით (მოჩვენებითად მაინც, რაც საუკეთესო პოზიცია არ უნდა იყოს) და ასეთი მადლობის რომანტიზმში დარჩენას ვამჯობინებთ. კეთილი, თუნდაც ამას დაუკვირდი: როცა, სტატიკური დეფინიციების სანაცვლოდ, დღევანდელ დინამიურ ასპექტში პოლიტიკის საპირისპირო აპლიკაციების შენეული (ანუ არა-

სტატიკური) დახასიათება გთხოვე (მსჯელობის გაგრძელების და არა დამთავრების სურვილის ნიშნით), რით მიპასუხე? ჩემი წერილის შეფასების დასრულების მერე ნაუცბათევი წინადადებების ჯამით, თითქოს შეკითხვის წინაშე ვალის-მონდით; და ასეთი პასუხის არაადექვატურობა არც თავად გამოგპარვია, როცა “მისტიკურ” პათოსს მიუთითე. დამერწმუნე, როგორი დატვირთულიც არ უნდა ვიყო, აუჩქარებლად, საგან-გებოდ გამოთავისუფლებულ დროში გწერ ყოველ სიტყვას, თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ ჰუმანური პათოსის დემონსტრირებებისთვის არ მემეტება ეს ჩვენი საუბარი.

აქვე, გული არ მითმენს, არ დავუბრუნდე გაბოვიჩის ჟურნალს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალს ვერ გავეცანი (და შენს მიერ დასმულ შეკითხვას ვერ ვუპასუხებდი მხოლოდ ერთი ნომრის შეფასებით, რაც ჩემის მხრივ საკითხისადმი ზერეულე დამოკიდებულება იქნებოდა მას მერე, როცა ჟურნალის სხვა ნომრებისთვის თვალის გადავლებამ დამარწმუნა, რომ ბოლო ნომერი მხოლოდ ნაწილია ჟურნალის „სამხატვრო თუ სამეცნიერო მისიისა და თემატიკის გაშლისა”, შენი სიტყვები რომ მოვიშველიო), მაინც შევეცადე ზოგადი შთაბეჭდილება გამეზიარებინა შენთვის (და ეს შთაბეჭდილება იმაზე უფრო არაუწყინარი მეტაფორებით გადმოგეცი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა: მე ვფიქრობდი, რომ სტატიის სარედაქციო დროში ჟურნალის რედაქტორთან ჩემი ურთიერთობის გადმოცემა ჟურნალის არცთუ მწირ დახასიათებას იძლეოდა, ისევე, როგორც ზაზა შათირიშვილის სტატიიდან ჩემთვის ღირსასწავარი დეტალის გახსენება – ჩემს მიერ მისი სტატიის არატრაფარეტული შეფასების შესახებ უწყებას). ნებისმიერ შემთხვევაში, არ უნდა გაჩენილიყო ეჭვი, რომ რუსული ლიტერატურული კულტურის ბედი ბერეზოვსკის ავკიდე, ჩემი ბოლო წერილის აქცენტები კი ჩემი ჰუმანური პათოსის შესარბილებლად გამოვიყენე (თუ მამაჩვენების გენებია ჩვენში შენახული, ჩვენი მიმოწერა ხომ უფრო თვალსაჩინოდ შენახულია ჩვენს მენსიურებაში და იქ ჩემი ესკაპიზმები სწორედ საპირისპირის ამტკიცებენ).

უბრალოდ, რაკი ჩვენ არა ვართ სახელმწიფოები, რომლებმაც პერიოდულად უნდა გადასინჯონ, განახლონ ან შეწყვიტონ ერთხელ დადებული ხელშეკრულებები, მშვიდად ვიგულისხმე, რომ ამ პათოსის გამეორება ან ხაზგასმა ჩემს მიერ აღარ იყო საჭირო.

ერთი წინადადებით: თუ შენი ეს შეკითხვები ჩვენი დიპლომატიის მართლაც რომ დროული და, ამიტომაც, წყალივით საჭირო პროვოცირებები იყო, მე ამას სიხარულით მივესალმები.

წერილის დასასრულს კი ისევ ქართული მწერლობის უახლოესი წარსულის თემას შევეხები, რომელიც შენ წამოჭერი. ეს მართლაც კარგი გაგრძელება იქნებოდა ჩვენი საუბრის. კერძოდ, პოლიტიკური ანგაჟირების თემა, რომელიც, შენი დაკვირვებით, მდარე საკულისო გადანაწილებებმა შეცვალა. შინაარსებით შენი დაუინტერესებლობის მიუხედავად, მინდა გკითხო იმ შინაარსზე, რომელსაც პოლიტიკური ანგაჟირებულობისა და მდარე ხედვის დიხოტომიაში ხედავ. თუ სწორად გაგიგე, ამით შენ მიუთითებ 80-იანი წლების ოფიციალური ჟურნალების რედაქციებში (და ჟურნალების ფურცლებზეც) არსებულ იმ ოაზისების სისტემას, შენი სიტყვებით „პოლიტიკის ანტიდოტს“, რომელიც დღეს აღარ არსებობს და რომელსაც უპირისპირდება გამომცემლებად გასაღებული მესტამბეების და ელიტარული პოლიტიკოსების ცივილიზაცია. როგორ დაახანსიათებდი ამ უკანასკნელთა უფერულობის შინაარსს? და რომელი ქვიშით დაიფარა აღნიშნული ოაზისები?

დათო. მიუნსტერი, 19.06.2003

**[22.06.2003]**

პირველ რიგში, მთლიან შემდეგ, რომ ჩვენ ვერ გავარკვევთ სხვათა ზოგად ერუდიციას მხოლოდ იმ ნიშნით, თუ რომელია

მათი უშუალო პროფესია, და რომელი არა. და საერთოდ სხვათა ზოგადი ერუდიციის გარკვევა ზოგადი მარჩიელობით, კონკრეტულ ტექსტთა ანალიზის გარეშე, მე უზერხელობად მიმაჩნია. გარდა ამისა, ნიკო ყიასაშვილთან შეხვედრა ჩემთვის ისეთ პირად ძვირფას მოვლენად დარჩა ჩემს ცხოვრებაში (და მისი გახსენება სწორედ ასეთი იყო ჩემთვის), რომ მე ამ მხრივ პოლემიკას არ ვაპირებ. ჩემს მიერ მისი გახსენება ცხადად ჩანდა რომ პოზიტიური იყო, და ამ მხრივ ჩემი ნოსტალგიის ნეგატიურ გადაფასებაში ბოდიში მაგრამ მონაწილეობას ვერ მივიღებ. თუმცა სხვას არ დავუშლი ამას.

და საერთოდ, ჩვენი საუბრის მიზანი და საგანი არ უნდა დაიკარგოს. თუ საერთოდ მას ასეთი გააჩნია. ანდა ისინი გზადაგზა გამოჩნდებიან ხოლმე, და ესეც არ უნდა იყოს ურიგო. მე შეგნებულად არ მივდეგ სკურპულოზურად შენს შეკითხვებს თუ ჩემივე წამოჭრილ საკითხებს, მაგრამ ისინი მაინც ჩემი ყურადღების მიღმა როდი რჩება. მე ვფიქრობ, რომ არც შენ იცავ ასეთ სკურპულოზურობას, და ეს სავსებით ბუნებრივია ალბათ. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უყურადღებობას ვიჩენთ. მაშინ ვინ გვაიძულებდა გვეწერა?

და მაინც მთავარი მიზანი ალბათ ისევ ლიტერატურაა. შენ ამას მიესალმე კიდევ ბოლოს, და აზრიც მკითხე დღევანდელ მდგომარეობაზე საქართველოში. მე ამ თემაზე უკვე მქონდა პასუხი წინა წერილში, და დღევანდელი ნაკლოვანებების მიზეზად მე არ ვასახელებ ვიღაც “გამომცემლებად გადაკეთებულ მესტამბეებს” ან სხვათ, არამედ კრიტიკის კულტურის მთლიანად მოშლას. მე იმედი მაქვს, რომ ამჯერად მაინც შენც აღძრავ ამ საკითხებს ჩვენს მიმოწერაში. მე მაქვს რაღაც დაწყებითი საუბარი საქართველოში კრიტიკული ჟურნალის დაარსების შესახებ, თუმცა ჯერ არც დაწყებულა ეს მსჯელობა რიგიანად, და ამიტომ მსურს შევქმნა თანამოაზრეთა პლატფორმა, დროებითი რა თქმა უნდა, მუდმივად არავინ არასოდეს შეთანხმდება

რამეზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთვისვე გამოდგეს და მრავალი სხვისთვის, ახალგაზრდა მწერლისთვის თუ საერთოდ მკითხველისთვის.

ისე, ჩემთვის თითქოს თემად ესლა რჩება, და ამიტომაც იქნებ დისკუსიის დამთავრების სურვილი ჩემშივე იკითხება? ვინ იცის, ყველაფერზე პასუხის გაცემა არ შეგვიძლია. და ამიტომ, მაინც მოდი ჩვენ საუბარს ამჯერად ერთი კონკრეტული ყალიბი მივცეთ: კრიტიკა ჩვენს რეალობაში, როგორი შეიძლება იყოს ის? მე ეს მიჯობს გამომცემლებზე საუბარს, თუ წინააღმდეგი არ იქნები, მომწერე, ანდა ერთ კვირაში გაახლებ ვრცელ წერილს.

დათო ჩიხლაძე

22 ივნისი, 2003 ნიუ იორკი

**[23.06.2003]**

კეთილი, ჩემის მხრივ შემიძლია ჩავთვალო, რომ შენმა პასუხმა მართლაც შეიტანა სიცხადე და გარკვეულობა ჩემს ინტერესში, თუ რა მიმართულებით გაინტერესებს (უფრო სწორად, რა მიმართულებით არ გაინტერესებს) წამოჭრილი თემების პრობლემატიზება. თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ შენს მიერ მორალურ ჭრილში ყველა ამ საკითხის გადასროლა არ ეწინააღმდეგება ჩვენს აქამდე მიმღწერაში შენს მიერ განვითარებული არაერთი შეფასების სტილს და შინაარსს, ხოლო თუ მაინც შენიშნავ, რომ ეწინააღმდეგება, ამის ახსნას არ შეეცდები სუბიექტურ აღქმათა ცვალებადობის უნივერსალური ლოგიკით. ამას იმიტომ ვაზუსტებ, რომ მსგავსი ლოგიკის პირველობა, ვატყობ, სულ მალე დამაეჭვებს, სწორად მახსოვს თუ არა იმავე ჟურნალ „კრიტიკაში“ დაბეჭდილი შენი სტატია ახალი

თაობის ქართველ პოეტებზე, სადაც ჩემთვის დასამახსოვრებელ კონტექსტში საუბრობ სიცრუის მექანიზმზე (სხვათაშორის, რედაქციებთან და გამომცემლობებთან კავშირში). ვაზუსტებ იმიტომაც, რომ, ჩანს, ჩემში გაღიზიანება გამოიწვია (შეიძლება, სავსებით უადგილო) მიმოწერის განახლებამ შენს მიერ მაინც და მაინც 80-იანი წლების სარედაქციო ღონისძიებების რომანტიზაციით, გარდატეხილით პირადი სასიამოვნო მოგონებების პრიზმაში (და თუ შენ ფიქრობდი და ფიქრობ, რომ ეს კარგი შესავალი იქნებოდა ქართული ლიტერატურის პრობლემებზე სასაუბროდ, დაე, ასე იყოს). ხოლო იმ წლების მიმართ უმაღური ადამიანის შთაბეჭდილება რომ არ დავტოვო, აქვე გამოვთქვამ ჩემს მაღლიერებასაც იმ რედაქტორების მიმართ, რომლებიც ჩემს ტექსტებს ბეჭდავენ, და ამით ავუბამ მხარს სადღეგრძელოს, მაგრამ – პრინციპული დაზუსტებით, რომ შენს მიერ ჩამოთვლილ ვერც ერთ ღონისძიებას ვერ მივიღებ, როგორც „პოლიტიკის მიმართ ცინცხალი ანტიდოტის“ საბუთს (იმის მიუხედავად, რომ ამქვეყნად ყველაფერი შეფარდებითია). აქვე გავიხსენებ კონკრეტულ შემთხვევასაც: ჩემი პირველივე პუბლიკაცია „ნობათში“ მეტად მხიარული გამოდგა. რედაქტორმა, ბალათერ არაბულმა, სამ ნაწილად დაყოფილ ჩემს ერთ ლექსს ბოლო ქვეთავი მოაცალა, ორი პირველი ქვეთავისგან კი ორი დამოუკიდებელი ლექსი გამოიყვანა და ისინი მრავალი საკორექტურო შეცდომით და სიტყვების ამოღება-ჩამატებით დაბეჭდა (გასაგებია, რომ – ჩემთან შეუთანხმებლად). მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაციის გაცნობისთანავე მკაცრი, მაგრამ ზრდილობიანი პროტესტი გამოვთქე და რედაქტორის მხრიდანაც უმადურობაში სამართლიანი ბრალდება დავიმსახურე, ჩემს პირველივე პოეტურ კრებულში ეს ქვეთავები ცალცალკე ლექსებად (ანუ, ბალათერ არაბულის ჩარევის შედეგად მიღებული ვერსიით) შევიტანე (თვით ლექსებს კი თავიანთი პირვანდელი სახე დავუბრუნე). სხვათაშორის, მომეცა თუ არა შემთხვევა, რედაქტორს ჩემი ასეთი არჩევანი ხალისით გავუზიარე და მაღლობაც მოვახსენე.

რა თქმა უნდა, სიხარულით გავაგრძელებ შენთან საუბარს ქართული ლიტერატურის საჭირობოროტო თემებზე. ოღონდ, როგორღაც ვერ ვიპოვებ, როგორ მოხერხდება თუნდაც კრიტიკის პრობლემებზე საუბარი, თუ გამომცემლობის, ფულის, პოლიტიკის (თუნდაც შენს მიერ უტოპიად მოხსენიებული პოლიტიკის ესთეტიკის; თითქოს უტოპიად ნებისმიერი ცნებათშეთანხმების გამოცხადება არ შეიძლებოდეს), ცალკეულ ავტორთა ჩვენს ხელთ არარსებული წიგნების და ბევრი სხვა მეტ-ნაკლებად თანამდევნი ან ნაკლებად თანამდევნი საკითხების შესახებ ხმას არ ამოვიღებთ? მაშინ აფორიზმებად მოგვიწვევს ჩვენ-ჩვენი პასუხების ჩამოწერა კითხვაზე, თუ რა არის დღევანდელი ნაკლოვანებების მიზეზი. ერთი პირობით: როცა გონება თანამდევნი თემების გაშლისკენ ან გვერდითი თემების მონიშვნისკენ გაიწვევს, მაშინვე უნდა აიკრძალოს მისი ეს მცდელობა (დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ცალმხრივ აკრძალვას არ ექნება ადგილი და შენც მოგიწვევს ამ წესის გათვალისწინება). პირველივე აკრძალვას ჩემსკენ მოვმართავ და არ დავსვამ კითხვებს კრიტიკის კულტურის მთლიანად მოშლის თაობაზე: მაგალითად, რა სახე ჰქონდა იმას, რაც მოიშალა, ან რა დროული საზღვრები მოიცვა იმ იდეალურმა ტიპმა, რომელიც უკვე მოიშალა, ან ეს მოშლილობა რატომ არის მიზეზი და არა შედეგი (რადგან ეს კითხვები სულ სხვა განშტოებით დაისახსრებოდა, ჩვენ კი შესაძლებლობა მოგვეცემოდა, დაკვირვების სხვადასხვა წერტილიდან გაგვეანალიზებინა თუნდაც ეს ერთადერთი თემა). თუმცა, შევეშვათ ამ კირკიტს და იმედი ვიქონიოთ, რომ პრობლემები, რომლებსაც არც თუ დიდი სიფრთხილით მივუ-თითე, თავს არ შეგვასხენებს.

ახლა – მართლაც ყველაზე უფრო ძვირფასი თემის, კრიტიკული ჟურნალის შესახებ, რომელზეც შენ მწერ. მე ვფიქრობ, საქართველოში უკვე მომწიფებულია ასეთი ჟურნალის გამოცემისთვის პირობები და თუ მისი ორგანიზება და შენარჩუნება მოხერხდება, ის თავის წვლილს შეიტანს ჩვენი სალიტერატურო სისტემის, უბრალოდ, სალიტერატურო

კულტურის ჩამოყალიბებაში. პირადად მე სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას აღნიშნულ პროექტში. უფრო კონკრეტულად როგორ გესახება ჟურნალის გეგმა?

დათო. 23.06.2003, მიუნსტერი

### **[24.06.2003]**

ერთი საკითხი მაინტერესებს, როდესაც ნანა შარაშიძე გესაუბრება, და გეკითხება “ტროფობა წამებულთა” შესახებ, შენს პასუხში არ ჩანს ჩემთვის დამაკმაყოფილებელი განმარტება. ამიტომ თუ ეს საკითხი შენთვისაც საინტერესო იქნება, სიამოვნებით მოვისმენდი შენს პასუხებს (მაგრამ გაითვალისწინე, რომ მე პასუხი თავადვე წინასწარ მომზადებული როდი მაქვს, არამედ სწორედაც რომ შენგან ველი. არსებობს ასეთი შეკითხვებიც, რომლებიც გულწრფელია იმ მნიშვნელობით, რომ მათ აინტერესებთ ის, რაც არ იციან). მე მინდა შეგეკითხო: არ შეიძლებოდა შენ არ გაგეთვალისწინებინა ეპატაჟი, და რადგან ალბათ ეს ასე უნდა იყოს, რა მიმართულება ჰქონდა ამ ეპატაჟს მაშინ, ან ეხლა როგორ ჩანს ეს მიმართულება შენთვის. შეიძლება აქ სულაც არ იყო ეპატაჟი, მაგრამ ასეთ ნიუანსს მაინც იძენდა სიტუაცია, რაც ალბათ შენთვისაც შესამჩნევი უნდა იყოს, მაგრამ ამაზე არაფერს პასუხობ შენს კორესპონდენტს. ეპატაჟს ხელოვნებაში ცხადია აქვს თავის პოლიტიკური თუ ესთეტიკური დანიშნულება. როგორ განხორციელდა (ან გინდოდა რომ განხორციელებულიყო) ეს დანიშნულებები შენთვის, ან რა იყო იქ მხატვრული თუ ესთეტიკური შინაარსი, რამდენად ადექვატური იყო მისი გამოხატვის სისტემა.

ვფიქრობ რომ ეს ის შეკითხვებია, რომლებსაც შენ დიდი ხანია ელოდები. რა ესთეტიკური კავშირი აქვს ამ ნაწარმოებს



ე. წ. ფილოსოფიურ პოეზიასთან, როგორც შენ საკუთარ პოეტუკას განსაზღვრავდი (და შეიძლება ეხლაც განსაზღვრავ)? როგორ გაიგებდნენ ამ ყველაფერს ეროსი მანჯგალაძე და იპოლიტე ხვიჩია?

დ. ჩ.

**[26.06.2003]**

ვეცდები, გიპასუხო. დედამიწის ზურგზე ორად ორი ადამიანი არსებობდა, რომლებსაც აქტიურად ვითვალისწინებდი „ტრფობა წამებულთაზე“ მუშაობის დროს: ილია ჭავჭავაძე და მიხეილ ჯავახიშვილი. ეს არის ჩემი მეხსიერების ყველაზე უფრო ცნობიერი, დაუვიწყარი გამოცდილება და სწორედ ამიტომ აღვნიშნავ ამას ხაზგასმით. ფაქტობრივად, „ტრფობა წამებულთა“ იყო იმ კითხვაზე პასუხის გაცემის სურვილი, თუ რატომ დაწერა ერთმა „ბედნიერი ერი“, მეორემ კი – „ჯაყოს ხიზნები“. ალბათ, დაუჯერებელი არ უნდა იყოს (ამას შენც უშვებ), თუ გეტყვი, რომ არავითარი ეპატაჟი მიზნად არ მქონია. საერთოდაც, არ მქონდა განცდა, რომ ვწერდი ქართველი მკითხველისთვის უცნობი ენით ან რომ ტექსტის მატერიალური გარსი მისთვის უცხო იქნებოდა. ჩემი სამუშაო მდგომარეობდა იმ ტკივილის არა მხოლოდ დათმენის, არამედ გააზრების მცდელობაში, რომელსაც ჩემში ყოველთვის იწვევდა „ბედნიერი ერის“ და „ჯაყოს ხიზნების“ თვით არსებობის ფაქტიც კი, რომ არაფერი ვთქვა მათთან ჩემს დიალოგზე, მათი სათქმელის გაგების მოთხოვნილებაზე (ანუ, მე მაინტერესებდა არა მათმიერი კრიტიკა, არამედ – ის მეტაფიზიკური ბაზა, რომელსაც მათი ეს კრიტიკა ეფუძნებოდა; არახილული, მეტიც, პოეტური მხარე). ჩემი ტექსტი იყო არა იმდენად პასუხი, რამდენადაც – შეკითხვა, უკეთ, გარკვეული მხატვრული ფორმით ჩამოყალიბებული შეკითხვა. ეს შეკითხვა მოიცავდა

საკითხსაც, თუ როგორ იაზრებდნენ ეს მწერლები თავიანთ სათქმელს საქართველოს ისტორიის კონტექსტში; ანუ: სწორედ მას მერე, როცა მუშაობა დაასრულეს, როგორ ხედავდნენ ისინი თავ-თავიანთ ტექსტებს იმ საერთო ეროვნული სულიერი გამოცდილების კონტექსტში, რომელზე პასუხის გაცემის მცდელობაც იყო მათი ტექსტები. რა ჰკითხეს მათ ისტორიას თავ-თავისი პასუხით, მეორეს მხრივ კი, რა გვკითხეს ჩვენ, როგორც მკითხველებს (რაც ჩემთვის ტოლფასია საკითხის ასე დასმის: რა ჰკითხეს მათ საკუთარ თავს, როგორც მკითხველს). ეპატაჟის მიმართულებით ამ ტექსტის გადინებაზე სერიოზულად დავფიქრდი მას მერე, როცა მისი პრეზენტირება გადავწყვიტე. მე მქონდა იმედი, რომ „ტრფობა წამებულთა“ არ იქნებოდა აღქმული უხამსობად, სულ მცირე, მოაზროვნე ადამიანების მიერ. ვფიქრობდი, რომ იმ სტადიის გავლის მერე, რომელიც მოსდევს ხოლმე მსგავსი ფორმებით სათქმელის გამოხატვას, ტექსტი დაუბრუნდებოდა თავის შინაგან ღინებას და გადარჩებოდა გადასარჩენი, როგორც ყოველთვის ხდება ლიტერატურაში. ერთადერთი, ვისდამი შიშშიც დროდადრო თავს მახსენებდა (ეს უკვე მერე, ტექსტის გამოქვეყნების მომდევნო წლებში), იყვნენ ე. წ. პატრიოტები და ფუნდამენტალისტ-მართლმადიდებლები, რომლებსაც თავიანთი ერთგულების გამოსავლენად შეიძლებოდა საქმე გაჩენოდათ ჩემი სახით (ანუ მეშინოდა მხოლოდ ფიზიკური ანგარიშსწორების). იქვე, თავს ვიმშვიდებდი იმით, რომ ამ ტექსტისთვის დიდხანს ვერ მოიცლიდნენ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლით დაკავებული, ყველაზე უფრო უხეში ძალები. ამ ყველაფერზე მნიშვნელოვანი მართლაც იყო ჩემთვის ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილი მაგალითები, როცა ტექსტებს უხეში ბრალდებებისგან სათქმელის არაკომერციულობა, სიღრმე და მხატვრული ღირსებები ათავისუფლებდა.

იმ პერიოდში მე ვმუშაობდი ენის ფილოსოფიის საკითხებზე და ეს საბუთო ერთგვარად შეჯამდა „ტრფობა წამებულთა“ დაწერიდან ორი წლის მერე გამოქვეყნებულ ჩემს ეს-

სეებში: „სიტყვის შეუძლებლობა” და „ანტი-შტაინი: გრამატიკა და პოეზია”. ამ თეორიულ შრომებში, უბრალოდ, დაწვრილებით არის გადმოცემული ის ფილოსოფია, რომელიც „ტრფობა წამებულთას” უკან ღვას. ამიტომ, ამ კუთხით (ე. ი. უშუალოდ მისი ესთეტიკის და ფილოსოფიის) მასზე სასაუბროდ მე მომიწევდა აღნიშნული ესსეების სიტყვასიტყვით გამოთქმა. საბაზისო თვალსაზრისით, ამ ესსეებში ჩამოყალიბებული მითოლოგია დღემდე რჩება ჩემი სუბიექტური ხედვის ქვაკუთხედად. ხოლო რატომ ვერ გავცემდი პასუხს სულ სხვადასხვა გამოცდილების მკითხველის ერთადერთ შეკითხვას, თუ რატომ არსებობს ეს ტექსტი საერთოდ, ეს თავშივე ვთქვი: „ტრფობა წამებულთა” თავად არის შეკითხვა. და ეს შეკითხვა პირადად მე ტექსტის გარეთ სულაც არ მტოვებს (რაც ჩემთვის პრინციპული საკითხია).

რა უნდა ვთქვა იმაზე მეტი და იმაზე მკაფიოდ, რასაც და როგორც „ტრფობა წამებულთა” ამბობს? რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ გამოცდილებას, რომელიც მე, როგორც ამ ნაწარმოების ავტორმა, შევიძინე ურიცხვი შეკითხვის, დაცინვის, დაბალი იუმორის, შეურაცხყოფის, აგრესიული დუმილის, გულწრფელი თანადგომების თუ ნეიტრალური შეკითხვების მოსმენით (ამ პუნქტში, „ტრფობა წამებულთა” აგრძელებს საკუთარ თავზე მუშაობას). მაგრამ ამ გამოცდილებას (რომელიც, ცხადია, გათვალისწინებული მქონდა, მაგრამ არა – გათვლილი) არაფერი აქვს საერთო ამ ტექსტის პოეზიასთან.

მე ჩაფიქრებული მაქვს ოდესმე საუბარი „ტრფობა წამებულთას” გრაფიკულად დაფიქსირებულ შეფასებებზე (ჯერჯერობით რამდენიმე ასეთი შეფასება არსებობს: თამაზ წივწივაძის, ნაირა გელაშვილის, ბადრი შარვაძის და გაგა ლომიძის, თითოეულმა მათგანმა თავისი სულიერი და ინტელექტუალური გამოცდილების საზღვრებში გულახდილად დააფიქსირა თავისი პოზიცია) და იმაზე, თუ რატომ რჩება ეს ყველაფერი შეფასების საზღვრებში და არ გადაიზრდება ანალიზის მცდელობაში (თუმცა, ვიმედოვნებ, დროთა გან-

მავლობაში ასეთი ანალიტიკური ხასიათის ტექსტებიც შეიძლება გაჩნდეს).

შენი შეკითხვის მიმართ მადლიერება უნდა გამოვხატო დღემდე მხოლოდ ჩემს ფიქრებში შენახული ერთი სურვილის გაზიარებით: არ ვიცი, განსოვს თუ არა ჩემი ლექსი „ქება ცაცხვისა“ კრებულიდან „მხურავი“, რომელიც მონასტერში ცხოვრების დროს დავწერე. ყოველთვის, როცა „ტროფობა წამებულთასთან“ დაკავშირებით შეკითხვების (თუნდაც შიშველი აგრესიის ან პირდაპირი შეურაცხყოფის) მოსმენა მიხდება, პასუხად „ქება ცაცხვისა“ ჩნდება; მაგრამ იქვე ჩნდება სკეპსისი, ანუ – დიად რომ ითქვას – ჩემი მხრიდან წამოსული უნდობლობა, რაც ჩემი დიდი ნაკლია, მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობების ველზე ჩემი მოძრაობის გამომხატველიც არის.

ვგრძნობ, რომ შენი (იმ კაცის, რომლის სახელოვნებო და ცხოვრებისეული გულწრფელობა – როგორც ეს ჩემს ხედვაში არსებობს – შესაძლოა ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცდილება იყოს ჩემს აქტიურ ბიოგრაფიაში) შეკითხვები უპასუხოდ დავტოვე.

ეროსი მანჯგალადის ან იპოლიტე ხვიჩიას ნაცვლად მე ვერ გაგცემ პასუხს, მაგრამ შენ ხომ შეგიძლია შენი პოზიციის გამოხატვა და იმ საკითხებზე შენი აზრის დაფიქსირება, რომლებიც წამოჭერი (არა აუცილებლად, და არა მაინცდამაინც ახლავე). შენი აზრის მოსმენა კი მეტ იმპულსს მომცემდა სასაუბროდ. როცა „ბედნიერი ერის“ და „ჯვაცოს ხიზნების“ სათქმელის გაგების მოთხოვნილებამ დაძაბულობის ზღვარს მიაღწია, დავწერე „ტროფობა წამებულთა“. მე არ მეგულებოდა შენი თეატრის პერფორმანსებზე (თუნდაც, უშუალოდ შენთვის) შეკითხვების დასმის უკეთესი საშუალება, ვიდრე – წერილობით ჩემი აზრის გამოხატვა. იგივეს ვიტყვოდი „პოლილოგის“ ან ჩემი პოეტური კრებულების შენეულ ანალიზზე.

დათო, 26.06.2003, მიუნსტერი

**[27.06.2003]**

არცთუ ისე ცხადია იმ ნაწარმოებებთან კავშირი, რომლებსაც შენ ასახელებ. ან რატომ უნდა შემოგიტიონ ფანატიკოსმა რელიგიურმა ფუნდამენტალისტებმა “ჯაყოს ხიზნების” შენი კონკრეტული სიყვარულის გამო, ესეც გაუგებარია.

მოკლედ, მე ყველა შეფასებას არ ვავცნობივარ, რაც ამ ტექსტს შეეხება, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ყველა რეცენზენტი თუ ოპონენტი რაღაცას ბოლომდე ან არ ან ვერ ამბობს, - ვერც ისინი და ვერც შენ. კერძოდ იმას, რომ ტექსტს აშკარა მინიშნება აქვს სწორედ რელიგიაზე, ამას მისი დაბოლოებაც გვამცნობს.

შეიძლება შენი ბრალმდებლები შეგნებულადაც მოერიდნენ ამ თემის თუნდაც უნებლიე წამოწევას ისევ შენი უსაფრთხოებიდან გამომდინარე (ყოველ შემთხვევაში, მე შეგეძლო ასეთად გეგულე დიდი ხნით ადრე). ეს ართულებს ტექსტზე რამენაირად სრულფასოვან მსჯელობას და მის ანალიზს. ჩემი აზრით, ეს თემა ძალიან საინტერესო უნდა იყოს სწორედ მისი ტექნიკური მხარით, და არა რამენაირი მორალურით, მხოლოდ ერთი კია, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მის პოეტურობაში დავრწმუნდებით, და უარვყოფთ მისი მშრალი შემთხვევით სარისკოდ ქცეული ეპატაჟურობის ეჭვებს. როგორც ამ თემამ ასევე რამდენჯერმე გაიელვა, ჩემთვის გაუგებარია, რა ნიშნებით შეიძლება იყოს ეს ტექსტი პორნოგრაფიული, ან ეროტიკული, როდესაც იგი აშკარად თვით-დესტრუქციულია, შემამინებელ შეტევას აწარმოებს გარკვეულ აუდიტორიათა მენტალიტეტზე (შეიძლება თვით ავტორზეც), მისი კულმინაცია უფრო მკრეხელობის შემცველია, ვიდრე სანახაობრივი ორგაზმის (თუ ორგაზმების).

ამიტომ საინტერესო იქნებოდა ჩემთვის შენივე იმ სტატიების გაცნობა, რომელთა კონსპექტირებაზე უარს ამბობ, რათა ჩემთ-

ვისაც წასაკითხად ცხადი გახდეს შენი ლაბორატორია ან შენივე რეფლექსიები ამ შემთხვევისთვის. მე მაინც შევეცდები მოვიხელთო ეს მანამდე, მხოლოდღა ამ მონოტონურ ტექსტზე დაყრდნობით. მე ვფიქრობ, რომ ეს მომენტი საკვანძო იქნება ჩვენს დისკუსიაში ამ ბოლო დროისთვის, რადგანაც თემები, რაც ავტომატურად გამომდინარეობს გარკვეული ქმედებებიდან (თუნდაც ძალდატანებითი ქმედებებიდან), მართლაც საკვანძო უნდა იყოს თვით ქართული ლიტერატურის პოეტიკისთვის სადღეისოდ. და ეს არაა “ტრფობა წამებულთა”-ს დამსახურება, არამედ შენი ლიტერატურული მარცხისა (ცოტა სხვა კონტექსტში, ვიდრე რასაც ნაირა გელაშვილი გულისხმობს) ამ ნაწარმოების შექმნით.

პირველ რიგში რასაც მინდა შევეხო, და როგორც აღვნიშნე, ტექნიკური საკითხია, საკმაოდ ფუნდამენტური - ანუ, ეს შეეხება ლექსიკას. ლექსიკის შრეს, უწინარესს ჩვენი დაკვირვებისთვის.

**[29.06.2000]**

*ქვემოთ ვაგრძელებ რა ჩემს დაკვირვებებს, მირჩევნია ეს ცალკე რეცენზიის ფორმით წარმოვიდგინო, რაც შეიძლება ასევე ცალკე დაიბეჭდოს.*

ასე რომ, აქ მაინცდამაინც არ ჩანს ენის არქაულობის პოეტიკური ფუნქცია, თუმცა მხოლოდღა მისი სიჭარბე სახეზეა. და ეს სიჭარბე არქაულობისა ასევე სრულიად მოკლებულია რაიმე სამხატვრო დატვირთულობას. ასე ხომ ნებისმიერი ძველი ტექსტიც გამოიყურება. თითქოს საქმე გვაქვს ერთგვარ პლაგიატთან, არა რომელიმე ნამუშევრის, არამედ ზოგადად სიძველის არქეტიპის, რადგან ენისთვის ნასესხები ტექსტები

ერთ რომელიმე პერიოდს არ განეკუთვნებიან. ამას ალბათ კარსაც ვერ ვუწოდებთ, ვერც რეტროს, ვერც რემინისცენციას - არამედ სწორედ არქეტიპულ პლაგიატს.

ისე, სიჭარბე სწორედაც რომ პირველი ნიშანია ამა თუ იმ ენის პორნოგრაფიულობის, სადაც ყველაფერი დასრულებამდეა მიყვანილი და არანაირ სედუქციას აღარ ტოვებს. ერთდარეთი ნიშანი, რომელიც ქმნის პოლიტიკურ (და არა მხატვრულ) დაძაბულობას, არის ინტერკურსის აღმნიშვნელები ქართული ლექსიკონიდან – არა თანამედროვე რომელიმე, არამედ სულხან-საბა ორბელიანის.

ასე რომ, დასაწყისისთვის შევაჯამოთ, რა მიზნები შეიძლება ამოდრავებდეს ტექსტს: ლექსიკონის ლიბერალიზაციის თუ ლიბერალიზმის (ნებისმიერის) ლექსიკონიზაცია, ანუ ის, რომ ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ლიტერატურაში ნებისმიერი სიტყვებით, თუ ის, რომ ნებისმიერობას გააჩნია თავისი არა ერთგვაროვანი, არამედ სწორედ რომ ყოველთვის სხვადასხვაგვარი შედეგები (სასურველი თუ არასასურველი). გავიმეორებ, რომ ტექსტის სტრუქტურის მონოტონურობა და სწორხაზოვნება ხელს უწყობს გაგებას, როგორც რაღაცის მტკიცებისა და არა ჩვენების (ანუ პოლიტიკურს და არა სამხატვროს). მაგრამ მაინც ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ.

შეიძლება ტექსტს ამოდრავებს მიზანი, ასევე ფრიად პოლიტიკური, მაგრამ ოდნავ ჰუმანური შეფერილობის - არქეტიპული ტრადიციების სიმძიმისგან სულ ცოტა ადამიანური შეუბოჭველობის გამონთავისუფლებისა, და ის შეიძლება რელიგიური (ცრურწმენებისგან, ცრუ ანათემებისგან და ფარული შიშებისგან გამონთავისუფლებაც იყოს (რაც სულაც არ გამორიცხავს, რომ ავტორიც იბრუნებს ამით საკუთარ ანექსირებულ ტერიტორიებს). ანუ, თუ ჰუმანური და პოლიტიკური ფაქტორებია მთავარი, სახეზე გვექნება ერთგვარი ფსიქოთერაპია. მართლაც, თითქოსდა ძველ დროს ჩვენნაირი ადამიანები არ ცხოვრობდნენ, და მათ არაფერი ესაქმებოდათ სექსთან. და თუ მაინც ესაქმებოდათ, ალბათ დღევანდელი ქართულით არ

ლაპარაკობდნენ მასზე, არამედ სწორედ რომ აგიოგრაფიულით. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს აგიოგრაფიული ქართულით სექსზე მეტყველება მრავალში აღძრავს ამოუხსნელ შიშს. და ეს იმიტომ, რომ აგიოგრაფიული ენა დაკავშირებულია უშუალოდ რელიგიურ ტექსტებთან, და აი ასე, სექსი და რელიგია, ეს ორი მუდმივი ოპონენტი, შემაწუხებელ გვერდი-გვერდობაში ექცევა.

ერთადარეთი მხატვრული ხერხი, რაც ამ ტექსტში გვხვდება, არის ფინალურ ნაწილში მონაწილეთა უფალთან მიმართების (წარგზავნის) სცენა და, აი, რატომ:

სწორედ ქრისტეს, ან კონკრეტული რელიგიური სახელის, გამოჩენა იწვევს მთელი ნაწარმოების სავარაუდო ინტენციის მონოტონური დინების უეცარ (თითქმის ფანტასმაგორიულ) დადასტურება-გაძლიერებას. თუ მეტაფორა ორი საპირისპირო სახეობრივი ერთეულის შეერთებით შეიძლება შეიქმნას, ეს ორი ერთეული აქ სწორედ ნაწარმოების რიტმშია: რამოდენიმე გვერდიანი სხეულის და ერთაბზაციან ფინალის ველში. ანუ მთელი ეს ტექსტი ერთი მეტაფორაა, რის შედეგადაც წმინდა პოლიტიკური მტკიცებების ტექსტი წმინდა მხატვრულ ტექსტად გარდაისახება.

მოკლედ, ნაწარმოები, მიუხედავად სამხატვრო სტრუქტურა-ლისტური ბუნებისა, წამოწევს თემებსაც: ლიბერალიზაციის (პოლიტიკურს), თერაპიის (ჰუმანურს) და ძალადობის (მორალურს). ამ უკანასკნელს არ შევხებივართ, და ეს თემა მიუთითებს შიშზე დაფუძნებული სიძველეების თაყვანისცემის დიქტატორულ ტოტალიტარიზაციებზე ნებისმიერ საზოგადოებაში (არა მხოლოდ ქართულში, არამედ ამერიკულშიც, გნებავთ). ჩემთვის გაუგებარია ავტორისეული საკულისო განმარტებამითითებები “ჯაყოს ხიზნებზე” და სხვ. ეს უბრალოდ შეგნებული კაპიტულაციაა ავტორისა ტექსტთან, რაც სულაც არ არის უჩვეულო ასეთი ტიპის ნაწარმოების შემთხვევისათვის. აქ არ ჩანს, რომ ავტორი სექსის ბუნებას ფუნდამენტალისტურად უპირისპირდებოდეს, ან დასცინოდეს მას ქრისტეს სახელის შემოტანით ბოლოს. პირიქით, აქ აშკარად იკვეთება კრიტიკა



ერთის მხრივ ტაბუსი და მეორეს მხრივ ამ ტაბუს მასობრივი, მაგრამ გაუაზრებელი დემოკრატიული მოხსნა-გატაცებებისა. არსებობს პოლიტიკური (აქტივისტური) ხელოვნება, რომელიც არცთუ ძლიერია ან საერთოდ პაციფისტურობამდე უმწეოა თავის საბრძოლო სურვილთა მიუხედავად. ეს ხელოვნება ხშირად მხოლოდ თემების კოლექციონერობით ირთობს თავს. მაგრამ პოლიტიკურის სამხატვროდ გარდასახვა მხოლოდ სტრუქტურალისტურ ხელოვნებაშია შესაძლებელი, რასაც სტრუქტურალიზმის ტრადიცია ყოველთვის შესანიშნავად ასაბუთებს.

ასეთი პრაქტიკის საპირისპიროდ ჩანს ჩემს მიერ ე. წ. უზნეო სიტყვების მინიმალური და სელექციური გამოყენება ლექსებსა და პროზაში, რაც ასევე თავისებური კრიტიკა იყო მასობრივი უხეში ლიბერალიზაციებისა და მათს მხოლოდ პოეტურ კონტექსტში წარმოჩენის მნიშვნელოვნებას უსვამდა ხაზს, სწორედ როგორც ნებისმიერი თავისუფლების ზომიერებისა და შეგრძნების აუცილებლობით. შეიძლება გამოჩნდეს სხვაც, ვინც გვერდს აუვლის ბარბაქადის სტრუქტურალიზმს, ჩემულ ჰაიკუს (განწყობილების გაგებით), და შემოიტანს უხამსი სიტყვების აგრესიულ ნოტებში გამოხატვის ზედახორას, ოღონდ საეჭვოა, რომ მას ამის შედეგად სადმე რაიმე საშიშროება შეექმნას, გარდა პოპულარობისა. არა სიტყვებია უზნეო, არამედ მათი გამოყენების ინტენციები.

ეს ტექსტი საყურადღებოა პოეტის შემოქმედებისთვის ერთი კუთხითაც: აქ ჩანს, რომ დ. ბარბაქაძე არის სწორედ სტრუქტურალიზმის ტრადიციის პოეტი, მიუხედავად მისი სიმპათიისა კლასიკურ გერმანულ თუ რილკესეულ პოეზიასთან, რასაც ის, ჩემი აზრით, არც თუ ძთლად ადექვატურად გამოხატავს ტერმინით “ფილოსოფიური პოეზია”.

ნაწარმოები, რომლის კვლევაც არ მთავრდება ობიექტში, არც მითუმეტეს სუბიექტში და არც მათ შორის არსებულ ამბივალენტურ ველებზე, რომელიც ყოველთვის მარცხდება და სინარულით იკვლევს არა მარცხს, არამედ შესაძლებელი გამარ-

ჯვების შეუძლებლობას – არ შეიძლება გაგებულ იქნას პუბლიცისტური აღწერის იარაღებით. სულ ეს არის მისი სირთულე პოეზიის (ფაქტიურად ნებისმიერი აუთენტურის) საზღვრებს მიღმა.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას აუცილებლად დასჭირდება ასეთი იარაღების გამოგონება.

უკიდურესად არ დავეთანხმები იმ აზრს, რომ ვინმე, ვინც ამ ნაწარმოებს ასე თუ ისე ნაკლულობის შეფასებით გამოეხმაურა, ამას შეგნებულად წარმოადგენდა. პირიქით, ეს ისევ დასტურია მათი შემფოთების საკუთარი (და საზოგადოებრივი) კრიტიკის, თუნდაც ამ ერთი მიმართულებით, უძღურების გამო.

რას იტყოდნენ მსოფლიოში მართლა განუმეორებელი (ჩემი რწმენით) შესანიშნავი ქართველი მსახიობები, იპოლიტე ზვიჩია და ეროსი მანჯგალაძე “ტროფობა წამებულთას” შესახებ? ჩემი აზრით, უკვე ასეთი შეკითხვა არის დ. ბარბაქაძის პოეზიის სიღრმეში ამოსაცნობი საგანიც და მისი პოტენციური აღექვატური შეფასების კონტექსტური ამპლიტუდაც. “უჰ, რა გაუძლებს ესლა ამის მოსმენას!”.

“ღიან, აი ასე”.

დ. ჩიხლაძე

29 ივნისი, 2003 ნიუ იორკი

**[06.07.2003]**

თანამედროვე ადამიანის შიშის თემა, რომელსაც შენ დროულად აღძრავ, შესაძლოა, უფრო აქტიურად გვაბრუნებდეს ჩვენი წინაპრების სექსუალურ ცხოვრებასთან, ვიდრე – კულტურული კოდების მარაგი, რომელიც გარედან სტრუქტურულ წაკითხვას და მოდელირებას მოითხოვს, ანუ წაკითხვის ყოველი მცდელობა დამატებითობის ცნობილი პრინციპის მსხვერპლი

ხდება (არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რა ხარისხით იქნება მოცემული თანაფარდობა ტექნიკურ და ფსიქოლოგიურ-კოგნიტიურ მაჩვენებლებს შორის).

ძველ ქართულ ტექსტებში, მათი მოჩვენებითი სიშორის მიუხედავად, თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი მასალა, რომელზე დაკვირვებაც თანამედროვე (არა მხოლოდ ოქტომპრის რევოლუციის შემდგომ კონფიგურირებული) ცნობიერების უხეშ სტრუქტურებში ისეთ მოწყვლად ადგილებს გვიჩვენებს, რომლებიც ვეჭვობ გაუცნობიერებელი შედეგების სამხილი იყოს. არა მხოლოდ თარგმნილი ან ორიგინალური საერო ტექსტები, არამედ ჰაგიოგრაფიული ტექსტებიც დახუნძლულია სექსუალური ურთიერთობების თემატიზაციით, რასაც წინ უსწრებს ინტერპრეტაცია, გარკვეულ იდეოლოგიურ სამსჯავროზე ე. წ. მკრეხელობის განთავსება დანაშაულის წონის შესატყვისად, და ამ სამუშაოს დასრულების მერე ავტორის თვითგათავისუფლების, თითქოს მართლაც ბორკილების მსხვრევის რიტუალი (ამის კლასიკურ მაგალითად წარმომიდგენია იგივე გიორგი მერჩულეს მიერ „სიძვის დედაკაცთან” მეფის სასიყვარულო ურთიერთობის თემატიზება გრიგოლ ხანძთელის – როგორც ამ ურთიერთობის იდეოლოგიური და პრაქტიკული ცენზორის – ფუნქციის ფონზე; ამ თემის ვრცელი ლიტერატურული დამუშავება ეკუთვნის ვასილ ბარნოვს თავის რომანში „ტრფობა წამებული”, რომელიც ჩემი ტექსტის სათაურის ერთ-ერთი ღია ინტერტექსტია).

„ქართლის ცხოვრების” ტექსტებშიც უხვად არის წარმოდგენილი ასეთი ნიმუშები. რა მიზნითაც არ უნდა ხდებოდეს მათი ფიქსაცია, ყოველთვის რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა წყვილი ან უკვე მიაცილა იმ ზღურბლამდე, რომელსაც ის ვედარ გადააბიჯებს (და ისლა დარჩენია, კარი თვითონვე გამოხუროს და წყვილს განმარტოების შესაძლებლობა მისცეს) ან კარი უკვე დაკეტილია და ავტორი მოუთმენლად ელის ვნების იდუმალი ოთახიდან წყვილის გამოსვლას. და რაკი ყველაზე საინტერესო ურჩხულების თავმოყრის ად-

გილი სწორედ დაკეტილ კარს გამოღმა მდგომი იმ ადამიანის ფანტაზია ხდება, რომელიც იდეოლოგიური შემფასებლის ნე-ბადართული და უმაღლესი სიკეთის სახელით გამართლებული ქმედების აღმსრულებელიც არის და მსხვერპლიც ერთდრო-ულად, ჟამთააღმწერლების სულ სხვა მიმართულებით წარ-მოებული რელიგიური ცენზურაც არ ტოვებს შეუქმნეველს მათსავე ფსიქოლოგიურ რხევებს. აღარაფერს ვამბობ საერო ლიტერატურაზე, განსაკუთრებით კი – აღმოსავლური სასი-ყვარულო რომანების თარგმანებზე, რომლებიც განკუთვნილი არ იყო ლიანგისთვის და მხოლოდ მომხმარებელთა შედარებით ვიწრო წრის ინტერესებს აკმაყოფილებდა.

„ვეფხისტყაოსანში“ დახასიათებული იდეალური მი-ჯნურის ტიპი კი, არც მეტი და არც ნაკლები, სრულფასოვანი სექსუალური მოღვინებისთვის საჭირო იდეალური ტიპის მოდელირებას ახდენს, ხოლო ამ სისტემაში მოცალეობას (რაც უსაქმურობას თუ არა, ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის არტახებიდან გამოთავისუფლებას ნამდვილად უნდა გულისხმობდეს) ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ეკისრება. ერთი სიტყვით, ეს ის სისტემაა, რომლის მიღმა ცხოვრებაც უხდებოდა მღუმარე უმრავლესობას.

თანამედროვე მღუმარე უმრავლესობისთვის ხელ-გაშლილი სექსის აკრძალული კარის გაღება პირწმინდად პოლიტიკური მოვლენა იყო, ამას ადამიანის სოციალური ენ-ერგია უნდა დაეხმუნებინა და დაეშალა; ადამიანის დრო, მის მებრძოლ ასაკში, უნდა გადანაწილებულიყო სახელმწიფოს-თვის სასარგებლო სამუშაოს შესრულებასა და სექსს შორის; ანუ რელიგიისმიერი ცენზურა შეიცვალა სექსისმიერი ცენზურ-ით, რამაც კიდევ ერთხელ დააცილა ადამიანი ეროტიკის სამყაროს, ეროტიკული ტკობის სფეროს, გაყინა იგი სექ-სუალური სიამოვნების ხანგრძლივ ფაზაში, ხოლო ადამიანი, რომელიც სექსუალური სიამოვნების ძიებასა და ფიზიკურ გადარჩენას შორის მოძრაობს, კაპიტალიზმისთვის საშიში არასდროს იქნება.

თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში მისი წინაპრების სექსუალური ცხოვრების მივიწყება, მასზე რეფლექსიის არ-ნდომა დაუფარავი სამხილია მის მიერ თავისი რთული მემკვიდრეობის გაცნობიერების, სადაც სექსი და ეკონომიკა არა იმდენად განსაზღვრავდნენ ყოველთვის ერთმანეთს, რამდენადაც განაპირობებდნენ. მეტიც, ასეთი მივიწყება ყოველთვის მოჩვენებითია, რაც იმ ფროიდამდე ბევრად ადრე იცოდნენ მოაზროვნე თავებმა, რომლის მოძღვრებაც საუკეთესო იდეოლოგიურ იარაღად და პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ იქცა – კაპიტალიზმის ხელში – ნებისმიერი გზასაცდენილი ადამიანის გასანორმალურებლად და დაზვასთან თუ ბიუროებში მის დასაბრუნებლად, და იმ მარკუზეზე ბევრად პატიოსნებიც იყვნენ, რომელიც საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობას კარგად უთავსებდა სტუდენტური მოძრაობის იდეოლოგიას.

როცა ლიტერატურულ ტექსტში მტკიცებისა და ჩვენების პოლარიზმის საკითხი დგება, მე ყოველთვის იმ აზრს ვიცავ, რომ ტექსტში მათი გამიჯვნა (ისევე, როგორც ავტორის ცნობიერებაში) შეუძლებელია და სტრუქტურულ ან პოსტ-სტრუქტურულ კრიტიკას მხოლოდ ამ ორ სტრატეგიას შორის წინააღმდეგობის მაჩვენებელი კოდების მოხელთება და კომენტირება შეუძლია, შესაბამისად, იმ მექანიზმის მოდელირება, რომელიც მხატვრულ ტექსტს მხატვრულობას უნარჩუნებს. პოლიტიკური მიზნები ტექსტის მხატვრულ კონსტიტუციას არასდროს აზიანებს, ის საერთოდაც გადის ავტორის კომპეტენციის სფეროდან მას მერე, როცა ტექსტი უკვე შექმნილია, მითუმეტეს – გამოქვეყნებული.

„ტრფობა წამებულთა“ მსხვერპლთა სამყაროს აღწერის დაუფარავი მცდელობაა და ეს მას მხატვრულ-პოლიტიკურიდან მხატვრულ-ფილოსოფიურ განზომილებაში გადაანაცვლებს. აღწერა ისეთი ცხოვრებისა, როცა არა მხოლოდ ურთიერთობა აღარ არის სიყვარული (და არც ამ ურთიერთობის დასრულების მერე დარჩება სიყვარულის ისტორია) და სხეულთა მიერ ერთმანეთისკენ ლტოლვა და შეჯახება აღარ წარმოქმნის

ეროტიკულ მთელს, არამედ როცა ასეთი ცხოვრება გაცნობიერებული და ცნობიერების მიერვე ლეგიტიმირებულია, პოლიტიკურ კრიტიკას უუნაროს ხდის. მეორეს მხრივ, მიაბიჭურად გამოიყურება ამ დროს ერთდროულად აღწერის სურვილი და ამ აღწერილობაშივე მიზეზების ავტორისეული ხედვის ჩაწერის ვნება. ეს უკვე ისეთი სერიოზულობა იქნებოდა, რომელიც თავის თავში იკეტება და ვერ ხედავს თავისი მდგომარეობის კომიზმს (ერთადერთი მხატვრული ფორმა, რომელიც ამ წინააღმდეგობის მოხსნას უდანაკარგოდ ახერხებს, ჩემი ღრმა რწმენით, არის რომანი). აი, რატომ მივანიჭე განსაკუთრებული მნიშვნელობა „ტრფობა წამებულთას“, როგორც ესთეტიკურ მთელს, მისი ფორმის მართლაც რომ ფილიგრანულ დახვეწას (იმ ზომამდეც კი, რომ ტექსტის კომპოზიციის აგებაში თავისი შეუცვლელი ფუნქცია მიენიჭა, მაგალითად, თითოეული პერსონაჟის სექსუალური აქტის სატექსტო რაოდენობას და პერსონაჟების სექსუალური აქტების რაოდენობებს შორის პროპორციას; და როცა ამ ერთი შეხედვით მანიაკური თამაშით ვიყავი დაკავებული, სწორედ მაშინ ვგრძნობდი საუკეთესოდ, რომ ტექსტში აღწერილი ტოტალური სიტუაციის ნებისმიერი შესაძლო მიზეზის ჩემეული ხედვის ჩამონტაჟებაზე უფრო მეტის მთქმელი იქნებოდა სწორედ მიზეზების დასახელებაზე უარის თქმა (მეორეს მხრივ, აქ მიზეზები და შედეგები ერთმანეთში საგანგებოდ კი არ არის არეული, არამედ დეკლარირებულია მიზეზების გულწრფელი არცოდნა; ანუ, რაც არ ვიცოდი, როგორ დამესახელებინა, დასახელებაც რომ მომენდომებინა).

არც ტექსტის ტექსტშივე ახსნა-განმარტება იყო ჩემი მიზანი. მითუმეტეს, არ დამისახავს მიზნად ამ ტექსტით ავადმყოფობის სამკურნალო პრეპარატის შეთავაზება საზოგადოებისთვის. ყველა მხატვრული ამოცანა, რომელსაც ამ ტექსტზე მუშაობისას ვწყვეტდი, მიმართული იყო შეკითხვების პრობლემატიზებისკენ და არა მოხსნისკენ, შესაბამისად კი – მთელი ტექსტის, როგორც ერთი შეკითხვის ჩამოყალიბებისკენ (ან –

ერთი მეტაფორის, როგორც შენ წერ). მე გაცნობიერებული მქონდა პოლიტიკურსა და მხატვრულს შორის წინააღმდეგობის არა გარდუვალობა ამ ტექსტში, არამედ – მისი მაკონსტრუირებელი ფუნქცია (ნებისმიერი ტექსტი ავტორის დაუძთავრებელი, წერტილდაუსმელი შინაგანი წინააღმდეგობების მოძრაობაში ერთი გარკვეული მონაკვეთის კრისტალიზებას ახდენს; სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ცნობიერების გადანაცვლება ახალი ტექსტის შესაქმნელად; ხშირად ხომ წერტილი ყველაზე უფრო შეუსაბამო მომენტში ისმის არა მხოლოდ ცხოვრებაში, არამედ – ტექსტშიც, და ასეთი წერტილი მისი პირობითობის ხაზგამსმელი უფროა, ვიდრე – დასრულების აღმნიშვნელი).

მსხვერპლთა ჰაგიოგრაფია წმინდანთა ჰაგიოგრაფიის ნაცვლად; ერთ ტექსტში მრავალი მსხვერპლის ცხოვრების ჟამთააღმწერლობა ერთ ტექსტში ერთი ან რამდენიმე წმინდანის ცხოვრების აღწერის ნაცვლად; ჰაგიოგრაფიული ამოცანის გადაწყვეტა სარაინდო რომანების ძველი ქართული თარგმანებისთვის დამახასიათებელი ტენილი ენით... ეს და ბევრი სხვა ტექნიკური ხერხი, საბოლოო ჯამში, მაინც კრიტიკის გამძაფრებას ემსახურება, მაგრამ მე იმას ვაზუსტებ, თუ რატომ არის ეს ტექსტი არა პოლიტიკური, არამედ ექსისტენციალური კრიტიკა (არც შენ ამბობ, პოლიტიკური კრიტიკააო; შენი განაზრებები ამ მიმართულებას თითქოსდა განზრახ, პარაბოლურადაც კი, გვერდს უქცევს და პოლიტიკურის სამხატვროდ გარდასახვის ნიუანსებზე აპელირებს; რაკი რეცენზია ჩემს ტექსტზეა, მოვერიდები იმ ტკობაზე საუბარს, რომელიც რეცენზიის ამ მონაკვეთმა განმაცდევინა), რაც, რა თქმა უნდა, მტკივნეულ რელიგიურ საკითხებს უტრიალებს, თუნდაც – ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ყველა ქართველისთვის თანამდევ ტრადიციულ სიამაყეს მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრობაში საქართველოს გადაცემისა და ამ სიამაყის მიუხედავად (და იქნებ შედეგადაც) ადამიანთა სავსებით გასაგები პრაქტიკული ცნობისმოყვარეობისა, თუ სად გადის ღვთის-

მშობლის მოთმინების საზღვარი და რა უნდა ჩაიდინოს საქართველომ ისეთი, რომ ღვთისმშობელმა იგი მიატოვოს, ანუ: მართლა ყველაფერი ეპატიებათ ქართველებს? იქნებ, თავისდაგაუცნობიერებლად, საქართველო ასეთი თამამი ექსპერიმენტის ობიექტიც არის და ორგანიზატორიც?

ყოველ შემთხვევაში, ხედვის კუთხის არშეცვლა და მუდმივად ხაზგასმა იმისა, რომ საქართველო მარიამის წილხვედრი ქვეყანა და ღმერთი მას არასდროს მიატოვებს, „ტროფობა წამებულთა“-ში სატირული შეკითხვის სახით შემობრუნდა: როგორ მიატოვებს ღმერთი იმას, რაც უკვე მიატოვა? ანუ, ცნობილი სოფისტური პარადოქსი რომ გავისხენოთ: 1. რაც არ დაგიკარგავს, ის გაქვს; 2. რქები არ დაგიკარგავს; 3. მასასადამე, რქები გაქვს. ეს აგრესიული პრაქტიციზმი, რომლის პირველი სისტემური მხატვრული კრიტიკოსი (თუმცა, სხვა საბაზისო პასუხით) დავით გურამიშვილი იყო, იქნებ მართლაც გულუბრყვილოდ არის დარწმუნებული, რომ ღმერთი და ისტორია „სიტყვაზე დაიჭირა“ და ახლა „ბოლომდე უნდა მიაწვეს“? იქნებ, მართლაც სჯერა, რომ რაც არ დაუკარგავს, ის აქვს?

არა მგონია, ჩემს მიერ „ტროფობა წამებულთა“-ში ამ საკითხების დასმამ აღმსარებლობით ჩემი მართლმადიდებლობის საკითხი დააყენოს ეჭვქვეშ, როგორც ამის წარმოდგენა შარვაძემ მოინდომა. მან, მასზე დაწერილი ერთი ჩემი კრიტიკული წერილის გამო დაბოლმილმა, ჩემზე შურისძიება იმით მოინდომა, რომ ღვთისმშობლის გაუპატიურება დამაბრალა (ანუ, ენა-ობიექტი და მეტა-ენა მზაკვრულად შეურია ერთმანეთში), ეს ჩემი ქმედება კი დედაჩემის მიმართ ჩემი დაუკმაყოფილებელი ლტოლვით ახსნა. ეს ფაქტი იმით იყო ჩემთვის საინტერესო, რომ ველურ ფროიდიზმზე დამყარებულმა მისმა აქციამ არა მხოლოდ მისი ინტელექტუალიზმის პრიმიტიული საწყისები წამოწია წინ, არამედ ის პერსპექტივაც მიჩვენა თვალნათლივ, რომელიც საქართველოში ნებისმიერ კრიტიკას ემუქრება – ამ შემთხვევაში „ტროფობა წამებულთას“ კრიტიკულ მეტაფორას - ,



თუ ეს პიროვნული შურისძიებისთვის გახდა საჭირო. თუმცა, ეს სულ სხვა თემაა.

პუბლიცისტური აღწერების ენა, რომელსაც არც ესესე-სთან აქვს რამე საერთო და არც ლიტერატურულ კრიტიკასთან, ჩვენში ყოველთვის უფრო სიცოცხლისუნარიანი იყო, ვიდრე – ესესე და ლიტერატურული კრიტიკა, თუნდაც იმიტომ, რომ ის კარგად ერგება ნებადართული თამაშების წესებს (არ ვგულისხმობ მე-19 საუკუნის და მე-20-ის დასაწყისის ქართულ პუბლიცისტიკას, იგი სულ სხვა მოვლენა იყო). მისი აგრესია მაშინ ხდება სასტიკი, როცა ცდილობს ესესეს და კრიტიკას ჩაენაცვლოს და თავის თავზე აიღოს მათი ამოცანები. დღეს-დღეობით, ჩემი აზრით, ჩვენ ვხედავთ, ეს პუბლიცისტიკა თავის მემკვიდრედ როგორ აქცევს ლიტერატურაზე სარეკლამო ხასიათის სტატიებს; ანუ, კომერციული და სამანიპულაციო პოლიტიკა ნელ-ნელა იპყრობს იმ ტერიტორიას, რომელსაც თავისუფალი კრიტიკული აზროვნების მეტად მწირი ტრადიცია აქვს. ეს სიტუაცია უკვე სახეზეა. სამწუხაროდ, საქართველოში ბოლოდროინდელი ლიტერატურული მოვლენების შესახებ ნაკლები ინფორმაცია მაქვს, მაგრამ არა მგონია, სალიტერატურო კრიტიკის ათწლეულობით დაკარგული დრო სადმე ორ წელიწადში ავაზას ნახტომებით განვითარებულიყოს. საერთო ტენდენცია იმდენად უნუგეშოა, რომ მცირე-მცირე სასიხარულო სიახლეები ჰერაკლეს გმირობებს უტოლდება. რაკი ამ საკითხს ბევრი წახნაგი აქვს, მათზე, ალბათ, უახლოეს დროში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

P. S. მე ვეცდები, პირველივე შესაძლებლობისთანავე მოგაწოდო ორივე ესესე: “სიტყვის შეუძლებლობა” და “ანტი-შტაინი”.

დათო, 6.07.2003, მიუნსტერი

**[09.07.2003]**

LMOSTALMOSTALMOS

დათო, ეს ინგლისური ლექსი არის ჩემი ერთადერთი პასუხი ამჯერად შენს ბოლო წერილზე, სადაც განსაკუთრებით მომეწონა გამაოგნებლად ზუსტი კონსტატაცია წერტილის ყოველთვის მოულოდნელი დასმის (ხდომილების) შესახებ, მხატვრულ თუ საყოფაცხოვრებო ტექსტში.

თუ ეს წერილი ძალზე მოკლე მოგეჩვენოს, შეგიძლია რაც გინდა ის გააკეთო. ისე, შენ მწერდი ასევე გენიალურ სასათაურო ფრაზას, რომ მანანა ბოსტოლანაშვილი კმაყოფილია პარიზით. ამ შემთხვევაში წერტილი სად შეიძლება რომ გამოჩნდეს, კმაყოფილებასთან თუ უბრალოდ სახელ მანანასთან?

თუ ეს წერილი მაინც მოკლე მოგეჩვენოს, მაშინ მაცალე. მაქვს ერთი ტექსტი, რომელსაც მალე ავაწყო.

დათო

9 ივლისი, 2003 ნიუ იორკი

**[11.07.2003]**

შენთვის იმ ტექსტის გაცნობის სურვილი, რომელსაც ამჯერად გიგზავნი, აღმიძრა ამასწინათ შენს მიერ ჩვენს საუბარში არქეტეიპული პლაგიატის ცნების შემოტანამ. ამ საკითხებზე, სხვა კონტექსტში და სხვა მიმართულებით, მეც მიფიქრია და სამომავლოდ გაგიზიარებ ჩემს დაკვირვებებს. დამატებითი იმპულსი მომცა ამ წრიულმა ლექსმაც, სახელწოდებით და შინაარსით LMOSTALMOSTALMOS. თუ ან

როცა სურვილი გექნეს, გამიზიარე შენი აზრი ბესიკ ადე-  
იშვილის აქ წარმოდგენილ ტექსტზე, რომელიც ჯერჯერობით  
არსად გამოქვეყნებულა და ისიც კი ვიფიქრე, რომ მე მას შე-  
მოვთავაზებდი კრიტიკული ჟურნალისთვის, რომლის იდეასაც  
ამწიფებ. რა თქმა უნდა, ეს არ არის არქეტიპული პლაგიატის  
პრინციპით შექმნილი ტექსტი (ჩემი აზრით). შეიძლება არქე-  
ტიპული თარგმანის ცნებით უკეთ დახასიათდეს, თუმცა მე  
ამ განსაზღვრებისგანაც თავს შევიკავებ. ნებისმიერ შემთხვევაში,  
ეს არის თარგმანი, ამ ცნების არა თანადროული და არა ვიწ-  
რო დარგობრივი გაგებით. თუ მეხსიერება არ მღალატობს,  
ჩემს „არსებით სვლებთან“ ერთად, ზურა ჭიაბერაშვილის ხე-  
ლით, ჩემს მიერ გამოცემული ბესიკ ადეიშვილის „ბოლო  
ლირიკაც“ გამოგიგზავნე. გამორიცხული არაა, რომ ვცდებოდე.  
ამასობაში კი, იმედია, იმ ტექსტსაც გამაცნობ, რომლის  
არსებობას მაუწყებ. ცხადია, ამას შენი წერილის გრაფიკული  
რაოდენობის სიმცირის პასუხად არ ვამბობ.

მომდევნო კვირაში გაძლიერებული ფიზიკური დატ-  
ვირთვა მომიწევს შინ გასაგზავნი ფულის შესაგროვებლად,  
ამიტომ შეიძლება ერთი კვირის შუალედში ერთი სტრიქონიც  
ვერ მოგწერო.

დათო, 11.07.2003, მიუნსტერი

**დათო ბარბაქაძე.** არსებითი სვლები. ლექსი. 1999-  
2000. – აქვე: სლვანი არსებითნი. – წელიწადის ორიათასე-  
რთის მარტის დასასრულ თხზული პოეტიკური ინვარიანტი,-  
„მსოფლიო-ქართული მოტივი“-ს მცნე სალექსო შემა-  
ძარღუის გაცალკევება: ჰელმუტ ჰაისსენბაუტტელ: არქე-  
უაფთჰედ ალფრედ ნორთ(1864-1947): ვით ხედუა  
ან უფრო ერთქმნა ფრიად ორთა: ორთა-ურთიერთ-  
მომთაურება ანუ არეთა ნდომა სა-ერთ-ოდ: ნდომა

დროთა: მომწყულელ მომწუდინ წყუეტილნი  
სულისანი, - მომიმწყუდეუდინცა, - მიერ  
მათთა ყოფნანი ჩემნი მიეწყობოდინ: რაც  
არს უჩინარ, იქმნეს ამიერ ცხოულად-  
ცა-ცხადი: აწმყოურ-დენილ ხატნი  
უცხადესნი, - მიწყიუ გდეუდინ, -  
არ მიგუიწყებოდინ.

ბ ე ს ი კ ა დ ე ი შ ვ ი ლ ი

**2. მოთამაშე ეგუიპტელი ქალი.** მანუს მინდურებს განეწოდის თუალი შენი: ჩამოშლილნი კედლის მტუერნიც აფერადებულ ადამიანებს დაეხუიუნიან: ნამზლულეუი იმა ღიმილისა ვითარ ქარის ხმა მრალის ჩუენისა საქმის შიგან მიდმოდის. **3. მიძინება.** ცეკუის სა-ცეხუ-ლ-ის წიად ალებრ-გულუებულ-ფორმას მინდორნიცა განეცემიან: ამ მიმართუათა, შენიშნუა-შეხედულებათა შესაკრები, რაიც დასავლეთის ცხოელს მწყემს-ად წარმო-ჰ-ულენ-ს, რომელს მიწის მუშანი მიიწუეუენ, განაგარებენ მაშურაღნიცა შინა-გან-ობ-ა-ს: მარტიუადცა აღაგებენ ლაბირინთს მისარგოდ მათთა, რომელთაც ხელნაქმარი ლაბირინთისა უადრეს შიგნიდან-გარე თუისით სხუა ლაბირინთი გარდაუბლანდაუთ. **4. ღიმილისეული ფორმის ზოგიერთის განმარტუა.** მიიმართუი ხმისად, რომელიც ვერ „გცნობილობს“: ხმა იგი ყოელს შრიალს ტაღლისა თუითეულის ჰ-ფურცლ-ა-ვ-ს, ჰ-კითხულ-ო-ბ-ს,- შიგნიდან-გარე-სთხუზს შეცდომა-შეცოდება-თა ძუელთ გასწორებას, რასაც ხელახლიუ შეცდომანი-შეცოდებანი დაერთუიან: მარცხნიდან მარჯუნიუ-მარჯუნიდან-მარცხნიუ-ირგულიუ ბრუნვილ-წარიტანს ყოელს ერთადერთი ა-ლაგისაკენ, საცა არს – ზენა: საცა უხილაუი მწერალი მიიციულება: „სადაღას“-ჰაერთშორიახლო,-წიად შეუძლებლის ეთერის, წიად აღუტყუეულის მისსა: დანაკარგთ-შორისცა-მღუმარ ეძიებდინ კაცნი მგზებარენი ბაგემღუმრიად

მზრუნველ,-ზრუნუაცა,- ყმაწუილი გ-ან-ურკუეულ-ობ-ა-თა  
თუისთა სარკმელს ლოყა-ალ-ყრდნ-ობ-ი-ლ-ი: გაერთმთლია-  
ნებულს ჩუენს ღიმილს უმაღ ჰ-მონებს,- ემინება ფენი დაცემის,-  
აღანდაუს ზრდასრულთა ადამიანთა უფრთო ღინებასცა რაიც:  
სხუათა ცრემლშიგან განბნეულ ქარშემდვარ ფრთოსანთა დარად  
მათი ისტორიაც ჰ-მთ-ებ-ო-და: ჩუენთა სიტყუა-შეწყობათა  
თუ ფიქრთა შიგან შიშთა ყოელთა გარდამრე ვ-ჰ-გი-ებ-თ  
აიმ ფორმათა მძებნელ, გუიუფლეს რომელთ, რაცა ხანია:  
წარმოსახუის ჩუენის წიაღ მოტანებულ უდაბნოურ მეწამულ-  
თა ქართა დნობა,- სად დანდობილად სძუეს ნაპირი ბრიტანეთის:  
მზრუნველისა ერთისა ირუგულიუ,- გამონათქუამთა გულის-  
გულის მძებნელის მისსა მგარებ ჰკრებოდენ ჩუენნი დანაკარგნი:  
ირგულიუ ერთისა, ლიბრთაგანფენილი ვისი თუალი „დაურ-  
ჩენელი” გარდააწუდინა ძნიდან ძნასა, ჰ-ლევ-უ-ი-და კალოს,  
ხოლო ურთიერთშეყრათა ჩუენთა თაუზემოთ შეაჩერებდა-  
მოსდგამდა მზეს, - ართუ მოსთქუამდა: არადა, იგი ადამიანნი  
არსებითის, - არვინ უწყს, - რისი არიან მოწამენი: განსულის-  
გადარჩენის იმედ-დატანილ საწყისი მათი დროჟამული: მათი  
ურთიერთ-შელწუეაჲ-ნაპოუნი წონა სხეულს უხილუელ  
ჩაეკარგუის: წონამან სიკუდილ-სიცოცხლის მიჯნად დასდუას  
სხეული, წამოჰკრიბოსცა სიცოცხლეი, რაიც თუისად  
განგრძელებულ არს: სად მეწამული მზის ტფილი წყალი  
ხორობალს ალბობს: რავდენიმე სიტყუის შიგან ცნაურდებოდინ  
ჩუმი წესრიგი, - სინათლის სხივი, - ტანითგან განსლუა  
დდენიადაგ სულთა ეგოდენ: სანიუთონი-საჩუეუითონი  
საცხოურისნი ესევითარ ვარდნი უფრორე: ჰ-ნათ-ებ-დ-ი-ნ ტანი,  
საუალთ განჰკულებუდინ წარსულისად, მოკრებილი და  
დავიწყებული სიტფოებისად, წიგნთა, ლარნაკთა, გალობათა  
შორის ჩენილი ხედუის მისაწუენელ... **7. ყოველდღიურობის  
ხსოვნა.** სიტყუისა შიგან თანაერთქმნილი სიჩუმე, რაიც ჩუენსაუ  
შორის შინაგანი ადამიანის ხატს დაადგინებს: იძრუის სიჩუმე,  
- აღესრულება ასეამრიგად ყოელი საქმე: შეხებათა ყოელთა  
შორის დატმასნილი ალაგი იგი: გარდანაცულებანი  
თანაერთქმნილ: შენეული საზრისი ესე მიუცილებელ: აიმ

სიტყუისა ერთადერთისა ლექსიკონი, - სქელტანიანი წიგნი რამე, - ქუემდებარედ სამძიმოი, აწმყოისად წარწოდებული: „სადალას“ გარე ჰგიებს სამოთხე, - ვაშლის ხეთა შრიალი ირგულიუ ჩუენსა ჰგიებს: ესერა მზიანს დაფას კედლისა სტუიფრაუდესცა ხულიკის ტეხილი დაუდეუარი: სუფთად იგება ანუ ისე, რომ არ ეხება, უიოლეს იძრუის ემბლემა: ჰაინრიჰ ფონ ოფთერდინგენ თუ ნოვალის: მონაცულებათა შემცუელ - სალექსო შუალელი - თაუშეყრისა და კუალად თაუშეყრის - ესე იგი სულ სხუა მოაჯირის მგარებელი დრო-ჟამის წიაღ: ხოლო შუაგულ ჰგიებს სილამე არა-არსებითი, არსებითისა სიცალიერისად მიხლა-მიახლება, „მარებლობა“, - აიმ სილამე-დამტუენელი სიგიჟისად დაგეზებაი: რთულთა სალექსო ჰიეროგლიფთა, - აღგებულთა თუ წარგებულთა, მიხლომა-ჩინება ჩუენტა მინდორთა შინა ანდა სულაც ჩუენტა მინდორთა მშორებ: სამოსთგანძრცუილნი წყალნი სიყმაწუილისანი, - უსუარ-დენნი დედისნნი, - ესრეთ უჩუენნი სანაპირონი, რომელთ განელტუის აეგ ლექსი, დაჰბრუნაუს რადგან უფლის თუალი ყოულის მხედუელი: გარდანაცულება მიმართ სხუისა აუხსნელი სისწრაფისაებრ. **9. შებრუნება.** ურთიერთშორის-არსთა-ბმულობა: სიტყუისა და სიმწუანის წიაღ „სახსოვარი“, -ერთურთისა-მაღიარებელ-არსებობათა ჩუენტა ნიშანი დაჭდეუებული: ღიმილი, რითაც ნაწუიმარისა სიგრილისა ტანს შთაჭრილი რამე მოაჯირი მოგიწოდნია, - საფეხურნიცა ამყოლ თუ ჩამყოლ, სულერთი არის: სად სურათნი ულოდნელნი ან არა და ახალ-ჩუეუანი თანაერთქმნილან: ყმაწუილთ ესერა მიდმოხლტომანი თუით ეგუიპტეს ნათელს ედემად ჩაჰყოლიყო-დაჰხსომებიყო: ანუ სწუნეუეყო მას, რაოდენცა იშუედენ ტანნი ზანგელანი, რომელნი მერმე სპეტდებოდენ-გ-ა-ნ-თეთრ-დ-ებ-ო-დ-ენ წიაღ ლოცუისა, რომელსაცა ერთადერთი ქურუმი იგი უხილაუი ხილულის ტაძრის ყოულისა ქურუმს უწუდომლადცა გაუცხადებდა: ღიმილი, რაიც იერისა შენისა განმჭოლ აიმ სურუილთა გარდახრილთა დისსონანსსა და დისსონანსს ანუ ახალ-ახალს ამინდს ყოელს დაეგეზება, ხოლო ღიმილსა მაგას არრა თუ

არა თუალი შენმიერი ყოულისკიდე მიდმოატარებს, - თუალი, რომელიც ყოულისა ახალ-ამინდისა წინა-დადგენას ნიადაგცა განელთუოდა: მზის თუითეული მანა მზედცა იგულუებოდა, განიბანუოდა მანათა-მიერ ქურუმთქურუმი: მანძილნი ერთ-ურთსმიდეუნილნი სახილუელ-ექმენ: ნაცუალსახელთა რამ ქროლუება ძალმიხდილი, რომლის „მქებლად“, უცილობლიუ მლოცუელ რომლისად დაუძალეულიუ მონაწილე მანძილნიცა მონაცულებდენ: კათხა ლუდი გულთ დაჰბრუნაუდა: დაცალეწილ ხოფს, უპურო სახლაკს, დაწყუეტილს საბელს მიჰმსგაუსნიყუენ ესე მსახურნი ამონ-ისანი: იგავ-ხუმრობის ანთუ როკუისა გამწაფუელთა მათ „მღერად უჩანთ“ გულთა მიზიდუა-განხიბლუანი: სიზმართწიად დატარდებოდენ ქალწულნი უცხო-მოშუშჰარენი: ტაშის-მცემ ერთი ქალწულთაგანი, მეორედ – მიწის პირისა მკოცნუელ, მესამეცა მოიყოლებდა შრიალს ყოილის: მგზაურთა ურაცხელთ განსაგებებლად სხუა ცეცხლისა შემნახუელნი როსმე სატრფონი: სახელის შენ-ის წიად ვრეკდეთ ჩუენთა დრო-ჟამთ-ამარნი-ესე: ყოელთა ჩუენთა „ანგელოზთ“-თან-მხლე: ანგელოზნიცა ურაცხაუნი, - ერთ-ფრთედ ესერა თანაერთქმნილ, რალა თქმა უნდა: „ოდენ კეთილთა საქმეთა ქმნად აროდესცა დაიყუანების სიკეთედ“: „ნუცა შაქარი-ყანდი დაემცროს სიტკბოებად, არლა ცეცხლი ცხინუარებად დაეგებოდეს“: ვინ ჩუენდა „უცნო“ ჰრეკს კართა ჩუენთა, სუნთქუელის ჩუენის „კარგა ნაცნობი“ სიცალიერის გამომხმობელი: მუნ მარჯუენს შენსა ჰაერის განმჭოლ გარდმოეხუიუოს მზისფერილი ანუ განძი ურაცხელი შეეძლეოდეს: სჩენდინ ჰამბაუნი-მაუარებნი ისტორიანი, ჩუენის ხმისად ყურისმგდებნი. **11. ოდეს მდინარე ადონისი ძოწებრ იღებუის.** გარდა-ნაცულ-ებ-ათა თანაერთობად მიმოძრაუი: ესერა ერთი თუ მეორედ: უხსოუნელ „წიგნთა მრალალთ“ შიგან ბეურეულისა ხაზგასმისა გარდამშლელი ძეი კაცისა: წინა-დადებ-ათა ხსოუნების წიად მოჰხელოს მანუე ო-რი-ს-ამ-ი სი-ტყუ-ა ძირისძირ შენეული: ვინიცობაა შენ იყუე იგი ძეი კაცისა: წინა-დადებ-ათა ხსოუნებას დაბეჭდულ ძირისძირ შენეულ სულაც ორ-სამ-სი-ტყუ-ა-ს

ჩაჰკარგაუ „ნაალევი“ ღიმის გარდაძვიდე: იმა სამოთხისა თუ წიგნთა ბეურეულ უღრუბლ-უმღურეული ხსოვნების ან არაორ-სამ-სი-ტყუ-ა-ნა-გებ-წინა-დადებ-ა-თა განდწეუის ძუირი სურუიელეება შენეული: ო-რი თუ ს-ამი სი-ტყუ-ის-მიერ-დატეუნილ თუალი შენი: შენს-კუთუნეულს-ფრთეს, ჰაერს შენეულს აემაგ სი-ტყუ-ათა-ფიქრი-თუ-ი-თეული უტრიალებს: როს აითანიებს ფერს ძოწისასა მდინარეჲ აღონის: გრამმატიკ-ხაზ-გ-ას-მულ-სი-ტყუ-ა-თა-კრებ-ს-ი: ჰვიებს კულაუადცა არჩეუანი: ალაგისა, სილამაზისა ან არა ცულადისა ხაზ-გ-ა-სმ-ა-გალა-კტიონურ „სიირიბე“ ტექტონიკ-გ-ა-ნ-აქტ-იურ-ებ-ულ: ტფილთ ხელისგულთა გარდმოშლად: ჩიუირლიონის: უჩეუე-მე-ფენი მი-წისანი: ალაგთ მო-ნი-შნუა: ალაგთ-შიგან ფერხთამოცულა-გარდა-ნაცულ-ებ-ა-ნი: ცალ-ცალ ნაწყეუტნი თხრობის შენეულის კრებ-ებოღინცა: განერ-ჩეოღინცა, -გ-ა-ნ-ლატაკ-დებ-ო-დ-ინ, -სიღარიბიდან კულაუ სიღარიბედ გარდამაუალ\*: მცირედმცირე ღუთაებათა დამტეუნელ: ხე ჩორკნილ ლულლული ღუთაებათა მათთა, ფშუ-ენა ღუთაებათა, - მსოფლიურს შელეუნა, თუისითუე შელეუნა, - თუალგარდუწულომელს რიგს გამოკლება(წესრიგს): ახლავ ამაუ გუერდზე მიდმოდრუა, სი-ტყუ-ისად მ-სა-ხუელ-ის-ად აღსწრაფუა, სი-ტყუ-ის-ად, რაიც თანისთან ინთება, ქრება, ქრება, ინთება: ალაგი, რაიც ძუირად მაინცა ო-რ-ს-ა-მ-სი-ტყუ-იან-წინა-დადებ-ა-თა სა-ხუ-ა-ს „მიგანებებს“: ტალლა-ტალლა-შეგდებულ ბედაურთ ა-ნა-რეკლ-ს, ფიქრთა უხილაუთა დარად შ-ე-ნაქუს-ულ-თა აიმ ბედაურთა ურჩთა ჩაჰ-ხუეუს, „დაიტანებს“\*\*,

ზიარად-დაიმცნეუს-დაიხსოუნებს,-ჩაა-  
ფენს-„იიფეებს“-  
მდინარის ჩქეფი.-

მკითხუელს დაუქანცუელს მოეცეს განძი დაძებნილი:  
„პრინციპი მსო-ფლიო-გ-ა-ნ-მარტიუ-ებ-ულ-ი ენის“, -  
ლაიბნიტცი-ი-სეული ენის გენიისა მინაგებ  
ლექსი, - ენამძიმეროკუაროკ-\*\*\*



-რუსთველს-გარდმოსული-გა-

-ლაკტიონს-მოტა-ნე-

-ბული ბგერწერისა ერთარს, -

ენცენსბერგერისა

-----

\*ჩემიუ ბუელი, - „დაკარგული“ (ბეჭერ-ი-სებურ-მიკულეული“)  
ლექსის ბწკარი.

\*\*შოთა ჩანტლაძის თქმა არის.

\*\*\*„გამოდგა“ შოთა ჩანტლაძის შერითმვა-ალიტერირება:  
„თითქოსდა სიკვდილი როკავდეს როკ ენდ როლს, როკ ენდ  
როლს როკავდეს სიკვდილი“.

(ლექსი „სხეულის აგონია, მიზეზი მოკვდინების, სიმფონია  
მედიცინური“.)

### [14.07.2003]

დათო,

იცოდე რომ მიმოწერის ფაილებს მე ამჯერად ვეღარ ვაგროვებ  
და ეს საქმე მთლიანად შენზეა. ტექსტი, რომელსაც დაგპირდი,  
ჯერ ბოლომდე მზად არ მაქვს. ბესიკ ადვიშვილის ლექსს  
გავეცანი დიდი სიმშვიდით და ასევე მშვიდი სიამოვნებით.  
არის მართლაც ლექსიკონში პოეზიაც და სიმშვიდეც. არ  
მომეწონა ფინალური ტრიადა “რუსთველი-გალაკტიონი-ბგერ-  
წერა”, ძალიან სამაგილო კლიშეა პოეზიაში. შენ სადღეგრძელოს  
რომ უწოდებ, რაღაც ისეთი. არა უმავს (როგორც ბადრი გუ-  
გუშვილის მიმართ ძალიან ბუნებრივად თქვი ერთხელ).

მთავარია არა წიგნები, არამედ მათი მოძრაობა. ბადრი შარ-  
ვაძისთვის ასეთი ტიპის განხილვის დაწერა “ტრფობა წამე-  
ბულთას” შესახებ კურიოზულია და მისი სალიტერატურო-

სარეფლექსიო მექანიზმების შესაძლო ლაფსუსზეც მიუთითებს. ასე რომ ეს ფაქტი მსჯელობის საგანი ალბათ ვერც გახდება. რადგან არც ფილოსოფია და არც ლიტერატურა ფსიქოანალიზზე არ იცვლება, როგორც ალბათ არც ფსიქოანალიზში მოუხმობს ფილოსოფიის იარაღებს ან ლიტერატურის სემიოტიკას. ამას გარდა ფსიქოანალიტიკა თითქმის უკვე მალევე (დროც არის) ბელეტრისტიკის ადგილს დაიკავებს.

მაპატიე მცირე წერილებისთვის. ასეთი პერიოდია. ეხლა ვმუშაობ მაღი სერებრიაკოვას ლექსების შესახებ და კიდევ ბადრი გუგუშვილის, გურამ დოჩანაშვილის და იულია კრისტევას შესახებ მეორე წერილში.

დ. ჩიხლაძე 14 ივლისი, 2003 ნიუ იორკი

P.S. კრიტიკული ჟურნალის შესახებ მალე მოგაწვდი ჩემს განრიგს.